თავჰიდის მნიშვნელობა და პირობები

მწერალი: ფარუყ ფურყან

მთარგმნელი: თავჰიდის გაკვეთილები

წინასიტყვაობა

დიდება ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს, რომელმაც ჩვენ თავჰიდის გზაზე დაგვაყენა, ლოცვა და მშვიდობა ალლაჰის შუამავალს (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ), მის ოჯახს, საჰაბეებს და მათ გზაზე მყოფ ყველა მუსლიმს.

ჩემო ძმაო! იცოდე, რომ ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის წარმოთქმით, ალლაჰის რელიგიის მეშვეობით პატივცემულ ადამიანად გადაიქეცი. არ დაივიწყო ის, რომ ამ სიტყვების მიხედვით ცხოვრებისთვის, ამ სიტყვების განდიდებისთვის და დედამიწაზე მისი დამკვიდრებისთვის ხარ გაჩენილი! განა ეს არ იყო ყოველი შუამავლის მისია? ასე, რომ შენც ამ გზაზე დგომით, შეიყვარე ის, გამოხატე (გარეგნულად) და იყავი მისი ახლო ამხანაგი!... იცოდე, რომ შენ ღვიძლ ძმაზე უფრო ღირებული ის ხალხია, რომლებსაც სწამთ ამ სიტყვის! და არ დაგავიწყდეს, რომ ალლაჰის წინაშე შენი დამსახურება ამ სიტყვების საშუალებით განისაზღვრება. ამ სიტყვების მიმართ თუ გულწრფელი ხარ, მაშინ ორივე ქვეყანაზე ძვირფას, ხოლო თუ მატყუარა ხარ, მაშინ ორივე ქვეყანაზე საძაგელ ადამიანად გადაიქცევი. რამდენი ჯგუფი/თემი ყოფილა, რომლებიც ამ სიტყვების მეშვეობით ამაღლებულან და დამცირებულან. გაუფრთხილდი მას, რათა ერთ-ერთი მათგანი არ აღმოჩნდე!

გაიხსენე ნუჰ-ი (‘ალეისალამ), ჰუდ-ი (‘ალეისალამ), ლუტ-ი (‘ალეისალამ) და სხვა შუამავლები, რომლებმაც თავიანთ ხალხს მოუწოდეს: „ჰეი ხალხო, ემსახურეთ ალლაჰს. თქვენთვის არ არის სხვა ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა.“...

ასევე, გაიხსენე ჩვენი შუამავალი მუჰამმადი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ), რომელმაც თავჰიდის სიტყვის (ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ) შესახებ თქვა: „ამ დავის (ლაა ილაჰა ილლა ალლაჰის) დასათმობად, მარჯვენა ხელში მზე და მარცხენა ხელში მთვარე რომც მომცენ, მაინც არ დავთმობ!...“

შენც ეს შეუპოვრობა, ძალისხმევა, მუდმივობა და გულმოდგინება გულით ატარე. აჩვენე მსგავსი მეთოდი/მანერა მათ, ვინც ამ დავას/გზის მიტოვებისთვის შენზე ძალადობს.

არ მოხვდე იმათ სიაში, რომლებიც შუამავლების და მათი დავას წინააღმდეგ იყვნენ! შორს იყავი მათგან! მთელი ძალით მოერიდე მათ! რადგან **„35. რამეთუ როცა მათ ეტყოდნენ „არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა!“ ურჩობდნენ.“ (სურა ას-საფფაათ).**

ურწმუნოს ალლაჰის დიდებაზე, მმართველობაზე და დამკანონებლობაზე როდესაც ესაუბრები, მისი შურის, ბოღმის და სიბრაზის აშკარა მოწმე ხდები. სურს, რომ ‘ერთ კოვზ’ წყალში დაგახრჩოს... შენ კი, იცოდე და კარგად გაიაზრე ის, რაც ზემოთ ავხსენი! კარგად განსაზღვრე/დაადგინე ის გემი, რომელშიც ჩაჯდომას აპირებ! რადგან, ამ გზის ბოლოს, ის, ვინც თავჰიდის (ერთღმერთიანობის) გემში ჩაჯდება გადარჩენილთა რიცხვებში, ხოლო ვინც, შირქის (ურწმუნოების) გემში ჩაჯდება, ქუფრის ზღვაში, დამხრჩვალთა რიცხვებში აღმოჩნდება.

შენი გემის კაპიტანი ვინ არის? შუამავალი მუჰამმადი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) თუ ტაღუთი (ურწმუნოება)? სჯობს ახლავე დაფიქრდე. შესაძლებელია, რომ ზღვაში გასული გემი უკან არ დაბრუნდეს!

ალლაჰმა, ისევე როგორც მუჰამმადი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ), ნუჰ-ი (‘ალეისალამ) და სხვები, თავჰიდის გემით გადარჩენილთა რიცხვებში ამყოფა, ასევე ალლაჰმა ჩვენც ამ რიცხვებში გვამყოფოს (ჰიდაეთი მოგვცეს-სწორ გზაზე დაგვაყენოს). (ალლაჰუმმა ამინ).

ქელიმეი თავჰიდის (ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ) პირობებს სანამ განვმარტავდე, მანამდე მინდა ზოგ საკითხს შევეხო.

„ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ს ქელიმეი თავჰიდი (ერთღმერთიანობის სიტყვა) ეწოდება. იგი ორი ნაწილისგან შედგება:

პირველი: „ლაა ილაჰა“.

მეორე: „ილლა ალლაჰ“.

ამ ორი ნაწილის ცალ-ცალკე აღება და მოქმედება დაუშვებელია. მათი ერთმანეთისგან განცალკევებით რწმენა არ შედგება. რწმენის სრულყოფილება ამ ორი ნაწილის განცალკევების გარეშეა შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, რწმენა მხოლოდ სურვილად დარჩება და პიროვნება მორწმუნის სტატუსს ვერ მოიპოვებს. სამწუხაროდ არსებობენ პიროვნებები, რომლებიც ამ სიტყვების განცალკევებით ცდილობენ მორწმუნეებად წარმოაჩინონ თავი.

პიროვნება ალლაჰზე თანაზიარის დადგენით, ალლაჰთან ერთად სხვა ღვთაებასაც აღიარებს, რის გამოც ქუფრში ვარდება. ცოტაა ისეთი ხალხი, ვისაც ღმერთის არსებობის არ სჯერა. ალლაჰი ყურანში თავის თავს არ გვაცნობს, როგორიცაა სიტყვები „ალლაჰი არსებობს“, არამედ ალლაჰი ყურანში თავის თავს შემდეგნაირად წარმოგვიდგენს...“ერთი“, „მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი“... ეს ფაქტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ადამიანები რასაც ეთაყვანებიან ალლაჰის გარდა, არის ცრურწმენა, რომელიც ალლაჰის მიერ უარყოფილი იქნება. ასევე, ეს გვიჩვენებს იმას, რომ ალლაჰმა არც კი ჩათვალა საჭიროდ პასუხი გაეცა მათთვის, ვისაც არ სწამს ალლაჰის (ღმერთის) არსებობის.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ყურანშია გადმოცემული არის ის, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა და მის გარდა, ვინც ალლაჰის თვისებებს მიიწერს, არის უარყოფილი და ცრუ ღვთაება. ასე, რომ „ლაა ილაჰა“ (არ არსებობს ღვთაება)-ს მთქმელი ხალხი ჩვენ თემაში არ შედის, ჩვენი თემა მათ არ ეკუთვნით. ჩვენი თემა ეკუთვნის მათ, ვისაც სჯერა „ილლა ალლაჰ“-ის, ვისაც სჯერა ალლაჰის ერთობის, თუმცა ალლაჰის გარდა, სხვა ქმნილებებსაც თაყვანს ცემს.

გამომდინარე აქედან, სანამ საკითხის დეტალებზე დავიწყებდეთ საუბარს, მანამ „ილაჰ“ სიტყვის, შემდეგ კი, „ლაა“ (უარყოფი)-ს და ბოლოს „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის, ქელიმეი თავჰიდის (თავჰიდის სიტყვის) მნიშვნელობის ახსნა-განმარტებას შევეცდებით. დამხმარე და წარმატების მომცემი მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰია.

სიტყვა „ილაჰ“-ის განმარტება და მისი შიგნითა ნაწილი

სიტყვა „ილაჰ“-ი, ‘ალაჰა’ ან ‘ალიჰა’ ზმნისგან არის ნაწარმოები, რაც ნიშნავს „მასზე თაყვანის მცემელს“, „მისკენ მიმმართველს“, „მასზე მინდობილს“, „მასზე შეფარებულს“ და ა.შ. იბნ რაჯაბ ალ-ჰანბელი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „ილაჰი (ღვთაება) არის ის, ვისი იმედიც გაქვს, ვისაც ადიდებ, ვინც გიყვარს, ვისზეც ხარ მინდობილი, ვისაც დუას (ვედრებას) უკეთებ. აქედან გამომდინარე, ილაჰი არის ის, ვისაც ეთაყვანები და მის წინააღმდეგ არ მოქმედებ. ზემოთ მოცემული ქმედებები მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის მიმართ სრულდება. ვინც ერთ-ერთ მათგანს ალლაჰის გარდა სხვაზეც მიმართავს, ალლაჰზე მსახურებასთან ერთად, სხვაზე თაყვანისცემაშიც ჩაეთვლება, რაც ქუფრი (ურწმუნოება) და „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“ სიტყვის დამანგრეველია. პიროვნება ამ სიტყვებს, რამდენადაც ალლაჰის გარდა სხვას მიმართავს, იმდენადვე ალლაჰისადმი ღვთისმსახურებისგან შორს იქნება.“[1]

ამ და სხვა მსგავსი განმარტებებისგან ვგებულობთ, რომ „ილაჰ“ სიტყვა არის ის, ვისზეც კეთდება ღვთისმსახურება და მორჩილება. შეიძლება ადამიანმა ალლაჰის გარდა ეს სიტყვა სხვასაც მიაწეროს, მაგრამ სხვა დანარჩენი ალლაჰის წინაშე ცრუ და ბათილია ანუ მაშინ, როცა ალლაჰია ერთადერთი და ჭეშმარიტი, სხვა დანარჩენი „ღვთაება“ არის ცრუ და ბათილი.

[1] გურრეთუ უიუნი’ლ მუვაჰიდდინ, გვ. 25, აბდულ მუნ’იმის “ატ-ტაღუთ”-ის წიგნიდან.

ალლაჰის ღვთაებრიობის ზოგიერთი თვისება

ის, რომ ალლაჰი არის „ილაჰ“-ი (ღვთაება), ამას თან ახლავს სხვადასხვა თვისებები. ისლამის სწავლულებმა, ყურანისა და სუნნეთის მიხედვით, ეს თვისებები შემდეგნაირად განმარტეს: გასამართლება/მსჯავრის დადება/დაკანონება. ეს თვისება ალლაჰის ყველაზე მკვეთრი/განსაკუთრებული თვისებაა. ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„54. განა, მხოლოდ მას არ ეკუთვნის გაჩენა და მბრძანებლობა?“ (სურა ალ-აღრაფ).

„57. და იგია საუკეთესო მსაჯული.“ (სურა ან'ამ).

„40. უეჭველად, მსჯავრის დადება (დაკანონება) მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის.“ (სურა იუსუფ).

„62. განა მის ხელთ არაა მსჯავრი?“ (სურა ან'ამ).

„26. და მსჯავრში ვერავინ შეეზიარება მას!“ (სურა ქაჰფ).

რათქმაუნდა მხოლოდ ეს არ არის დასტური იმისა, რომ მსაჯულება მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის, ამის დამადასტურებელი სხვა არგუმენტიც არსებობს. აქედან გამომდინარე, ის, ვინც ამ თვისებას ალლაჰის გარდა, თავის თავს ან სხვას მიაკუთვნებს, ნიშნავს იმას, რომ თავის თავს „ღვთაება“ უწოდა, რაც ქუფრი-ურწმუნოებაა. ხოლო ის, ვინც ამ თვისების მიმწერს დაემორჩილება და მის მსაჯულებას აღიარებს, ამით ალლაჰს თანაზიარს გაუჩენს, რაც აგრეთვე ურწმუნოებაა. ურწმუნოდ გახდომისთვის არ არის აუცილებელი იმ სიტყვების თქმა, როგორიცაა „მე ღვთაება ვარ“, ან „მე ალლაჰი ვარ“, რადგან ვინც ზემოთ ხსენებულ თვისებას საკუთარ თავს ან სხვას მიანიჭებს, ისლამიდან გადის და ხდება ურწმუნო (მიუხედავად, იმისა მან ეს აღიარა თუ არა). ამის შესახებ საიიდ ყუტბი „ფი ზილალი'ლ-ყურან", ყურანის თაფსირში ამბობს: „გასამართლება/მსაჯულება/დაკანონება მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. მსაჯულება და მსაჯობა/მოსამართლეობა

მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. ძალაუფლება/მბრძანებლობა ულუჰიეთ თვისებებში (ღვთაებრიობის თვისებებში) შედის. ის, ვინც ძალაუფლების/დამკანონებლის/მსაჯულის თვისებას მიიწერს, ალლაჰთან ერთად ბრძოლაში მონაწილეობას გამოაცხადებს. არ აქვს მნიშვნელობა ეს ერთი პიროვნება იქნება, ჯგუფი, საზოგადოება, პარტია თუ სხვა. ის, ვინც ალლაჰთან ერთად, საკუთარ თავს მსაჯულობის/მბრძანებლობის/მოსამართლეობის ღირსად გამოაცხადებს, აშკარა ქუფრში ჩავარდება და ქააფირი (ურწმუნო) გახდება. ასეთი ადამიანის ქუფრი, რელიგიის მყარი არგუმენტების საფუძველია, რომელიც აიათის სახით ცოტა ხნის წინ წარმოვადგინეთ.

მსგავსი თვისების საკუთარ თავზე ან სხვაზე გამოცხადების სხვადასხვა მეთოდი/გზა არსებობს. რომელიმე მათგანის გამოყენება, ისლამიდან გასვლისთვის საკმარისია. არ არის აუცილებელი, რომ პიროვნებამ/საზოგადოებამ/ჯგუფმა/პარტიამ მიმართოს ხალხს შემდეგით: „თქვენთვის, ჩემს გარდა სხვა ღვთაება არ არის“, „თქვენი ღვთაება მე ვარ“... ის მაინც ურწმუნო გახდება. ის, ვინც ალლაჰის კანონს (შარიათს) გვერდით გადადებს და მის გარდა, სხვა კანონით ხელმძღვანელობას დაიწყებს ან ალლაჰის გარდა მსაჯულის/მბრძანებლობის თვისებას სხვას თუ მიანიჭებს, ეს საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ურწმუნოდ ჩაითვალოს. ისლამურ სისტემაში/წყობაში მუსლიმ საზოგადოებას უფლება აქვს მმართველი აირჩიოს, მაგრამ მას არუნდა მიენიჭოს ისეთი ძალაუფლება/მმართველობა, როგორიც ალლაჰს ეკუთვნის. მუსლიმი თემის ან მუსლიმი მმართველის ვალდებულება ალლაჰის მბრძანებლობის/მსაჯულების დამყარებაა, რაც ყურანითა და სუნნეთიითაა შესაძლებელი. მბრძანებლობა/მსაჯულება მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰისაა. ამ თვისების მინიჭებისთვის მთელი კაცობრიობაც, რომ შეიკრიბოს, მაინც ვერ შეძლებენ ამის მისაკუთრებას. მათი დავალება ის არის,

რომ ქვეყანას ალლაჰის კანონის, ალლაჰის შარიათის მიხედვით უხელმძღვანელონ...“[2]

კანონის გამოცემა / დაკანონება

ეჭვი არ არის იმაში, რომ ღვთაებრიობის ერთ-ერთი მკვეთრი/განმასხვავებელი თვისება კანონის გამოცემა/დაკანონებაა. როგორც ქმნილების შექმნა ალლაჰის მკვეთრი თვისება/უფლებაა, ასევე ქმნილებებზე დაკანონების უფლება და მათი ამ კანონით ხელმძღვანელობაც ალლაჰის უფლებაა. ჰალალსა და ჰარამს მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰი აწესებს. რაღაცის გაკეთება-არ გაკეთებაზე გადაწყვეტილებას მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰი იღებს. კარგისა და ცუდის განმსაზღვრელი მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰია. ამ უფლების სხვაზე მინიჭება ნიშნავს, რომ ღვთაებრიობის თვისებას ალლაჰის გარდა სხვა ვინმეს ან რამეს ანიჭებ, ეს კი, ქუფრი/ურწმუნოებაა. ვინც ამ საკითხში (კანონის გამოცემაში) მათ მხარს დაუჭერს, ნიშნავს, რომ ის ვიღაც ან რაღაც ღვთაებად აღიარა. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს: **„21. ან იქნებ ჰყავთ მათ თანაზიარნი, რომლებმაც დაუკანონეს მათ სარწმუნოებაში ის, რისი უფლებაც ალლაჰს არ მიუცია?...“** (სურა აშ-შურა).

მუსლიმის ვალდებულება არის ის, რომ ალლაჰსა და მის შუამავალს (სალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) დაემორჩილოს და მათ წინააღმდეგ არ წავიდეს. მაშინ, როცა ალლაჰმა კანონი უკვე გამოსცა, მუსლიმებს აღარ აქვთ უფლება/არჩევანი, რომ მასში ცვლილება შეიტანონ.

„36. მორწმუნე კაცს და მორწმუნე ქალს გადაწყვეტილების მიღებისას არ აქვთ არჩევანი, თუ ალლაჰმა და მისმა შუამავალმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება და ის, ვინც ეურჩება ალლაჰსა და მის შუამავალს, ცხად გზააბნევაშია ჩავარდნილი!“ (სურა აჰზაბ).

თუ ეს ასეა! სად არის იმ პიროვნების/ჯგუფის/პარტიის რწმენა, ვინც ალლაჰის, ამ შემთხვევაში დაკანონების/კანონების გამოცემის თვისებას სხვას ანიჭებს?! რწმენა იმისა, რომ ალლაჰის გარდა

[2] ფი ზილაალი’ლ-ყურან, 8/403.

სხვასაც აქვს კანონის გამოცემისა და დაკანონების უფლება, არის რწმენის საწინააღდეგო/ურწმუნოება და მეტი არაფერი.

დაუკითხაობა / პასუხის არ გება

ულუჰიეთის (ღვთაებრიობის) ერთ-ერთი თვისება შემდეგია: გაკეთებული ან მიღებული გადაწყვეტილების/ბრძანების გამო ალლაჰი არ განიკითხება. არავის აქვს უფლება ალლაჰს პასუხი მოსთხოვოს. თუმცა, ყველა ქმნილება ალლაჰის წინაშე პასუხს აგებს. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს: **„23. იგი (1) (ალლაჰი) არ არის პასუხისმგებელი იმისა, რასაც იქმნს. ხოლო, ისინი პასუხს აგებენ!“ (სურა ანბია)**. ის, ვინც ამ თვისებას საკუთარ თავს მიაწერს ქააფირი/ურწმუნო გახდება და ისიც, ვინც პიროვნებას ამ საკითხში მხარს დაუჭერს ქააფირი/ურწმუნო გახდება.

ზიანისა და სარგებლის მიცემა

როგორც სხვა, ასევე ეს თვისებაც მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. ზიანის მიყენება ან სარგებლის მიცემა, მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის ხელშია. ის, ვინც ამის საწინააღმდეგოდ მოიქცევა, თავის თავს ღვთაებად გამოაცხადებს, რაც ურწმუნოებაა. ხოლო ისიც, ვინც ამ თვისებას სხვას მიანიჭებს, ურწმუნო გახდება. ალლაჰი ყურანში ბრძანებს: **„107. და თუ ალლაჰი ზიანს მოგივლენს შენ, უკვე აღარ იქნება მისგან მხსნელი, გარდა მისი. და თუ მოისურვებს შენთვის სიკეთეს, მაშინ ვერავინ შეაყოვნებს მის მადლს. იგი მოუვლენს მას, ინებებს ვისაც, თავის მსახურთაგან. და იგი შემნდობია, მწყალობელია!“ (სურა იუნუს)**.

„ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის ნაწილები

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ი ორი ნაწილისგან შედგება. ნაწილებიდან პირველი უარყოფა, მეორე კი, მიღებაა.

პირველი ნაწილი: უარყოფა, რომელსაც შეიცავს სიტყვები „ლაა ილაჰა“ - უარყოფს ყველა სათაყვანებელს გარდა ალლაჰისა.

მეორე ნაწილი: დამოწმება და მიღება, რომლებსაც შეიცავს სიტყვა „ილლა ალლაჰ“. ეს სიტყვები ამოწმებს, რომ ღირსეული სათაყვანებელი მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰია. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს: **„ალლაჰი ჭეშმარიტებაა, ხოლო ის, რასაც ისინი ეთაყვანებიან მის გარდა, სიცრუეა, იმიტომ, რომ ალლაჰი უზენაესია, დიდებულია!“ (სურა ჰაჯ)**.

იბნი ყაიიმმა (რაჰიმაჰულლაჰ) თქვა: „“ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“ (არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა) - ეს მნიშვნელობა უფრო მისაღებია, ვიდრე „ალლაჰი ღვთაებაა“, რადგან „ალლაჰი ღვთაებაა“ ნიშნავს, რომ ალლაჰის გარდა სხვა ღვთაებაც არის. მაგრამ „არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა“, ცხადად გვამცნობს, რომ ალლაჰის გარდა სხვა ღვთაება არ არის.“[3]

ზოგიერთი მწერლის შეცდომა

ზოგი მწერალი ქელიმეი თავჰიდის (ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ) შესახებ როცა საუბრობს, იყენებს ფრაზებს როგორიცაა: „ალლაჰის გარდა სხვა შემქმნელი არ არის. საზრდოს მომცემი, სიცოცხლის წამრთმეველი, გამცოცხლებელი, სიკეთისა და ზიანის მომცემი ალლაჰია. მის გარდა სხვა მფლობელი არ არის“. ეს ფრაზები კი, მხოლოდ და მხოლოდ ‘რუბუბიეთ’ (ბატონ-პატრონობის) თავჰიდს მოიცავს, რაც ქელიმეი თავჰიდს ბოლომდე ვერ ხსნის. ზემოთ

[3] ქელიმეთუ ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ ვა ქეიფე თენფეუ ქაილეჰა, ამირ საიდ ზეიაბარი, გვ. 30.

ჩამოთვლილის გარდა, ალლაჰი არის ის, ვისზეც კეთდება ღვთისმსახურება, ვინც გამოსცემს კანონებს, ვინც მართავს. ალლაჰი არის ის, ვის გამოც გვიყვარს, ვის გამოც პატივს ვცემთ, ვის გამოც გვეშინია და ა.შ.

„ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის მნიშვნელობა მხოლოდ და მხოლოდ რუბუბიეთ თავჰიდი რომ ყოფილიყო, მაშინ ალლაჰის შუამავალსა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) და მუშრიქ (მრავალღმერთიან) არაბებს შორის განხეთქილება არ იქნებოდა. ქვემოთ დალილებს (არგუმენტებს) მოვიყვანთ იმის შესახებ, რომ არაბებიც აღიარებდნენ ალლაჰს, როგორც საზრდოს მომცემს, შემქმნელს, ციდან წვიმის მომვლინებელს და ა.შ. თუმცა მაინც არ ითვლებოდნენ მორწმუნეებად.

აქედან გამომდინარე, ის ვინც ზემოთ მოხსენებულ ალლაჰის თვისებებს იწამებს, თუმცა ალლაჰის გარდა ღვთისმსახურებას სხვასაც მიუძღვნის, მასზე (ალლაჰზე) მეტად სხვას შეიყვარებს, ვედრებას და სურვილებს ალლაჰის გარდა სხვისკენ თუ მიმართავს, გასაჭირის დროს დახმარებას სხვისგან თუ მოითხოვს, დაკანონების უფლებას ალლაჰის გარდა სხვას თუ მიანიჭებს და ა.შ. ასეთი პიროვნება მუსლიმად არასდროს ჩაითვლება. ის ალლაჰის წინაშე აღსდგება, როგორც მუშრიქი (ალლაჰზე თანაზიარის დამყენებელი). თუ ასეთ მდგომარეობაში (მუშრიქად) მოკვდება, სამუდამო ჯოჯოხეთს დაიმსახურებს, საიდანაც ვერასდროს ვერ გამოვა და სამოთხეში ვერ შევა.

„72. უეჭველად, ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუხდის, იმას აუკრძალა ალლაჰმა სამოთხე და მისი თავშესაფარი ცეცხლია. და არ ეყოლებათ უსამართლონთ შემწენი.“ (სურა მაიდა).

როგორც თემის დასაწყისში ვთქვით, ცოტაა ის, ვინც ალლაჰის (ღმერთის) არსებობას უარყოფს. ისინი (ურწმუნოები, მუშრიქები) ალლაჰს სცნობენ, როგორც ღმერთად და მისი თვისებებიდან რამოდენიმეს აღიარებენ. ისინი ალლაჰს ‘ულუჰიეთ’ (ღვთაებრიობის) თავჰიდში თანაზიარს უდგენენ. ამის შესახებ ყურანში მოცემული მაგალითი ბევრია. ახლა კი, ჩამოვთვალოთ ზოგიერთი დალილი/არგუმენტი იმისა, რომ ისინი (მუშრიქები)

ალლაჰის ‘რუბუბიეთ’ თავჰიდს აღიარებენ, თუმცა მუსლიმანებად მაინც არ ითვლებიან. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„25. და თუ ჰკითხავ მათ: „ვინ გააჩინა ცანი და მიწაო? უთუოდ, გიპასუხებენ: „ალლაჰმაო“. უთხარი: „დიდება ალლაჰს!“ მაგრამ მათგან უმეტესობა არ უწყის.“ (სურა ლუყმან).

„31. უთხარი: ვინ გაძლევთ თქვენ სარჩოს ციდან (1) (წვიმას) და მიწიდან (2) (მცენარეულს)? ან ვინ განაგებს ყურთასმენასა და თვალთახედვას? და ვის გამოჰყავს ცოცხალი მკვდრისგან და გამოჰყავს მკვდარი ცოცხალისგან? და ვინ განაგებს საქმეებს? (3) (სამყაროთა შორის) მაშინ ისინი იტყვიან: ალლაჰი! მაშ უთხარი: განა არ უნდა შეგეშინდეთ?“ (სურა იუნუს).

„61. თუ ჰკითხავ მათ: „ვინ გააჩინა ცანი და მიწა და დაუმორჩილა მზე და მთვარე? - გიპასუხებენ: „ალლაჰმა.“ მაშ, როგორღა აქცევენ ზურგს ჭეშმარიტებას?!“ (სურა ალ-ანქაბუუთ).

„63. და თუ ჰკითხავ მათ: „ვინ გარდმოავლინა ზეციდან წყალი და გააცოცხლა მისით მიწა მას მერე, რაც ის მკვდარი იყო?“ უსათუოდ გიპასუხებენ -„ალლაჰმა!“ უთხარი: „ქება-დიდება ალლაჰს ეკუთვნის!“ მაგრამ უმრავლესობა მათი ვერ განსჯიან.“ (სურა ალ-ანქაბუუთ).

„9. და თუ ჰკითხავ მათ: „ვინ გააჩინა ცანი და მიწა? უთუოდ, გიპასუხებენ: გააჩინა ისინი ძლევამოსილმა, ბრძენმა“.“ (სურა აზ-ზუხრუფ).

„84. ჰკითხე: ვის ეკუთვნის მიწა და ისინი ვინც მასზეა (1) (ვინც და რაც დედამიწაზე არსებობს), თუკი უწყით თქვენ?“

85. იტყვიან: „ალლაჰსო“. უთხარი: „ნუთუ აღარ შეიგონებთ (1) (არ დაფიქრდებით)?

86. ჰკითხე: „ვინ არის ღმერთი შვიდი ცისა და დიდებული ტახტრევანისა?

87. იტყვიან: „ალლაჰია!“ უთხარი: „ნუთუ არ შეიქმნებით ღვთისმოშიშნი?

88. ჰკითხე: თუ იცით: „ვინაა იგი, ვის ხელთაცაა მეუფება ყოველი საგნისა? და ვინ არის დამცველი და ვინ არ საჭიროებს დაცვას?

89. იტყვიან: „ალლაჰია!“ უთხარი: „მაშ, როგორღა ტყუვდებით!“ (სურა ალ-მუ’მინუნ).

როგორც აიათებიდან ჩანს, მუშრიქები ალლაჰის რამოდენიმე თვისებას აღიარებენ, თუმცა ურწმუნოებად ითვლებიან. მსგავსია დღესდღეობითაც. ამით იმის თქმა გვსურდა, რომ ისეთი სიტყვების წარმოთქმა/დაჯერება როგორიცაა: „ალლაჰის გარდა სხვა შემქნელი არ არის“ ან „ალლაჰის გარდა საზრდოს მომცემი სხვა არ არის“, საკმარისი არ არის ‘ქელიმეი თავჰიდის’ (ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ-ის) ასახსნელად. ამ სიტყვების წარმოთქმა საკმარისი არ არის, იმისთვის რომ პიროვნება მუსლიმად ჩაითვალოს. ამ ფაქტს ყურანის აიათებიც ადასტურებს. თუ გვინდა განვასხვავოთ მუსლიმი და მუშრიქი, ამისთვის უნდა ვიცოდეთ მუშრიქის თვისებები, რადგან დიდი შეცდომა არ დავუშვათ და მუშრიქს მუსლიმი არ ვუწოდოთ, მაშინ, როცა ალლაჰმა მას მუშრიქი უწოდა.

თავჰიდის ნაწილები

ისლამის სწავლულების მიხედვით, თავჰიდი (ერთღმერთიანობა) სამი ნაწილისგან შედგება. ესენია:

რუბუბიეთ თავჰიდი

რუბუბიეთ თავჰიდის უკეთ გასაგებად საჭიროა, რომ ალლაჰის თვისებები ვიცოდეთ, როგორიცაა: შექმნა, საზრდოს მიცემა, სულის ართმევა, გაცოცხლება, კანონის გამოცემა და ა.შ. მსგავსი თვისებების ალლაჰზე მიკუთვნება რუბუბიეთ თავჰიდია. სხვა ფორმით, რომ ვთქვათ, რუბუბიეთ თავჰიდი არის **„ალლაჰის ერთადერთობა თავისი თვისებებით“.**

ალლაჰს, როგორც „რაბ“-ს (ბატონ-პატრონს) ეს თვისებები თან ახლავს. უზენაესი ალლაჰი ყურანის ზოგიერთ აიათში შემდეგნარიად ბრძანებს:

„25. და თუ ჰკითხავ მათ: „ვინ გააჩინა ცანი და მიწაო? უთუოდ, გიპასუხებენ: „ალლაჰმაო“. უთხარი: „დიდება ალლაჰს!“ მაგრამ მათგან უმეტესობა არ უწყის.“ (სურა ლუყმან).

„31. უთხარი: ვინ გაძლევთ თქვენ სარჩოს ციდან (1) (წვიმას) და მიწიდან (2) (მცენარეულს)? ან ვინ განაგებს ყურთასმენასა და თვალთახედვას? და ვის გამოჰყავს ცოცხალი მკვდრისგან და გამოჰყავს მკვდარი ცოცხალისგან? და ვინ განაგებს საქმეებს? (3) (სამყაროთა შორის) მაშინ ისინი იტყვიან: ალლაჰი! მაშ უთხარი: განა არ უნდა შეგეშინდეთ?“ (სურა იუნუს).

მინდა ერთ მნიშვნელოვან საკითხს შევეხო. როდესაც ვამბობთ, რომ „მუშრიქები (მრავალღმერთიანები) ალლაჰის ბატონ-პატრონობას აღიარებდნენ“, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ალლაჰის ყველა რუბუბიეთ (ბატონ-პატრონობის) თვისებებს აღიარებდნენ. მაგალითად, დაკანონება/კანონის გამოცემა ალლაჰის ერთ-ერთი თვისებაა, თუმცა მექქელი მუშრიქები ამ თვისებას არ აღიარებდნენ. სურა თავბას 31-ე აიათში უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„31. მათ დაიდგინეს ღმერთებად თავიანთი მწიგნობრები (1) (რაბინები) და ბერები, ნაცვლად ალლაჰისა, ასევე მესიჰი, ძე მარიამისა. მათ არ ბრძანებიათ (2) (თორასა და სახარებაში) თაყვანისცემა, გარდა ერთი ღმერთისა. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. დიდება მას! შორსაა მისგან, რასაც მოზიარედ უდგენენ!“

ამ აიათში ნათლად ჩანს, რომ ებრაელები და ქრისტიანები სწავლულებს „რაბ“-ად (ბატონ-პატრონად) აღიარებდნენ. ამგვარად, სწავლულებს ბატონ-პატრონად როგორ და რა ფორმით აღიარებდნენ? პასუხს ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) გვცემს. ადიი იბნი ჰათიმი გვიამბობს: „კისერზე ოქროს ჯვრით შუამავალთან მივედი. შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) მითხრა: „ჰეი ადიი! ეს კერპი კისრიდან მოიხსენი და გადააგდე!“, შემდეგ კი, ყურანიდან თავბა სურის 31-ე აიათი წაიკითხა. რის შემდეგაც მე ვუთხარი, რომ „კი მაგრამ, ისინი სწავლულებს და მღვდლებს არ ეთაყვანებიან“. შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) მიპასუხა: „ისინი (სწავლულები, მღვდლები) ნებადართულს აკრძალულად თვლიან, აკრძალულს კი, ნებადართულად, ხოლო ხალხი მათ ემორჩილება. აი, ეს არის მათი მსახურება ბერებისა და სწავლულების მიმართ.“[4]

ზემოთ მოცემული აიათი და ჰადისი განმარტავს შემდეგს: ბერებმა და სწავლულებმა ალლაჰის მიერ ნებადართული აკრძალულად, ხოლო ალლაჰის მიერ აკრძალული ნებადართულად გამოაცხადეს. ხალხი კი, ამ საქმეში მათ დაემორჩილა, რაც ნიშნავს იმას, რომ ალლაჰის რუბუბიეთ თვისება, ამ შემთხვევაში „დაკანონება/კანონის გამოცემა“, ბერებსა და სწავლულებს მიანიჭეს, რაც ალლაჰზე თანაზიარის დადგენაა. მსგავსი ქმედება კი, შირქია (ურწმუნოება, რასაც ალლაჰზე თანაზიარის დადგენა იწვევს). აიათის ბოლო ნაწილიც იგივეს ამოწმებს: **„დიდება მას! შორსაა მისგან, რასაც მოზიარედ უდგენენ!“**.

[4] თირმიზი, 3095; იბნ-ი ქესირ, 2/459.

აქედან გამომდინარე, პიროვნება ალლაჰის ზოგიერთ თვისებას თუ აღიარებს და ზოგიერთს არა (ამ შემთხვევაში „დაკანონების/კანონის გამოცემის“ თვისებას), ნიშნავს, რომ კანონის გამოცემაში ალლაჰს თანაზიარს უდგენს, რის გამოც, მუშრიქად გადაიქცევა.

ულუჰიეთ თავჰიდი

ულუჰიეთ თავჰიდი კარგად, რომ გავიგოთ, ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომ ადამიანს გააჩნია ქმედებები, რომლებიც ღვთისმსახურებად ითვლება. როგორიცაა დუა (ვედრება), დახმარების თხოვნა, სეჯდე (ქედის მოხრა), შიში, იმედი და ა.შ. პიროვნება ზემოთ მოცემულ ქმედებებს მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს თუ მიაკუთვნებს (მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰისკენ თუ მიმართავს), მაშინ ულუჰიეთ თავჰიდით ალლაჰის ერთადერთობას დაადასტურებს. უფრო გასაგებად, რომ ვთქვათ, ულუჰიეთ თავჰიდი არის **„ადამიანის მოქმედებებით ალლაჰის ერთადერთობის დადასტურება.“** ადამიანი ზემოთ ჩამოთვლილ ღვთისმსახურებებს ალლაჰის გარდა, სხვას თუ მიუძღვნის, შირქში ჩავარდება და ისლამის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდება.

ჩვენს დროს მცხოვრები ხალხის უმეტესობა ულუჰიეთ თავჰიდის დარღვევით შირქს ასრულებს. ისინი ალლაჰის ერთადერთობას ამტკიცებენ, თუმცა ულუჰიეთ თავჰიდში შემავალ ქმედებებს ალლაჰის გარდა, სხვასაც უძღვნიან, რის გამოც შირქში ვარდებიან (ურწმუნონი ხდებიან). თუ გვინდა, რომ ყოველგვარი შირქისგან დაცულები ვიყოთ, თითოეულ დეტალს ძალიან დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. დღეს ნათლად ვხედავთ პიროვნებებს, რომლებიც ალლაჰის გარდა, სხვა რამის ან ვიღაცის იმედზე არიან. ზოგიერთი მათგანი მათთვის მსხვერპლს წირავს. ზოგიერთი კი, შვილის გაჩენისთვის დუას (ვედრებას) უკეთებს. მათი ეშინიათ და ა.შ. მსგავსი მოქმედებებით ულუჰიეთ თავჰიდს არღვევენ, რაც ალლაჰზე თანაზიარის დადგენაა, მსგავსი რამ კი, ურწმუნოებაა. მუსლიმებისთვის მსგავსი ქმედებების ალლაჰის გარდა, სხვა ვინმეზე ან რამეზე მიმართვა აკრძალულია.

ღვთისმსახურების ყველანაირი ფორმა თუ სიტყვა, მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. „ფათიჰა“ სურაში ნაბრძანებია:

„4. მხოლოდ შენ გცემთ თაყვანს და მხოლოდ შენგან ვითხოვთ შეწევნას!“

ის, ვინც ულუჰიეთ თავჰიდში ალლაჰს თანაზიარს გაუჩენს, ნიეთი (განზრახვა) კარგი რომც ჰქონდეს, ნამაზს და ჰაჯობას რომც ასრულებდეს, შირქში ჩავარდება და ისლამიდან გავა.

უნდა ვიცოდეთ ის, რომ ულუჰიეთ თავჰიდით ალლაჰის ერთადერთობის დადასტურება, ყოველი შუამავლის მისია იყო. ადამი-დან (‘ალეისალამ) დაწყებული, ყოველი შუამავალი და მუჰამმად შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის გასაგებად ადამიანებს ისლამისკენ მოიპატიჟებდნენ.

„ჰეი, ხალხო ჩემო! თაყვანი ეცით ალლაჰს, არ გყავთ სხვა ღმერთი მის გარდა.“ (სურა აღრაფ). აი ეს არის ის, რასაც ალლაჰი ჩვენგან მოითხოვს.

სახელ-თვისებების თავჰიდი

თავჰიდის მესამე ნაწილი „სახელ-თვისებების თავჰიდია“, რაც სახელებითა და თვისებებით ალლაჰის ერთადერთობის დადასტურებას ნიშნავს. როგორც ყურანიდან, ასევე ჰადისებიდან ცნობილია, რომ ალლაჰს რამოდენიმე სახელი და თვისებები გააჩნია. ალლაჰის სახელები შედგება „ალ-ასმაულ-ჰუსნა“-სგან, რაც ჰადისების მიხედვით, 99-ს შეადგენს. მუსლიმანმა ადამიანმა ეს სახელები უნდა აღიაროს ისე, როგორც ალლაჰს შეეფერება.

რაც შეეხება ალლაჰის თვისებებს: ალლაჰს ხელი და სახე აქვს. ალლაჰს შეუძლია გაბრაზდეს, შეიყვაროს და ა.შ. არშზე ამაღლება, მახის დაგება და მსგავსი თვისებებისგან შედგება.

ყოველი მუსლიმანი ვალდებულია, რომ ალლაჰის თვისებები ყოველგვარი ზედმეტი ახსნა-განმარტების გარეშე აღიაროს და ირწმუნოს.

ზოგიერთი ამბობს, რომ ამის აღიარებით ალლაჰს ადამიანს მივამსგავსებთ. მსგავსი სიტყვები ალლაჰის თვისებების უარყოფაა, რაც არასწორმა ინტერპრეტაციამ (ახსნა-განმარტებამ) გამოიწვია. მაგალითად, ნათქვამია, რომ ალლაჰის „ხელში“ „ძალაუფლება“ იგულისხმება, რაც საჰაბეებისა და სწავლულების შეხედულების საწინააღმდეგოა. არსებობს საშიშროება იმისა, რომ ყურანში მოცემული „დიახ“, „არა“-დ გადავაქციოთ. ყოველივე ამის გამო, სალაფებმა მსგავსი ახსნა-განმარტებისგან თავი შეიკავეს და დაჯერებულან იმას, რაც ყურანშია გადმოცემული. ჩვენი ვალდებულებაა, რომ ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და მიმსგავსების გარეშე ალლაჰის თვისებები ვაღიაროთ. ამის დალილი (არგუმენტი) ყურანში მოცემული აიათია:

„11. არაფერია მსგავსი მისი..“ (სურა აშ-შურა).

ალლაჰი არშზე ამაღლებულა, თუმცა არა ისე, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია (აკრძალულია ფორმის მიცემა). ალლაჰი ბრაზდება, მაგრამ არა ისე, როგორც ჩვენ. ალლაჰს უყვარს, მაგრამ არა ისე, როგორც ადამიანებს და ა.შ.

ალლაჰის თვისებები მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის, რაც იმას ნიშნავს, რომ ალლაჰის თვისებები მის მიერ შექმნილის თვისებებს არ ჰგავს. მას უყვარს ისე, როგორც უნდა უყვარდეს ალლაჰს და ის ბრაზდება ისე, როგორც უნდა გაბრაზდეს ალლაჰი. ამ ყველაფრით კი, ქმნილებების მსგავსი არ არის.

ერთხელ იმამ მალიქს (რაჰმათულლაჰი ‘ალეიჰ) ჰკითხეს, თუ რას ნიშნავდა „ალლაჰი არშზე ამაღლდა“ და აიათში მოცემული სიტყვა „ისთივა“. იმამმა ასეთნაირად უპასუხა: „ისთივა ცნობილია. მისი გარემოება/მდგომარეობა კი, გაურკვეველია. ამის რწმუნება სავალდებულო, ხოლო მის შესახებ კითხვის დასმა ბიდ’ათია (რელიგიაში შემდეგ გამოგონილი).“ [5] ამ სიტყვებით იმამმა

[5] ალ-ყაბასათუს-სენიიე, გვ. 199.

გვასწავლა თუ როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ალლაჰის სახელებისა და თვისებების მიმართ.

აქედან გამომდინარე, საჭიროა ალლაჰის სახელები და თვისებები ვიწამოთ და ვაღიაროთ ისე, როგორც ეს ალლაჰს შეეფერება. ალლაჰის თვისებები და სახელები მის მიერ შექმნილის თვისებებსა და სახელებს არ ჰგავს.

ფარაონის მიერ გამოცხადებული ღვთაებრიობის არსი / შინაარსი

უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:
„38. ფარაონმა უბრძანა: „ჰეი დიდებულნო! არ მეგულება თქვენთვის სხვა ღვთაება, ჩემს გარდა.“ (სურა ყასას).
„23. შეკრიბა (1) (თავისი ამალა, ხალხი და ჯადოქრები) და მოუწოდა. 24. შემდეგ უბრძანა (ფარაონმა): მე უზენაესი ღმერთი ვარ თქვენი!“ (სურა ან-ნააზი'ათ).

აიათების მიხედვით, ფარაონი საკუთარ თავს ღვთაებად აცხადებდა. რას გულისხმობდა ფარაონი მაშინ, როცა საკუთარ თავს ღვთაებას უწოდებდა? ყურანის განმმარტებელი ფაჰრადდინ არ-რაზი ფარაონის მიერ ნათქვამი სიტყვების შესახებ ამბობს: „ის (ფარაონი) აცხადებს, რომ მის გარდა ბრძანებისა და დაკანონების უფლება არავის აქვს.“[6]

იგივე აიათის თაფსირში (განმარტებაში) იმამ ალუსი ამბობს: „ფარაონმა მის მიერ წარმოთქმული სიტყვებით საკუთარი თავი ყველა მმართველზე მაღლა დააყენა.“[7]

იბნ-ი თაიმიიე ამ თემასთან დაკავშირებით ამბობს: „ვინც ალლაჰს (ალლაჰის კანონებს) მიატოვებს და სხვას საკუთარ თავზე თაყვანისცემას მოსთხოვს, ფარაონის მსგავსი იქნება. ღვთისმსახურება მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰისთვის სრულდება. ასევე, მეგობრობა და მტრობაც.“[8]

მავდუდ-იმ ფარაონის მიერ წარმოთქმული სიტყვები შემდეგნაირად განმარტა: „ამ ქვეყნის, ეგვიპტის მფლობელი მე ვარ. ნებართვებს და აკრძალვებს მე ვაწესებ. ჩემ გარდა ბრძანების (კანონის) გამოცემის უფლება არავის აქვს.“ შემდეგ კი თქვა: „ფარაონის მდგომარეობისგან განსხვავებული არ არის იმ

[6] მეფათიხუ'ლ-ღაიბ, 22/476.
[7] რუჰუ'ლ-მე'ანი, 16/53.
[8] მეჯმუუ'ლ-ფათვა, 14/328.

სახელმწიფოების მდგომარეობა, რომლებიც ალლაჰის კანონით არ იმართება.“[9]

აქედან გამომდინარე, ეგვიპტის ფარაონი თავის სიტყვებში არ გულისხმობდა, რომ ის ადამიანების შემქმნელი ან ადამიანებზე საზრდოს მიმცემი იყო. მსგავსი რამ რომც ეთქვა, ხალხი მას არ დაუჯერებდა, რადგან მსგავსს ვინც იტყვის, ის სულელად ან გიჟად ითვლება. ფარაონი თავის სიტყვებში გულისხმობდა იმას, რომ მის გარდა მმართველი არავინ იყო და მისი ნებართვის გარეშე კანონის გამოცემა არავის შეეძლო. ე.ი მისი სიტყვები „მე ვარ თქვენი ღვთაება“ ნიშნავდა შემდეგს: „მე ვარ თქვენი მმართველი, შემიძლია შევქმნა კანონი და დავაწესო, როგორც ნებადართული ასევე აკრძალულიც. ასევე, მე შემიძლია თქვენი ცხოვრების განსაზღვრა.“

ალლაჰმა ადამიანების გადასარჩენად კანონი (შარიათი, ყურანი) მოავლინა. ის, ვინც ყურანს გვერდზე გადადებს და თავისი სურვილისამებრ კანონის გამოცემას დაიწყებს, სიტყვიერად „მე ღვთაება ვარ“ რომც არ თქვას, ის მსგავსი მოქმედებებით საკუთარ თავს ღვთაებად მიიჩნევს. ასეთ შემთხვევაში კი, მისსა და ფარაონს შორის განსხვავება არ არის.

[9] თეფჰიმუ’ლ ყურან,, ტ. 4, გვ. 184.

‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის მნიშვნელობა

1. ალლაჰის გარდა, სხვა შემქმნელი არ არსებობს

ყოველი ქმნილების, მათ შორის ადამიანის შემქმნელიც მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰია. მის გარდა სხვა შემქმნელი არ არსებობს. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„3. არის განა კიდევ სხვა გამჩენი, გარდა ალლაჰისა...“ (სურა ფაათირ).

„24. იგია ალლაჰი, გამჩენი...“ (სურა ალ-ჰაშრ).

„102. იგია ალლაჰი, ღმერთი თქვენი. არ არსებობს ღვთაება გარდა მისი, გამჩენი ყველაფრის.“ (სურა ალ-ან’ამ).

2. ალლაჰის გარდა სხვა ბატონ-პატრონი არ არსებობს

ყველაფრის მფლობელი ალლაჰია. საკუთრება მის ხელთაა. ცასა და მიწას შორის არსებული მისია. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„189. ცათა და დედამიწის მეუფეობა ალლაჰს ეკუთვნის და ალლაჰს ძალუძს ყველაფერი.“ (სურა ალ-ი იმრან).

„6. სწორედ ესაა ალლაჰი, ღმერთი თქვენი. მხოლოდ მას ეკუთვნის მეუფეობა.“ (სურა აზ-ზუმარ).

„1. რაოდენ დიადია იგი, რომლის ხელთაცაა მეუფეობა და რომელსაც ძალუძს ყველაფერი!“ (სურა ალ-მულქ)

3. ალლაჰის გარდა საზრდოს მომცემი არავინ არის

იმის მიხედვით, რომ ბატონობა ალლაჰს ეკუთვნის, საზრდოს მომცემიც ალლაჰი უნდა იყოს და არის კიდეც. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„6. და არ მოიძებნება დედამიწაზე სულიერი ალლაჰს რომ არ მიეცა მისთვის სარჩო.“ (სურა ჰუდ).

„17. ალლაჰის ნაცვლად კერპებს ეთაყვანებით და სიცრუეს თხზავთ. უეჭველად, რომელთაც თქვენ ეთაყვანებით ალლაჰის მაგიერ, უძლურნი არიან თქვენდამი სარჩოს მომადლებაში. მაშ, ეძიეთ სარჩო ალლაჰთან, თაყვანი ეცით მას და მადლიერნი იყავით მისი, რამეთუ მასთან იქნებით მიბრუნებულნი!“ (სურა ალ-ანქაბუუთ).

4. სარგებლისა და ზარალის მომცემი ალლაჰის გარდა არავინაა

არ აქვს მნიშვნელობა ადამიანი იქნება თუ სხვა რამ, ალლაჰის ნების გარეშე სარგებლის ან ზარალის მომცემი არავინაა. თავს დამტყდარი უბედურება ან გამოწვეული სიხარული, მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის ნებით ხდება. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„107. და თუ ალლაჰი ზიანს მოგივლენს შენ, უკვე აღარ იქნება მისგან მხსნელი, გარდა მისი. და თუ მოისურვებს შენთვის სიკეთეს, მაშინ ვერავინ შეაყოვნებს მის მადლს. იგი მოუვლენს მას, ინებებს ვისაც, თავის მსახურთაგან. იგი შემნდობია, მწყალობელია!“ (სურა იუნუს).

5. გამცოცხლებელი და სულის ამრთმეველი ალლაჰის გარდა არავინაა

სულის მიმცემი და ამრთმეველი მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰია. მის გარდა მსგავსი ძალაუფლება არავის გააჩნია. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„258. განა არ გინახავს, ვინც იბრაჰიმს ედავებოდა მისი ღმერთის გამო, რომელმაც მას (ნემრუდს) ხელმწიფება უბოძა? აი, უთხრა იბრაჰიმმა: ჩემი ღმერთი ისაა, რომელიც აცოცხლებს და აკვდინებს! თქვა (ნემრუდმა): მეც ვაცოცხლებ და ვკლავ! იბრაჰიმმა უთხრა: უეჭველად, ალლაჰს მზე აღმოსავლეთიდან ამოჰყავს, მაშ, შენ დასავლეთიდან ამოიყვანე! მაშინ, გაოგნდა (ენა ჩაუვარდა), რომელმაც უარყო (ნემრუდმა). არ დაადგენს ალლაჰი ჭეშმარიტ გზაზე უსამართლო ხალხს!“ (სურა ბაყარა).

„8. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. აცოცხლებს და აკვდინებს.“ (სურა ად-დუჰან).

„23. და, უეჭველად, ჩვენ ვაძლევთ სიცოცხლეს და ჩვენ ვაკვდინებთ, და ბოლოს ყველაფერი ჩვენ დაგვრჩება!“ (ალ-ჰიჯრ).

6. ვედრებაზე პასუხის გამცემი ალლაჰის გარდა არავინ არის

ადამიანი გასაჭირის ან რამის ქონის/ყოლის სურვილის დროს ხელებს ზეცისკენ აღაპყრობს და ვედრებას უზენაესი „არსებისკენ“ მიმართავს. ზოგიერთისთვის ეს „არსება“ ალლაჰია, ზოგიერთებისთვის კი, სხვა ვიღაც ან რაღაც. თუ ვედრება ალლაჰისკენაა მიმართული, მათ შორის თავჰიდი, ხოლო ვედრება თუ სხვისკენაა მიმართული, მათ შორის შირქია. ისლამის ისტორიაში ყველაზე გავრცელებული შირქის (მრავალღმერთიანობის) სახეობა ეს არის (ანუ ალლაჰის გარდა სხვაზე დახმარების თხოვნა). უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„14. ჭეშმარიტი ვედრება მხოლოდ მას ეკუთვნის. და რომელნიც შესთხოვენ მის ნაცვლად (2) (ალლაჰის ნაცვლად სხვას), რომლებიც ვერაფერს შეისმენენ მათსას, მხოლოდ მსგავსია იმისა, ვინც პეშვს

წყლისკენ იწვდის, რათა პირს მიიწვდინოს. მაგრამ იგი (4) (წყალი) არასდროს მიწვდება მას (5) (ასევე ისინი ვერაფერს უპასუხებენ, ვერაფერს შეისმენენ მათსას ვერასდროს). და მეტი არაფერია ურწმუნოთა ვედრება (6) (კერპებისადმი თაყვანისცემა ან ვედრება), გარდა ცდომილებისა." (სურა არ-რა'დ).

7. ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის შიში უნდა ჰქონდეს

შიში ადამიანის ბუნებრივი გრძნობაა, რომელიც ალლაჰმა ადამიანის გაჩენის დროს მასში (ადამიანში) ჩანერგა. შიში ვიღაცისთვის დონის ასამაღლებელი საშუალება, ვიღაცისთვის კი, დაბალ საფეხურებზე ყოფნის საშუალებაა. შიში რამდენიმე სახისაა:

ბუნებრივი შიში: როგორიცაა შიში მტრისა, ცხოველებისა და ძლიერი ადამიანებისა, რომელსაც თან ქედის მოხრა არ ახლავს. ამგვარი შიში ადამიანს შირქში (მრავალღმერთიანობაში) არ ჩააგდებს. ეს შიში ყველა ადამიანშია.

ალლაჰის სასჯელის შიში: ეს რწმენის უმაღლესი დონეა. ასეთი შიში შექებულია.

დამალული შიში: შიში, რომელსაც თან ახლავს რიდი და ქედის მოხრა. მსგავსი შიში ღვთისმსახურებაა, რომელიც მხოლოდ ალლაჰისკენ უნდა იყოს მიმართული. ვინც მსგავსი შიშით ალლაჰის გარდა სხვა რამისგან ან ვინმესგან შეეშინდება, შირქში ჩავარდება, რაც ისლამიდან/რწმენიდან გამსვლელია.

რამის ან ვინმეს შიშით ალლაჰის ბრძანებებს თუ არ ვასრულებთ ან ალლაჰის ბრძანების წინააღმდეგ თუ მივდივართ, მაშინ ეს ნიშნავს იმას, რომ ალლაჰს თანატოლი დავუყენეთ, რაც შირქია-ისლამიდან გამსვლელია. ფითრათი (შინაგანი სამყარო) შეიძლება შეშინდეს, თუმცა შიშმა ადამიანს ალლაჰის წინააღმდეგ წასვლაში ხელი არ უნდა შეუწყოს. თუ შიში ალლაჰის წინააღმდეგ გვმართავს, მაშინ შირქში ჩავვარდებით. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„44. ნუ გეშინიათ ადამიანების და გეშინოდეთ ჩემი...“ (სურა ალ-მაიდა).

„40. და გეშინოდეთ მხოლოდ ჩემი.“ (სურა ალ-ბაყარა).

„175. ეშმაკს სურს თავისივე შემწეებით (ვინც გაყვა ეშმაკის გზას) შეგაშინოთ თქვენ. თუკი თქვენ ჭეშმარიტი მორწმუნე ხართ, არ შეგეშინდეთ მათი და გეშინოდეთ ჩემი.“ (სურა ალ-ი იმრან).

8. მინდობა მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰზე სრულდება

ნდობა არის ის, როცა ნებადართულებთან ერთად სასარგებლოსთვის ან ზარალის თავიდან ასაცილებლად, რომელიმე არსებაზე ან საგანზე მინდობილი/დაყრდნობილი ხარ. მორწმუნეები მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს მიენდობიან, ურწმუნოები კი, ალლაჰის გარდა სხვას. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„23. და გქონდეთ იმედი მხოლოდ ალლაჰის, თუკი თქვენ ხართ მორწმუნენი!“ (სურა ალ-მაიდა).

„10. დაე, ალლაჰს სასოებდნენ მორწმუნენი!“ (სურა ალ-მუჯაადილა).

9. ალლაჰის გარდა სხვა დამკანონებელი / კანონის გამომცემი არ არსებობს

ისლამი არის ალლაჰის რელიგია, რომელიც ადამიანის ცხოვრებას არეგულირებს/აწესრიგებს. ალლაჰი „რელიგიის საშუალებით“ ადამიანების ცხოვრებას განაგებს. ვიღაცას რაღაცაზე ნებას დართავს ან აუკრძალავს. ზუსტად ეს არის ალლაჰის ერთ-ერთი თვისების - ბატონობის გამოხატულება. ამ საკითხში ალლაჰის გარდა სხვას სიტყვა არ ეთქმის. ის, ვინც დაკანონების, აკრძალვის ან ნებადართვის უფლებას ალლაჰის გარდა სხვას ანიჭებს, არის ურწმუნო, რომელსაც არ ეპატიება (გულწრფელი მონანიებისა და ამ საქმიდან/აზრიდან შორს ყოფნის გარეშე). მსგავს

ქმედებას ისლამში თავისი სახელი აქვს და ეს სახელი „შირქი“-ა. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„48. უეჭველად, ალლაჰი არ მიუტევებს, რომ თანაზიარი გაუჩინონ მას და მიუტევებს ამის გარდა ყველაფერს, ინებებს ვისაც. ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუჩენს, მაშინ უდიდეს ცოდვას სჩადის!“ (სურა ან-ნისაა).

„ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის სიტყვებში ყველაზე გამოკვეთილი მნიშვნელობა სწორედ ეს არის ანუ ის, რომ ალლაჰის გარდა სხვა ბატონ-პატრონი არ არსებობს, მის გარდა არავის აქვს უფლება, რომ ადამიანის ცხოვრება განაგოს ან ჰარამი/ჰალალი დააწესოს. ის (ალლაჰი) ერთადერთია, რომელიც აწესებს როგორც ჰარამს (აკრძალულს), ასევე ჰალალს (ნებადართულს). ის, ვინც ალლაჰის მიერ ნებადართულზე ჰარამს და ალლაჰის მიერ აკრძალულზე ჰალალს იტყვის, დაარღვევს ულუჰიეთ თავჰიდს (ერთღმერთიანობა ღვთაებრიობაში), რაც შირქის ყველაზე დიდი სახეობაა. საკითხთან დაკავშირებით საიიდ ქუთბი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „ისლამი ლითონის მონეტას ჰგავს. ერთ მხარეს „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ია გამოკვეთილი, მეორე მხარეს კი, მართვა ალლაჰის შარიათით (რელიგიური კანონებით). ამ ორი ნაწილის ერთმანეთისგან განცალკევება შეუძლებელია. ალლაჰის შარიათით მართვა „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის ერთ-ერთი ნაწილია. აქედან გამომდინარე, ალლაჰის კანონებით მართვა ალლაჰის ერთადერთობის ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთია. რაც იმას ნიშნავს, რომ მას, ვისაც ალლაჰის კანონების გარდა სხვა კანონებით მართვა სურს, „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის პირობას არღვევს და ისლამის ფარგლებს გარეთ გადის.“

ისეთი კანონების გამოცემა, რომელზეც ალლაჰმა ნება არ დართო, არის შირქი. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„21. ან იქნებ ჰყავთ მათ თანაზიარნი, რომლებმაც დაუკანონეს მათ სარწმუნოებაში ის, რისი უფლებაც ალლაჰს არ მიუცია?...“ (სურა აშ-შურა).

ის, ვინც ნებადართულად თვლის იმას, რაზეც ალლაჰმა ნება არ დართო და ის ვინც, ამ უფლებას სხვას მიანიჭებს, ალლაჰს თანაზიარს დაუდგენს, რაც შირქია.[10]

ჰალალისა და ჰარამის დამწესებელი მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰია. შუამავალსაც კი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) არ ჰქონდა ამის უფლება. ის მხოლოდ აკანონებდა იმით, რაზეც ალლაჰმა ნება დართო. რაღაცის გაკეთება-არ გაკეთებაზე „პასუხისმგებელი“ და ბოლო სიტყვის ბატონ-პატრონი ერთადერთი ალლაჰია. დღესდღეობით აშკარად ვხედავთ მათ, ვინც ალლაჰის ამ უფლებას თავის თავს მიაწერს. რაც მათ სურთ ნებადართულია, ხოლო რაც არ სურთ აკრძალულია. მათთვის ალლაჰის სიტყვას, კანონს, რეგულირებას არავითარი აზრი/მნიშვნელობა არ გააჩნია. მათთვის მთავარი პირადი სარგებელი და კეთილდღეობაა. მაგალითად, ზინა (მრუშობა), ალკოჰოლური სასმელი, ყუმარი, პროცენტი და ა.შ. ჰარამი და აკრძალულია. არაისლამურ ქვეყნებში ეს ყველაფერი თვითონ მთავრობის ხელშეწყობით ვრცელდება და მუშავდება. მათთვის მნიშვნელობა არ აქვს ეს ალლაჰის მიერ აკრძალული არის თუ არა, რადგან ისინი ფიქრობენ, რომ მათ ხელშია ბატონობა, რაც მათ ინტერესებში არ შედის კრძალავენ და რაც სურთ იმას ნებადართულად აცხადებენ. ქალისთვის დაბურვა სავალდებულოა, თუმცა მათთვის ეს ყველაფერი ჩამორჩენილობის ნიშანია. ისინი (ურწმუნოები) თავიანთი მოქმედებებით ალლაჰს ებრძვიან და მისი ბრძანებების საპირისპიროდ მოქმედებენ. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„63. განა არ იციან, რომ ის, ვინც წინ აღუდგება ალლაჰსა და მის შუამავალს, სწორედ მისთვისაა ჯოჯოხეთის ცეცხლი, სადაც დამკვიდრდება სამუდამოდ? აი, ესაა უდიდესი დამცირება!“ (სურა თაუბა).

[10] რწმენა და დამოკიდებულება, გვ. 222.

ჯოჯოხეთში სამუდამოდ ქააფირი (ურწმუნო) ადამიანი დარჩება, რაც მათი ქააფიროზიდან გამომდინარეობს. გამომდინარე აქედან, ალლაჰის კანონების ცალკე გადადება, ალლაჰის მიერ დაკანონების შეუსრულებლობა და საპირისპიროდ მოქმედება, ადამიანს ურწმუნოებაში ჩააგდებს, რაც სამუდამო ჯოჯოხეთით ისჯება.

ჰარამისა და ჰალალის დაწესების ფორმები

ჰარამად ან ჰალალად, ნებადართულად ან აკრძალულად დაწესების სამი ფორმა არსებობს:

გულით: შესაძლებელია მაშინ, როცა ალლაჰის მიერ აკრძალულს (ქურდობა, კაცის კვლა, ალკ სასმელი, მრუშობა, პროცენტი და ა.შ.) გულით ნებადართულად ჩათვლი. მსგავსია ალლაჰის მიერ ნებადართულის გულით აკრძალულად ჩათვლაც. ორივე შემთხვევა ისლამიდან გამყვანია, რაც ურწმუნოებას ნიშნავს.

ენით: შესაძლებელია მაშინ, როცა ზემოთ მოხსენიებულს სიტყვით წარმოთქვამ.

მოქმედებით: რაც ნიშნავს, რომ ალლაჰის მიერ აკრძალული მოქმედებით დაშვებულად ჩათვალო. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ქვეყნის მმართველები. შეიძლება, რომ მათ გულში მართლაც არ სწამდეთ ის, რომ დასალევი, მრუშობა და პროცენტი ჰალალია, თუმცა მათი ქმედებები სხვაზე მიუთითებს. ისეთ კანონებს გამოსცემენ, რომელიც ალლაჰის მიერ აკრძალულს ნებადართულს ხდის. ეს მდგომარეობა ისეთ პიკზეა მიღწეული, რომ ის ახალგაზრდა, რომელიც არ მრუშობს, სხვა „თანამედროვე“ ახალგაზრდებთან შედარებით „უტვინო“ ან „ჩამორჩენილია“. ახლა კი, ვიხილოთ დალილი იმისა, თუ როგორ შეიძლება მოქმედებით ალლაჰის მიერ აკრძალულის ნებადართულად ან ალლაჰის მიერ ნებადართულის აკრძალულად ჩათვლა.

ბერა იბნი აზიბ-ი (რადიალლაჰუ ‘ანჰ) ამბობს: „გზაში ბიძაჩემი შემხვდა. ხელში დროშა ეჭირა. ვკითხე თუ საით მიდიოდა.

მითხრა, რომ შუამავალმა იმ ადამიანის თავის მოსაჭრელად და მისი ქონების მისაკუთრებლად გაგზავნა, რომელმაც თავისი მამის ცოლი (დედინაცვალი) ცოლად შეირთო.“ [11] აჰმედ ბინ ჰანბელი ამბობს, რომ: „იმ ადამიანისთვის არაფერი უკითხავთ, არც გასაუბრებიათ.“ (ანუ ისე მოკვეთეს თავი, რომ არაფერი უთქვამთ).

ეს ჰადისი ჩვენი თემის განსამარტად ძალიან მნიშვნელოვანია. იმ კაცმა ჰარამი ჩაიდინა და რატომ იქნა მოკლული? ჰარამის შემსრულებელი სიკვდილით ისჯება? პასუხის გასარკვევად ჰადისის ახსნა-განმარტებაა საჭირო.

ისლამის სწავლულების მიხედვით, ამ კაცმა დედინაცვალზე ქორწინება ჰალალად ჩათვალა, თუმცა ეს სიტყვიერად არ გამოუხატავს ანუ „მე დედინაცვალზე ქორწინებას დასაშვებად ვთვლი“ არ უთქვამს. მიუხედავად ამისა, ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) მისი მოკვლის ბრძანება გასცა. ამის მიზეზი კი, საკუთარი ქმედებით ჰარამის ჰალალად გამოცხადება იყო. დედინაცვალზე ქორწინების აკრძალვა ალლაჰის ერთ-ერთი კანონია: **„4/22. და არ შეირთოთ ის ქალები, რომლებიც თქვენი მამების ცოლები იყვნენ..“**. მიუხედავად ბრძანებისა, ალლაჰის სიტყვა არაფრად ჩააგდო და დედინაცვალზე იქორწინა. მისი საქციელით ჰარამი ჰალალად გამოაცხადა, რის გამოც მისთვის არავის უკითხავს, რომ ეს ქორწინება ჰალალად მიიჩნია თუ არა.

იმამ თაბერი ამბობს: „დედინაცვალზე ქორწინება აშკარა დალილია იმისა, რომ მან ალლაჰის სიტყვა უარყო. ქმედების სუბიექტი მუსლიმანი თუ იქნება, მურთადი გახდება. ზუსტად ამის გამო (მურთადობის გამო) სიკვდილით დაისჯა...[12]

იმამ თაჰავი ამბობს: „ამ კაცმა დედინაცვალზე ქორწინება ჰალალად მიიჩნია, რის გამოც მურთადი (ისლამიდან

[11] აბუ დავუდ, 4457; თირმიზი, 1326.

[12] ეს მონათხრობი გადმოცემულია აბდულაზიზ ბინ მუჰამმადის წიგნში, რომლის სახელია “ალ-ჰუქმუ ბი ღაირი მა ან-ზალალლაჰ”, გვ. 37.

განდგომილი) გახდა. ამიტომაც, ალლაჰის შუამავალმა ისეთი სასჯელით დასაჯა, როგორითაც მურთადებს სჯიდა.“[13]

„შუამავლის ბრძანება (ქონების მითვისება) მის მურთადობაზე მიუთითებს.“[14]

როგორც ვხედავთ, არსებობს ისეთი ქმედებები, რომლის მეშვეობითაც ალლაჰის მიერ აკრძალულს ნებადართულად ან ალლაჰის მიერ ნებადართულს აკრძალულად ვაცხადებთ. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი არ არის, რომ სიტყვიერად იქნას წარმოთქმული, მთავარი საქმე/მოქმედებაა. მინდა პატარა მაგალითი მოვიყვანო ამ თემასთან დაკავშირებით. მაგალითად, პიროვნებამ ყურანი ნაგავში რომ ჩააგდოს, აუცილებელი არ არის ამ პიროვნების მიერ სიტყვების წარმოთქმა, იმის შესახებ მან ეს მოქმედება დაშვებულად მიიჩნია თუ არა. მისი ქმედება ნათელი მაგალითია იმისა, რომ მან ყურანი არაფრად ჩათვალა. გამომდინარე აქედან მსგავს პიროვნებას ურწმუნო ეწოდება, რადგან ყურანის შეგნებულად ნაგავში მოთავსება ურწმუნოებაა.

[13] შერჰუ მე’ანი’ლ-ასარ, 5/45.
[14] შერჰუ მე’ანი’ლ-ასარ, 5/47.

„ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის ხარისხი

ამ სიტყვას ალლაჰის წინაშე ძალიან დიდი ადგილი უჭირავს. ეს სიტყვა შელოცვებს/ზიქრებს შორის საუკეთესოა. პიროვნება მისი წარმოთქმით ალლაჰს ყველაზე ღირებული სიტყვებით განადიდებს. ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „ზიქრებიდან ყველაზე უნაკლო/უმწიკლო არის ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’.“[15]

მისი ხარისხის შესახებ მრავალი ჰადისია გადმოცემული. ზოგიერთი მათგანი შემდეგია: ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „უზენაესი ალლაჰი განკითხვის დღეს ერთ პიროვნებას ყველა დანარჩენისგან გამოჰყოფს და მის მიერ ჩადენილის შესახებ 99 ოქმს/ჩანაწერს გახსნის. ყოველი ოქმის ზომა თვალის ხედვის არეალს აღემატება. ამის შემდეგ, ალლაჰი პიროვნებას ჰკითხავს: ‘ამათგან რომელიმეს უარყოფ?’, პიროვნება იტყვის: ‘არა ჩემო ბატონო.’ ალლაჰი ეტყვის: ‘რაიმე საპატიო მიზეზი გაქვს?’. პიროვნება უპასუხებს: ‘არა ჩემო ბატონო.’ ამის შემდეგ ალლაჰი ბრძანებს: ‘ჩემთან არის შენი ისეთი ნამოქმედარი, რომელიც მე მივიღე და რის გამოც შენ უსამართლოება არ შეგეხება.’ ამის შემდეგ ცნობილი გახდება ის ოქმი, სადაც წერია ‘ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი შუამავალია.’ უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ‘შენი კუთვნილი ადგილისთვის მოემზადე.’ პიროვნება იტყვის: ‘ჩემო ბატონო, რა არის ეს პატარა და დიდი ფურცლები/ჩანაწერები/ოქმები?’ ალლაჰი ბრძანებს: ‘შენ არ დაიჩაგრები.’ ყველა დანარჩენი ოქმი სასწორის ერთ მხარეს დაიდება, ხოლო ოქმი სადაც ქელიმეი შაჰადა[16] წერია

[15] თირმიზი, 3383.

[16] ერთღმერთიანობის სიტყვა.

მეორე მხარეს. ქელიმეი შაჰადა მეორე მხარეს განთავსებულ ყველა ოქმს გადაწონის.“[17]

„ყული[18] დიდ ცოდვებს თუ განერიდება და წრფელი გულით „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ს თუ იტყვის, მისთვის ცის კარები გაიხსნება.“[19]

„შუამავალმა მუსამ (‘ალეისალამ) ალლაჰს შემდეგნაირად მიმართა: ‘ია რაბ! [20] მასწავლე ის, რის შემდეგაც შენი გახსენებისთანავე ვედრების შესრულებას შევძლებ.’ უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: „ჰეი მუსა! თქვი ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ.’ მუსა (‘ალეისალამ) უპასუხებს: „ჩემო ბატონო! ამ სიტყვას ყველა შენი მსახური ისეც ამბობს.“ უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „ჰეი მუსა! შვიდი ცა და რაც მის შიგნითაა სასწორის ერთ, ხოლო მეორე მხარეს ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ რომ მოათავსო, მაშინ ეს (ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ) უფრო მძიმე იქნება.“[21]

„ის, ვინც ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ-ს იტყვის და ამით ალლაჰს მოიხსენიებს, მისთვის ჯოჯოხეთი ჰარამი გახდება.“[22]

„ის, ვინც ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ-ს იტყვის და ამით მოკვდება, უეჭველად სამოთხეში შევა.“[23]

ის, ვინც ამ სიტყვას წარმოთქვამს და მისით იცხოვრებს, სარგებელს მიიღებს. ზოგი მათგანი შემდეგია:

1) სამოთხეში შესვლა,
2) ცეცხლისგან გადარჩენა,
3) ჯოჯოხეთიდან გამოსვლა,
4) ალლაჰის შუამავლის მუჰამმედის შუამდგომლობის მიღება[24]

---

[17] თირმიზი, 2639.
[18] ალლაჰის მონა-მსახური.
[19] თირმიზი, 3590.
[20] ჩემო ბატონო.
[21] გადმოგვცემს ჰაქიმი. ჰადისი სახიხია.
[22] ბუხარი, 425.
[23] ბუხარი, 5827.
[24] ალლაჰის ნებით.

5) ამქვეყანაზე (დედამიწაზე) ქონებისა და სისხლის უსაფრთხოება,

6) ამქვეყანაზე და იმქვეყანაზე უსაფრთხოდ ყოფნა.[25]

იბნი რეჯებ ალ-ჰანბელი 'ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ'-ის ხარისხს შემდეგნაირად განმარტავს: „სიტყვა 'ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ' სამოთხის სამაგიეროა. ის, ვინც ამ სიტყვების წარმოთქმის დროს გარდაიცვლება, სამოთხეში შევა. ეს სიტყვა ცეცხლისგან დასაცავად საუკეთესოა. ცოდვის ფურცლებს წაშლის და გულში რწმენას განაახლებს. ზიქრებიდან ყველაზე ღირებული სიტყვაა. ამელებიდან[26] ყველაზე ღირსეული და ყველაზე დიდი მადლის მქონე სიტყვაა. ამ სიტყვით ალლაჰს ეშმაკისგან მივეკედლებით. საფლავის სიმხეცისგან თავდაცვაა. მისი მთქმელისთვის სამოთხის რვა კარი გაიხსნება და საიდანაც სურს იქიდან შევა. ცოდვილი მუსლიმები ცოდვის სანაცვლოდ ჯოჯოხეთში მოხვდებიან, ხოლო შემდგომ ამ სიტყვის საფუძველზე ჯოჯოხეთიდან გამოვლენ და სამოთხეში შევლენ."[27]

ეს სიტყვა ყოველი შუამავლის საერთო მოპატიჟებაა, დაწყებული ადამ-იდან ('ალეისალამ), დამთავრებული მუჰამმად (სალლალლაჰუ 'ალეიჰი ვა სალლამ) შუამავალზე. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„21/25. და ჩვენ არ წარგვიგზავნია შენ უწინ არც ერთი შუამავალი, რომ არ ზეშთაგვეგონებინა მისთვის: ,,არ არსებობს ღვთაება, გარდა ჩემი. ამიტომაც მხოლოდ მე მეცით თაყვანი!"

ყოველმა შუამავალმა თავის ხალხს მოუწოდა, რომ უზენაესი ალლაჰის გარდა სხვაზე თაყვანი არ ეცათ. ხალხს კარგად აუხსნეს, რომ ადამიანების ცხოვრების სხვადასხვა კანონებითა და წესებით განსაზღვრის უფლება ალლაჰის გარდა არავის ჰქონდა. ასევე,

[25] ჩამონათვლის სანახავად იხილეთ „პრაქტიკული აყიდის გაკვეთილები, გვ. 48, 49."

[26] ქმედებებიდან.

[27] ქელიმეთუ'ლ იხლას, გვ. 54.

უფლება არ ჰქონდათ გამოეცათ ისეთ კანონები, რომლებზეც ალლაჰს ნება არ მიუცია.

„23/32. ამგვარად, ჩვენ წარვგზავნეთ მათთან შუამავალი მათივე წიაღიდან, რომ ეცათ თაყვანი ალლაჰისთვის, რამეთუ არ გყავთ სხვა ღმერთი, გარდა მისი, ეგების შეიქმნეთ ღვთისმოშიშნი (2) (და იწამოთ)?“

ორი ღვთაების ერთად დაყენება აკრძალულია

უზენაესი ალლაჰი მთელი კაცობრიობის ერთადერთი ღვთაებაა. მან მისთვის თანაზიარის გაჩენა აკრძალა. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„16/51. და ბრძანა ალლაჰმა: „არ დაიდგინოთ ორი ღმერთი, იგი მხოლოდ ერთია. მაშ, მხოლოდ ჩემი გეშინოდეთ!“

აიათში მოცემული სიტყვა „არ დაიდგინოთ ორი ღმერთი“ არ ნიშნავს იმას, რომ ორის გარდა სამი, ოთხი ან მეტი ღმერთის დადგენა დასაშვებია. მევდუდი ამბობს: „ორი ღმერთის არსებობის უარყოფა ორზე მეტი ღმერთის არსებობის უარყოფასაც გულისხმობს.“[28]

ისევე, როგორც შექმნა, სარჩო-საბადებლის მოცემა, სიკვდილი და გაცოცხლება მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის, ასევე მმართველობა, კონტროლი, დაკანონება, მისდამი სიყვარული და შიში, მასზე ვედრების გაკეთება, მისგან რაღაცის თხოვნა, მასზე ღვთისმსახურებაც მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის.

სხვას რატომ ანიჭებს მმართველობისა და დაკანონების უფლებას ის ხალხი, რომლებსაც სწამთ რომ ერთადერთი შემქმნელი ალლაჰია?! უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„43/84. და იგია, რომელიც ღვთაებაა ცაში და ღვთაებაა ქვეყანაზე, და იგი ბრძენია, ყოვლისმცოდნეა!“

ცის წყობას ვინც აყალიბებს მიწის წყობაც იმან უნდა ჩამოაყალიბოს. ის, ვინც ალლაჰს მხოლოდ და მხოლოდ წვიმის მომყვანად, მზისა და მთვარის მომწესრიგლებლად თვლის და მას დედამიწის მართვის უფლებას არ ანიჭებს, მაშინ აბუ ჯაჰილის მსგავსად ქააფირია.[29] აბუ ჯაჰილისა და მსგავს ადამიანებს შორის განსხვავება არ არსებობს.

[28] თეფჰიმუ'ლ-ყურან, 3/33

[29] ურწმუნოა

რელიგიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გაყოფა ალლაჰზე დაპირისპირებაა. რელიგია სახელმწიფოს მართვისთვის არის. სახელმწიფო სახელმწიფო ვერ იქნება თუ მას რელიგია არ მართავს.

საიდ ქუთბი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „ჯაჰილი თემი ერთი სახის კი არა, არამედ სხვადასხვა სახის გვხვდება. სახელი რაც არ უნდა ის ჰქონდეთ, ეს თემი მაინც ჯაჰილ თემად ითვლება. მაგალითად: ჯაჰილ თემს შეუძლია, რომ ალლაჰის უარმყოფელად გამოგვესახოს, რომლებიც სოციალიზმისა და დიალექტური მატერიალიზმის სახით გვევლინებია. ზოგჯერ ალლაჰის არსებობას არ უარყოფს, თუმცა ალლაჰს მხოლოდ და მხოლოდ გაჩენის თვისებას ანიჭებს და შარიათის დაკანონებაზე უარს აცხადებს. ისინი ეკლესიებს, მინარეებს, მეჩეთებსა და სასწავლებლებს თავისუფალს ხდიან, თუმცა მათში შარიათის დაკანონებას კრძალავენ, მაშინ როცა უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს, რომ ცაშიც და მიწაზეც 'ილაჰი'[30] თვითონაა. ამგვარად ჯაჰილი ხალხი ალლაჰის 'ულუჰიეთ'[31] თვისებას არაფრად აგდებს, რაც ალლაჰის უარყოფაში ეთვლებათ, ეს კი, ურწმუნოებაა. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს: „12/40. უეჭველად, მსჯავრის დადება მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. მან ბრძანა, რომ არ სცეთ თაყვანი არავის, მის გარდა. აი, ესაა ჭეშმარიტი სარწმუნოება."[32]

„21/29. და ვინც მათგან იტყვის: „უეჭველად, მეც ღმერთი ვარ, მის გარდა", სწორედ მაშინ დავსჯით მას ჯოჯოხეთით. სწორედ ასე ვუზღავთ უსამართლონს (2) (წარმართნს)!"

„6/19. როგორღა ამოწმებთ თქვენ, რომ ალლაჰთან ერთად სხვა ღმერთები არიან?" მიუგე: „არ ვამოწმებ!" უთხარი შენ: „მხოლოდ იგია ღმერთი ერთი, და უეჭველად, შორსა ვარ იმისგან, რასაც უთანაზიარებთ თქვენ!"

[30] ღვთაება.
[31] ღვთაებრივ.
[32] მეა'ლიმ ფი-ტარიყ, გვ. 132.

‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის პირობები

სიტყვა „პირობის“ მნიშვნელობა

ერთად ვნახოთ თუ როგორ განმარტავენ სწავლულები ამ სიტყვას. შამ-ის[33] ცნობილი სწავლულებიდან ერთ-ერთი მუსტაფა საიდ ალ-ჰინნი სიტყვა „პირობას“ შემდეგნაირად განმარტავს: „პირობა არის ის, რომლის არ არსებობაც საკითხს/ქმედებას აუქმებს და რომლის არსებობის შემთხვევაშიც საკითხის/ქმედების არსებობა სავალდებულო არ არის.“[34]

ვაჰბა ზუჰაილიც დაახლოებით იგივენაირად განმარტავს.[35]

ახლა კი, „პირობის“ მნიშვნელობა მაგალითების საფუძველზე გავნმარტოთ. მაგალითად, აბდესი ნამაზის შესრულებისთვის აუცილებელი პირობაა. აქედან გამომდინარე, უაბდესოდ ნამაზის შესრულება არ შეიძლება, რადგან აბდესი მისი პირობაა. ამავდროულად, შეიძლება პიროვნებას აბდესი აღებული ჰქონდეს, თუმცა ნამაზის შესრულება მისთვის სავალდებულო არ იყოს.

ახლა კი, ზემოთ მოცემული მაგალითი „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის პირობებს დავუკავშიროთ.

მაგალითად, „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის ერთ-ერთი პირობა ენით წარმოთქმაა. პიროვნება დამოწმების (შაჰადის) პირობებიდან რომელიმე პირობას თუ არ შეასრულებს, ნამდვილი მუსლიმი ვერ იქნება. „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“ - თავჰიდი სამოთხის გასაღებია. პიროვნებების ან საზოგადოების გადარჩენა ამ სიტყვებთანაა დაკავშირებული. თავჰიდის სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ ენით წარმოთქმისგან არ შედგება. იმისათვის, რომ პიროვნების მოწმეობა ალლაჰის წინაშე მიღებული იყოს, საჭიროა იმ პირობების

[33] დამასკო.

[34] ალ- ქაფი’ლ-ვაფიი ფი უსული’ლ-ფიყჰი’ლ-ისლამიი, გვ. 52, გამოცემა: მუესსესეთუ’რ-რისალე.

[35] უსულუ’ლ ფიყჰი’ლ ისლამი, 1/99. გამოცემა: დარუ’ლ-ფიქრი’ლ მუასირ.

შესრულება, რომლებიც მას თან ახლავს. როგორც ნამაზს, მარხვას, ჰაჯობას და სხვა ღვთისმსახურებებს თავიანთი პირობები გააჩნიათ, რომელთა გარეშეც ისინი მიუღებელია, ასევე მოწმეობასაც თავისი პირობები და ვალდებულებები აქვს. თავჰიდის დამმოწმებელი სამოთხეში მაშინ მოხვდება, როცა მისი ყველა პირობა შესრულებული იქნება. პიროვნება თავისი ქმედებით მოწმეობის პირობებიდან რომელიმეს ან ყველას თუ დაარღვევს, მაშინ წარმოთქმული შაჰადა სარგებელს არ მოუტანს. ეს შეხედულება ჰასანისგან და ვაჰბ ბინ მუნებბიჰისგან არის გადმოცემული, რომელიც ყველაზე ძლიერი შეხედულებაა.[36]

სხვა გადმოცემის მიხედვით, ვაჰბ ბინ მუნაბბიჰ-ს ჰკითხეს: „სიტყვა 'ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ' სამოთხის გასაღები არ არის?", მან უპასუხა: „რათქმაუნდა ეგრეა, თუმცა გასაღებს კბილები აქვს... როგორც ვიცით უკბილო გასაღები არცერთ კარებს არ ხსნის. შენ კბილებიანი გასაღების მოტანას თუ შეძლებ, ის შენთვის სამოთხის კარებს გახსნის. წინააღმდეგ შემთხვევაში კარი არ გაიხსნება."[37]

ისლამის მეცნიერებმა „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ"-ის ცხრა პირობა აღნიშნეს:

1) ცოდნა
2) ტაღუთის უარყოფა
3) დამოწმება
4) გულწრფელობა
5) სიმყარე
6) სიყვარული
7) მორჩილება
8) საჭიროებისამებრ მოქმედება
9) ამ რწმენით სიკვდილი.

[36] იბნ-ი რეჯეფ ალ-ჰანბელი, ქელიმეთუ'ლ იხლას, გვ.7.
[37] ბუხარი, ქითაბუ'ლ ჯენაიზ, პირადი მიზნისთვის გამოყენებული ცნობები, გვ. 156.

ახლა კი, თითოეული მათგანის განმარტებას შევუდგეთ. დამხმარე და წარმატების მომცემი მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი ალლაჰია.

პირველი პირობა

„ცოდნა“

„ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის მნიშვნელობის ცოდნა

ცოდნა ალლაჰის წყალობებიდან საუკეთესოა, რომელიც ადამიანს ებოძა. ადამიანი კარგისა და ცუდის, ჰარამისა და ჰალალის გარჩევას ცოდნის მეშვეობით შეძლებს. რწმენა ცოდნის საფუძველზე იზრდება, რის გამოც უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„და თქვი: „ღმერთო ჩემო! შემმატე ცოდნა!“[38]

აჰმად ბინ ჰანბელი (რაჰიმაჰულლაჰ/ალლაჰის წყალობა მას) ცოდნის ღირებულებას/ფასს შემდეგნაირად აღწერს: „ადამიანს ცოდნა საკვებზე მეტად სჭირდება.“[39]

ალი (რადიალლაჰუ ‘ანჰ/ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) ამბობს: „ცოდნა ქონებაზე უფრო ღირებული და სასარგებლოა. ცოდნა შენ დაგიცავს, ხოლო ქონება შენ უნდა დაიცვა. ცოდნა გაზიარების შემთხვევაში იზრდება, ქონება კი, გაზიარების შემთხვევაში მცირდება.“[40]

მუაზ ბინ ჯაბალი (რადიალლაჰუ ‘ანჰ/ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) ამბობს: „ცოდნა შეიძინეთ, რადგან ცოდნის შეძენა ალლაჰის შიშზე მიუთითებს. ცოდნის შეძენა ღვთისმსახურებაა. ცოდნის მიღებისთვის გარჯა ჯიჰადია. ცოდნა ნამდვილი მეგობარია. რელიგიის შესწავლაში გიდი, ხოლო კარგ თუ ცუდ დღეს დამხმარეა...“ ცოდნის სარგებლისა და ღირებულების ახსნა-განმარტება შეუძლებელია. ცოდნისკენ მისწრაფება და მისი შეძენა ყოველი მუსლიმის ვალდებულებაა. ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „ცოდნის შეძენა ყოველი მუსლიმი კაცისთვის და ქალისთვის ფარძია.“[41]

---

[38] სურა ტაჰა, 114.

[39] არ-რასულ ვა’ლ-ილმ, იუსუფ ალ-ქარადევი, გვ. 12.

[40] არ-რასულ ვა’ლ-ილმ, იუსუფ ალ-ქარადევი, გვ. 11.

[41] ალ-ჯამიუ’ს სა’ირ, 5264. სახიხია.

„ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის პირობებიდან ერთ-ერთი ცოდნის მიღებაა ანუ ცოდნა იმისა, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა და ის, რომ მის გარდა არავინ ფლობს მსგავს თვისებებსა და სახელებს. ამ საკითხის ცოდნის გარეშე რწმენა ნამდვილი ვერ იქნება. „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის ცოდნა თავჰიდისთვის (ერთღმერთიანობისთვის) აუცილებელია/ფარძია. როგორ შეძლებს ადამიანი ცოდნის გარეშე იმის გაგებას თუ რას მოითხოვს „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“? შეუძლებელია იწამო ეს ისე, რომ მისი მნიშვნელობა არ იცოდე. ხოლო ვისაც არ სწამს მუსლიმი ვერ იქნება. როგორც ვხედავთ ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. დალილი (არგუმენტი) იმის შესახებ, რომ ცოდნა „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის პირობაა: უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს: **„47/19. მაშ იცოდე, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა.“** ალლაჰმა აიათში ნახსენები „მაშ იცოდე“ სიტყვით, ცოდნის მიღება ჩვენთვის ფარძად დააწესა. ამ ფარძის მიმტოვებლები შირქისთვის განწირულები არიან.

„14/52. ეს (1) (ყურანი) არის ცხადი ცნობარი ადამიანთათვის, რომ შეაგონონ ამით და იცოდნენ, რომ მხოლოდ იგია (2) (ალლაჰი) ერთადერთი ღვთაება და რომ განსაჯონ ბრძენკაცთა ჭკუასაკითხთა!“

„43/86. გარდა ვინც დაამოწმა ჭეშმარიტება (4) (რომელმაც თქვა: არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა). და ისინი უწყიან (5) (თქვა ენით და დაამოწმა გულით).“

იმამ მუსლიმის სახიხ-ში ალლაჰის შუამავლის (სალლალლაჰი ‘ალეიჰი ვა სალლამ) ჰადისია გადმოცემული, სადაც შუამავალი ამბობს, რომ: „ის, ვინც ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის ცოდნით მოკვდება, სამოთხეში შევა.“[42]

ალლაჰის შუამავალმა სამოთხეში შესვლა „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის ცოდნას დაუკავშირა. აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტი ცოდნა „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის არის ის, როცა მისი მნიშვნელობა გვეცოდინება და ასევე ის თუ რა უნდა მივიღოთ და

[42] მუსლიმ: ქითაბუ’ლ იმან, 26.

რა უნდა უარვყოთ. ჰადისიდან გამომდინარე ადამიანი, რომელსაც არ ეცოდინება შაჰადა, სამოთხეში ვერ შევა.[43]

„ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის ცოდნა, მის მიხედვით მოქმედებამდეა (ანუ ჯერ ცოდნის მიღება, შემდეგ კი ცოდნის მიხედვით მოქმედება).

„ცოდნა სიტყვისა და ქმედების წინამძღვარია.“ ყველა დანარჩენი საკითხი თავჰიდის ცოდნის შემდეგ უნდა იქნას შესწავლილი. ასეთი იყო საჰაბეების გზა. ისინი ჯერ თავჰიდს, შემდეგ კი, სხვა დანარჩენს სწავლობდნენ. ამის შესახებ ჯუნუბ ბინ აბდულლაჰ (რადიალლაჰუ ‘ანჰ) ამბობს: „ჩვენ ახალგაზრდობაში ალლაჰის შუამავალთან ერთად ვიყავით. ჯერ თავჰიდი და შემდეგ ყურანი შევისწავლეთ. რისი საშუალებითაც (ყურანის სწავლით) რწმენა გავიღრმავეთ.“[44]

აბდულლაჰ იბნ-ი ომერი (რადიალლაჰუ ‘ანჰ) ამბობს: „დიდი ხანი ვიცხოვრე. ყოველივე ჩვენგანს ყურანის შესწავლამდე თავჰიდს გვასწავლიდნენ. შემდეგ ისეთი ხალხი ვნახე, რომლებიც თავჰიდამდე ყურანს სწავლობენ, ფათიჰა სურას კითხულობენ, თუმცა არ იციან რა არის აკრძალული და ნებადართული.“[45]

დღესდღეობით ისლამის მომწოდებლებიდან უმრავლესობა ხალხს თავჰიდამდე ყურანს აზეპირებინებს, ხოლო რაც უპირველესად შესასრულებელია იმას არ ასრულებენ. ეს მეთოდი ალლაჰის შუამავლის მიერ (სალლლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) საჰაბეებისათვის ნასწავლი მეთოდის საწინააღმდეგოა. ამის გამოსასწორებლად მოსწავლეს ჯერ თავჰიდი უნდა ვასწავლოთ, შემდეგ კი ყურანი. ისლამის ისტორიაში და ალლაჰის შუამავლის ცხოვრებაში ნათლად ვხედავთ იმას, რომ შუამავალი საჰაბეს სხვა ადგილას რელიგიის გასავრცელებლად თუ გააგზავნიდა, თან დააბარებდა, რომ მათთვის უპირველესად თავჰიდი აეხსნა.

---

[43] შურუტუ ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ, აბდუ’ლ მუნ’იმ მუსტაფა ჰალიმე, გვ. 45.

[44] იბნ-ი მაჯე, 61. ჰადისი სახიხია.

[45] ჰადისებით მუსლიმანობა, 3/512.

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ჰადისი, სადაც ალლაჰის შუამავალი მუაზ ბინ ჯაბალს ეგვიპტეში აგზავნის: ალლაჰის შუამავალი (სალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „ჰეი მუაზ! უეჭველად, შენ აჰლი ქითაბის ხალხთან მიდიხარ (ქრისტიანები და ებრაელები). პირველად მათ მოუწოდე, რომ ‘არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა და მუჰამმადი მისი მსახური-შუამავალია’. ამას თუ იწამებენ, შემდეგ აცნობე, რომ ალლაჰმა მათთვის დღეში ხუთჯერ ნამაზის ლოცვა ფარძად (სავალდებულოდ) დააწესა.“[46]

აბდულმუ’მინ-ი ჰადისის განმარტებაში ამბობს: „სიტყვებში ‘თუ ალლაჰს იწამებენ’ იგულისხმება, რომ თუ ალლაჰის სახელებსა და თვისებებს შეიცნობენ და თუ მათ საფუძველზე ღვთისმსახურებაში ალლაჰს თანაზიარს არ დაუდგენენ, მაშინ აცნობე, რომ დღეში ხუთჯერ ნამაზის შესრულება ალლაჰის მიერ ფარძად დაწესდა. დღესდღეობით კი, ნახავთ თუ მომწოდებილი მოსწავლეს ნამაზისკენ, მარხვისკენ და ზექათისკენ როგორ მოიპატიჟებს მაშინ, როცა ჯერ თავჰიდისკენ უნდა მოიპატიჟოს, შემდეგ კი, დანარჩენზე...“[47]

როგორც ვხედავთ, ჰადისის მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვანი თავჰიდისკენ მოწოდება და მისი შესწავლაა. დანარჩენი საკითხები კი, ამის შემდეგ მოდის. თავჰიდის (ერთღმერთიანობის) შესწავლის გარეშე სხვა საკითხების მოსწავლეებზე გადაცემა სარგებელს არ მოიტანს, რადგან რა სარგებელი ექნება შენს მიერ შესრულებულ ღვთისმსახურებას, როცა არ იცი თავჰიდი? ასეთი ადამიანის გული მოკაზმული სახლის მსგავსია, რომელსაც საძირკველი არ აქვს. შენ რა დონეზეც უნდა შეამკო სახლი, ადრე თუ გვიან სულ მცირე შერყევის შემდეგ ჩამოინგრევა. აქედან გამომდინარე, სხვა ღვთისმსახურებებამდე ჯერ თავჰიდისკენ უნდა მოვუწოდოთ. მაშინ, როცა შენი სახლის

[46] ბუხარი, ზექათ, 1; ზექათ, 44.

[47] შურუტუ ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ, აბდუ’ლ მუნ’იმ მუსტაფა ჰალიმე, გვ. 46.

საძირკველი თავჰიდით იქნება გამაგრებული, რა დონეზეც გსურს იმ დონეზე შეგიძლია შეალამაზო ის.

ჩვენ ვთქვით, რომ „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის პირობებიდან პირველი „ცოდნა“ იყო. თუმცა, ჩვენ ამ სიტყვაში არ გვიგულისხმია ისეთი ცოდნა, რომელიც გულს მოძრაობაში არ მოიყვანს და მხოლოდ თეორიულად შემოიფარგლება. ის, რაც ჩვენ „ცოდნა“-ში ვიგულისხმეთ არის: ცოდნა, რომელიც მის მფლობელს რწმენას შემატებს და პიროვნებას ალლაჰის რელიგიის განსადიდებლად მოქმედებაში მოიყვანს. ალლაჰის კმაყოფილებისთვის შეიყვარებს და ალლაჰის კმაყოფილებისთვის შეიძულებს. ცოდნა, რომელიც მისი მფლობელის ხასიათზე, ქმედებაზე და ცხოვრებაზე აისახება. ცოდნა, რომელიც მის მფლობელზე ამგვარად არ აისახება, ტვირთია, რომელიც მის მფლობელს ცოდვებს შემატებს.

„62/5. იგავი იმათი, რომელთაც ეტვირთათ თევრათი, მერე არ შეითვისეს იგი, სახედრის იგავის დარია, რომელიც ზიდავს წიგნთა კრებულს.“

აქედან გამომდინარე, რელიგია ალლაჰის წიგნიდან და მისი შუამავლისგან უნდა შევისწავლოთ, რომელიც შემდგომ მოქმედებაში უნდა მოვიყვანოთ. მანამ, სანამ ამ საკითხს დავასრულებდე, მინდა მოკლედ ვუპასუხო შეკითხვას, რომელსაც ხშირად მეკითხებიან: პირველად ისლამის მიღების დროს იძულებულია თუ არა არამუსლიმი (რომელსაც წარმოდგენა არ აქვს რა არის ისლამი) იცოდეს „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის ყველა მნიშვნელობა და პირობა? პასუხი შემდეგია: ისლამში შესვლისთვის „ქელიმეი თავჰიდი“-ს წარმოთქმა საკმარისია. წარმოთქმის დროს თავჰიდის ყველა პირობისა და მნიშვნელობის ცოდნა იძულებითი არ არის. თუმცა, რაც შეიძლება მალე უნდა შეისწავლოს ეს საკითხი. ქელიმეი თავჰიდის წარმოთქმის შემდეგ შორს უნდა დადგეს ყოველგვარი ქუფრისგან და შირქისგან. ასეთ მდგომარეობაში ის უკვე მუსლიმად ჩაითვლება. ვრცლად ამის შესახებ მოგვიანებით, „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის პირობების ახსნა-განმარტების შემდეგ ვისაუბრებთ.

მდგომარეობა და ჰუქმი პიროვნების, რომელმაც თავჰიდი არ იცის

ისლამის სწავლულები თავჰიდის უცოდინარ პიროვნებებს ორი სათაურის ქვეშ განიხილავენ:

1) ნამდვილი ქააფირები (ურწმუნოები),

2) ყიბლის აჰლი (თემი), რომლებიც საკუთარ თავს ისლამს მიაკუთვნებს.

1- ნამდვილი ქააფირი ორ ჯგუფად იყოფა:

A) ჯგუფი, რომელსაც უცოდინრობა საპატიო მიზეზად ეთვლება და

B) ჯგუფი, რომელსაც უცოდინრობა საპატიო მიზეზად არ ეთვლება.

ახლა კი, სათითაოდ განვმარტოთ:

1-A) ურწმუნოები, რომლებისთვისაც უცოდინრობა საპატიო მიზეზად ითვლება

ისინი მიეკუთვნებიან იმ საზოგადოებას, რომლებთანაც შუამავლებისა და წმინდა წიგნების შესახებ ინფორმაცია არ მისულა ან რომლებთანაც მივიდა ცნობა, თუმცა ლიტერატურის მოპოვება და მისით მოქმედება ვერანაირად ვერ შეძლეს. მსგავსი ხალხის იმქვეყნიური მდგომარეობის შესახებ, ისლამის სწავლულებს შორის სხვადასხვა აზრია. ზოგიერთი მათგანი ჰადისზე დაყრდნობით ამბობს, რომ ისინი იმქვეყანაში გამოცდას გაივლიან. ჰადისი შემდეგნაირად არის გადმოცემული: „ოთხი ჯგუფი თავიანთი უცოდინრობის საპატიო მიზეზად ჩათვლისთვის ოთხ არგუმენტს წარადგენს. მათგან პირველი არის ყრუ, რომელმაც ვერაფერი ვერ გაიგონა. მეორე არის პიროვნება, რომელიც გიჟია. მესამე არის მოხუცი, რომელიც უცოდველი ბავშვის მსგავსია. მეოთხე არიან ის პიროვნებები, რომლებიც ‘ფეთრეთ’-ის (დროის მონაკვეთი, რომელშიც შუამავალი არ იყო მოვლენილი) დროს გარდაიცვალნენ. ყრუ ალლაჰს მიმართავს: ‘ია ალლაჰ! ისლამი მოსულა, მაგრამ მე ვერაფერი გავიგონე.’ გიჟი

იტყვის: ‘ია ალლაჰ! ისლამი მოვიდა თუმცა მე ვერაფერი ვერ გავიგე (ფიზიკურად ვერ შევძელი ეს), რის გამო (ჩემი სიგიჟის გამო) ბავშვებიც კი, დამცინოდნენ.’ მოხუცი კი, იტყვის: ‘ია ალლაჰ! ისლამი მოვიდა, თუმცა რა უნდა გამეკეთებინა ვერ გავიგე.’ ფეთრეთ-ის დროს გარდაცვლილი იტყვის: ‘ია ალლაჰ! შენს მიერ გამოგზავნილ შუამავალს ჩემამდე არ მოუღწევია.’ ამის შემდეგ ალლაჰი მათგან სიტყვას აიღებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს უნდა დაემორჩილონ, რის შემდეგაც მათ შუამავალს მიუჩენს, რომელიც მათ ეტყვის: „შედით ცეცხლში“. ვინც ალლაჰის ბრძანებას დაემორჩილება და ცეცხლში შევა, ცეცხლი მათთვის სარგებლიანი აღმოჩნდება, ხოლო ვინც ალლაჰის ბრძანების წინააღმდეგ მოიქცევა და ცეცხლში არ შევა, ალლაჰი ცეცხლს მათთვის მწველს გახდის და შიგნით ჩაყრის.“[48]

ხოლო, ზოგიერთი სწავლულის აზრით, იმქვეყანაში გამოცდა აღარ იქნება, რის გამოც ის, ვინც ამ ქვეყანას ურწმუნოდ დატოვებს, სამუდამოდ ჯოჯოხეთში მოხვდება.

თუმცა, სწავლულთა საერთო აზრით, ამქვეყანაზე მათი ჰუქმი არის, როგორც ურწმუნო ანუ ისეთ გარდაცვლილს თუ მოვესწარით, რომელთანაც არ მისულა მოჰატიჟება, მის ჯანაზას არ შევასრულებთ და მუსლიმთა გვერდით არ დავკრძალავთ.

1-B) ურწმუნოები, რომლებისთვისაც უცოდინრობა საპატიო მიზეზი არ არის

ამ ჯგუფს მიეკუთვნება ადამიანთა ის ნაწილი, რომლებთანაც ალლაჰის სიტყვა (ყურანი) და შუამავლის გზა (სუნნეთი) მივიდა, თუმცა არ მიაქციეს ყურადღება და არ ჩათვალეს საჭიროდ, რომ გამოეძიათ და ეპოვათ ჭეშმარიტება ანუ ცოდნის მოსაპოვებლად ძალისხმევა არ გამოიჩინეს. ასეთი ხალხის უცოდინრობა უპატიებელია. მათი ჰუქმი ამქვეყანაზეც და იმქვეყანაზეც არის ურწმუნოება. ისინი ჭეშმარიტი ცოდნის მიღებას არ შეეცადნენ, რის გამოც ქუფრში ჩავარდნენ და მანამ, სანამ ამ მდგომარეობის გამო

[48] ჰადისი აჰმად ბინ ჰანბელისა და იბნ-ი ჰიბბან-ის მიერ არის გადმოცემული, სახიხია.

ქუფრში იქნებიან, ამქვეყანაზე და იმქვეყანაზეც ურწმუნოებად ჩაითვლებიან, რის გამოც სამუდამოდ ჯოჯოხეთში დარჩებიან.

2- ყიბლის აჰლი (თემი), რომლებიც საკუთარ თავს ისლამს აკუთვნებს

ისლამის სწავლულებმა ადამიანთა ის ნაწილი ოთხ ნაწილად დაყო, რომლებიც ისლამში შევიდნენ და თავჰიდის რამოდენიმე საკითხის უცოდინრობის გამო რელიგიის წინააღმდეგობაში მოვიდნენ. უცოდინრობა მსგავსი პიროვნებებისათვის საპატიოა? თავჰიდის დარღვევის შედეგად ქუფრში ჩავარდნილი ადამიანების თავის გასასამართლებელი მიზეზები მისაღებია? დღესდღეობით ეს და სხვა მსგავსი კითხვები პოპულარულია. ეს საკითხი ჩვენს მთავარ თემას არ ეხება, ამიტომ ამ თემაზე მოკლედ ვისაუბრებთ. ახლა კი, ზემოთ მოხსენიებული ოთხი ნაწილი სათითაოდ ჩამოვწეროთ.

2-A) პირველი ნაწილი: ისლამში მყოფი პიროვნებები, რომლებმაც თავჰიდის ზოგიერთი საკითხი ფიზიკურად ვერ შეისწავლეს, ქუფრიდან ახალად გამოვიდნენ ან ცოდნასთან მიღწევა ვერ შეძლეს, ცოდნას კი, მათთან არ მიუღწევია. მსგავსმა პიროვნებებმა ქუფრი რომ შეასრულონ, ეგრევე თაქფირი არ კეთდება. დაშვებული შეცდომა ახსნილი უნდა იქნას ანუ ჰუჯჯა (ახსნა-განმარტება და მოპატიჟება მონანიებისკენ) უნდა გაკეთდეს და პიროვნების ეჭვები ჭეშმარიტი და სრული დალილების საფუძველზე უნდა გაქარწყლდეს. არგუმენტი „ზატ-უ ენვატ“-ის ჰადისია, რომლის მიხედვითაც, ისლამში ახალად შესულმა საჰაბეებმა ალლაჰის შუამავლისგან ხე მოითხოვეს, რომელზეც მუშრიქები იმედს ამყარებდნენ, თუმცა შუამავალს მათთვის ეგრევე თაქფირი არ გამოუტანია.[49]

2-B) მეორე ნაწილი: პიროვნებების ჯგუფი, რომლებმაც სიზარმაცის ან უინტერესობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ცოდნის მიღების საშუალება ჰქონდათ, თავჰიდის აუცილებელი

[49] თირმიზი, 2180. სახიხია.

პირობები არ შეისწავლეს, რის გამოც ქუფრში ჩავარდნენ. მსგავსი ქმედებით გამოწვეული უცოდინრობა საპატიო მიზეზი ვერ იქნება. ამქვეყანაში მსგავსი პიროვნებების ჰუქმი ურწმუნოებაა. რაც შეეხება იმქვეყანას, თუ ასეთ მდგომარეობაში (ანუ ურწმუნო მდგომარეობაში) მოკვდებიან, სამუდამო ჯოჯოხეთში მოხვდებიან.

ტყუილად დახარჯული დრო ისლამისთვის, რომ დაეთმოთ, უცოდინრობისგან გადარჩენილები იქნებოდნენ. მათ კი, ცოდნას უცოდინრობა, ხოლო ჰიდაეთს (ჭეშმარიტ გზას) მცდარი გზა არჩიეს. მაშინ, როცა ცოდნა უცოდინრობაზე სასარგებლოა. ალიმ (რადიალლაჰი ‘ანჰ) თქვა: „ცოდნის ფასეულობის გაგება-მიხვედრა შესაძლებელია მაშინ როცა, მცოდნეს სახეზე ცოდნის მიღების გამო სიხარულს შევნიშნავთ, ხოლო უცოდინარის მიერ ნათქვამი სიტყვები „მე უცოდინარი არ ვარ“, საკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რაოდენ ცუდი რამ არის უცოდინრობა.“50

3-C) მესამე ნაწილი: პიროვნებების ჯგუფი, რომლებმაც თავჰიდის საფუძვლები შეისწავლეს, თუმცა ზოგიერთი მეორე ხარისხოვანი საკითხის უცოდინრობის გამო წინააღმდეგობაში მოექცნენ. ეს ხალხი ცოდვილ ხალხად ითვლება და მათზე თაქფირი არ კეთდება.

4-D) მეოთხე ნაწილი: პიროვნებების ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა ‘იჯთიჰად’-ზე [51] დაყრდნობით მეორე ხარისხოვანი საკითხების უცოდინრობის გამო წინააღმდეგობაში მოექცა. ესენი ცოდვილები არ არიან, თუმცა ჰუჯჯის გაკეთება აუცილებელია.

მესამე და მეოთხე ნაწილს შორის განსხვავება შემდეგია: მესამე ნაწილში ნათქვამია, რომ პიროვნებამ ძალისხმევა არ გამოიჩინა და თავჰიდის მეორე ხარისხოვანი საკითხების უცოდინრობის გამო ცოდვაში ჩავარდა. მეოთხე ნაწილში კი, ნათქვამია, რომ პიროვნებებმა სხვადასხვა სანდო სწავლულის მოსაზრებებს

[50] “მედარიჯუ’ს-სალიხინ”, 1/470.

[51] სწავლულების სხვადასხვა შეხედულება.

დაეყრდნენ, რის გამოც ერთმანეთის წინააღმდეგ მოექცნენ. ეს სიტუაცია კი მათ ცოდვაში არ აგდებს.

აქვე მინდა აღვნიშნო ის, რომ თავჰიდის პირველ ხარისხოვანი თემების უცოდინარი პიროვნებები (უყურადღებობის ან სიზარმაცის გამო) ცოდვასთან ერთად ქუფრშიც არიან.

მეორე პირობა

„ტაღუთის უარყოფა“

„ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის მეორე პირობა ტაღუთის უარყოფა და მისგან შორს ყოფნაა. ტაღუთის უარყოფის გარეშე რწმენა სახიხი (სარწმუნო) არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი შუამავლის მისია ტაღუთის უარყოფა იყო, მისი მნიშვნელობა ადამიანთა უმეტესობამ არ იცის. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„16/36. და ვფიცავ! ჩვენ წარმოვგზავნეთ ყოველ ერთან შუამავალი, რათა ალლაჰისთვის ეცათ თაყვანი და განდგომოდნენ ტაღუთს...“

საჰაბეები თავიანთ შვილებს პირველად ამას ასწავლიდნენ.[52]

დღესდღეობით ადამიანთა უმეტესობამ ამ სიტყვის მნიშვნელობა არც კი იცის. ასევე, არ იცის თუ როგორ ან რა ფორმით უნდა უარყოს ტაღუთი. ჩვენი, როგორც მუსლიმების მისია ხალხზე ტაღუთის ახსნა-განმარტებაა. ჩვენი მიზანი თუ ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება იქნება, მაშინ ალლაჰის დახმარებით ყველა დაბრკოლებას გადავლახავთ.

„47/7. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუკი ალლაჰისთვის შეეწევით, ალლაჰიც შეგეწევათ და ფეხთა თქვენსა განამტკიცებს.“

ტაღუთის ზოგადი მნიშვნელობა შემდეგია: ზღვარს გადაცდომა, გარკვეული საზღვრის გადაკვეთა. ხოლო ისლამში მისი მნიშვნელობა შემდეგია: ტაღუთი არის ყველა (სულიერი) და ყველაფერი (უსულო), რაც ადამიანს ალლაჰისგან და მისი კანონებისგან აშორებს. ახლა კი, ვნახოთ თუ როგორ განმარტეს სწავლულებმა სიტყვა ტაღუთი.

იბნ-ი ყაიიმი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „ტაღუთი არის ყველა და ყველაფერი, რასაც ეთაყვანებიან, ემორჩილებიან და რაც მიზეზია იმის, რომ ადამიანმა ალლაჰის მიერ დაწესებული საზღვარი გადალახოს. ყოველი საზოგადოების ტაღუთი არის ის, რასაც ალლაჰის კანონების გარდა მის (ტაღუთის) კანონებს

[52] “ალ-მუსანნაფ”, 3518.

მიმართავენ, ალლაჰი მიატოვეს და მას სცეს თაყვანი. ვინც არ განსჯის იმით, რაც მოავლინა ალლაჰმა და მისმა შუამავალმა, ეს ნიშნავს, რომ მან (პიროვნებამ) მსაჯულად ტაღუთი აიყვანა.“[53]

იბნი თაიმიია (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „ტაღუთი არის ყველა და ყველაფერი, რასაც ალლაჰისა და მისი კანონების გარდა ემორჩილებიან. აქედან გამომდინარე, ტაღუთია ის, ვინც ალლაჰის გარდა სხვა კანონით განსჯის. ხოლო ვინც მათ სასამართლოს მიმართავს ტაღუთის მორჩილებაში ჩაეთვლება.“[54]

იმამ თაბერი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „ჩემი აზრით ტაღუთის მნიშვნელობა შემდეგია: ტაღუთი არის ყველა და ყველაფერი ის, რასაც ალლაჰის გარდა ემორჩილებიან. ტაღუთი შეიძლება იყოს ეშმაკი, კერპი, უსულო საგანი ან პიროვნება.“[55]

აბდურრაჰმან ალ-ბათნი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „ტაღუთია ყველა და ყველაფერი, რასაც ალლაჰის გარდა ეთაყვანებიან და რომლებიც საკუთარ თავზე მსახურებისთვის მოუწოდებს. აგრეთვე ტაღუთია ის, ვინც განსჯის კანონით, რომელიც განსხვავებულია ალლაჰის კანონებისა. ტაღუთია ჯადოს მკეთებელი და ის ხალხი, რომლებიც ხალხს გარდაცვლილებზე მსახურებისთვის მოუწოდებს. მათი მოსამსახურე და დამცველიც ტაღუთია. ყველაზე დიდი ტაღუთი კი ეშმაკია.“[56]

შეიხ მუჰამმად ალ-ფქი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „ტაღუთი არის ყველა ის კანონი, რომელიც ალლაჰის კანონის საწინააღმდეგოა და პროცენტის, ალკჰ. სასმელის და მრუშობის ჰალალად გამომცხადებელია...“[57]

ისლამის სწავლულებმა ტაღუთი ხუთ საფეხურად ჩამოაყალიბეს:

---

[53] ი’ლამუ’ლ-მუვაყყიინ, 1/50.
[54] მეჯმუუ’ლ-ფათვა, 28/200.
[55] თეფსირუ’თ-თაბერი, 3/13.
[56] ად-დურერუ’ს-სანიიე, 2/103.
[57] ფეთხუ’ლ-მაჯიდ, გვ. 282.

1)ეშმაკი: უეჭველად, ყველაზე დიდი ტაღუთი ეშმაკია. ყველა ცუდის სათავე ის არის. მან დაიფიცა, რომ ადამიანებს წარღვნის დღემდე ჭეშმარიტი გზიდან ააცდენდა.

„7/16. მიუგო (1) (ეშმაკმა): რაკი ჩემი გზიდან გადაცდენა ინებე, უთუოდ, ჩავუსაფრდები მე მათ (2) (ადამის მოდგმას) შენს სწორ გზაზედ (3) (გზა, რომლის საშუალებით შესაძლებელია ალლაჰთან ზიარება);

17. მერე, უთუოდ, გამოვეცხადები წინიდან და უკნიდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან (1) (ყველა მხრიდან, რათა ავაცდინო ჭეშმარიტ გზას. იბნი აბბასის გადმოცემის თანახმად, ეშმაკს არ ძალუძს ადამიანთან მიახლოვება ზემოდან, ვინაიდან, ზემოდან უზენაესი ალლაჰის წყალობით არის დაცული ადამიანი). და ვერ ჰპოვებ მათგან უმეტესს მადლიერს.“

აქვე მინდა აღვნიშნო ის, რომ სიტყვა ტაღუთი და სიტყვა ეშმაკი სხვადასხვაა. ეშმაკი ტაღუთია, თუმცა ტაღუთი ყოველთვის ეშმაკი არ არის. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„4/76. რომელთაც იწამეს, იბრძვიან ალლაჰის გზაზე; ხოლო რომელთაც უარყვეს, იბრძვიან ტაღუთის (1) (ეშმაკის გზაზე) გზაზე. მაშ, შეებრძოლეთ ეშმაკის მეგობრებს (2) (ვინც ეხმარებათ უზნეობისა და ურწმუნოების გავრცელებაში ეშმაკს, თქვენ დაამარცხებთ მათ ალლაჰის შეწევნით), უეჭველად, უძლურია მზაკვრობა (3) (მორწმუნეთა წინააღმდეგ) ეშმაკისა!“

ალლაჰმა აიათში ტაღუთი და ეშმაკი ცალ-ცალკე გამოიყენა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ორი ტერმინი ერთიდაიგივე არ არის. ყოველი ეშმაკი ტაღუთია, ხოლო ყოველი ტაღუთი ეშმაკი არ არის.

2)ჯადოქარი: საჰაბეებიდან ზოგიერთმა სიტყვა ტაღუთს ჯადოქრის მნიშვნელობა მიანიჭა. ჯადოქარი ხალხს სიმართლეს უმალავს და სიცრუეს ულამაზებს. ისლამის სწავლულების მიხედვით, ჯადოს გამკეთებელი შირქში ჩავარდება, რის გამოც მათი სასჯელი სიკვდილია.

3)წინასწარმეტყველი: წინასწარმეტყველი ეწოდება პიროვნებას, რომელიც მომავლისა და დაფარულის ცოდნას

აცხადებს. ზოგიერთი მათგანი მომავალს წინასწარმეტყველებს, ზოგიერთი კი დაკარგულ ნივთებს პოულობს, რის შესახებ ინფორმაციას „ამბების ქურდი“ ეშმაკი აწვდის. უეჭველად, წინასწარმეტყველება ქუფრია, რადგან დაფარულისა და მომავლის ცოდნას მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰი ფლობს. ყოველივე ამის გამო რამოდენიმე სწავლულმა ტაღუთს წინასწარმეტყველის მნიშვნელობა მიანიჭა.

4)კერპი: კერპი არის ის, რასაც ალლაჰის გარდა თაყვანს სცემენ, რის გამოც ტაღუთის მნიშვნელობას ატარებს.

5)ალლაჰის კანონების გარდა სხვა კანონების დამწესებელი: მმართველები, რომლებმაც ალლაჰის შარიათი ერთ მხარეს გადადეს და მის მაგივრად ადამიანის მიერ შექმნილი კანონი დააკანონეს. ადამიანი კანონების გამოცემისთვის არ შექმნილა. მისი შექმნის მიზეზი ცნობილია და ეს შარიათზე მიყოლით ალლაჰზე მსახურებაა. უმეტესმა მათგანმა ალლაჰის საქმე/უფლება თავის თავზე იკისრა და კანონების გამოცემა დაიწყო, რის გამოც ტაღუთის მნიშვნელობა მიენიჭა.

საიიდ ყუტბი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „დღესდღეობით რელიგიის პრობლემა ტაღუთია, რომელმაც ალლაჰის ღვთაებრიობის თვისება არაფრად ჩააგდო, ადამიანებს და მათ ქონებას საკუთარი ხელის მიერ შედგენილი კანონებით ასამართლებს... ჩვენ ალლაჰის შუამავლის გზა რომ აგვერჩია და მოპატიჟება „ალლაჰს ემსახურეთ და ტაღუთს განშორდით“ ამით რომ დაგვეწყო, ჭეშმარიტ გზას არ გადავუხვევდით.[58]

ახლა კი, მოვიყვანოთ არგუმენტები, სადაც ნათქვამია, რომ „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის პირობებიდან ერთ-ერთი ტაღუთის უარყოფაა. იმამ მუსლიმის სახიხის კრებულში გადმოცემულია: ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანა: „ვინც ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ს იტყვის და ალლაჰის გარდა

[58] საფუძვლები, რომლებიც მუსლიმებს აერთიანებს , აბდუ’ლ მუნ’იმ მუსტაფა, გვ. 35,36.

ყველა სათაყვანებელს უარყოფს, მისი ქონება და სული დაცული იქნება.“[59]

ჰადისში მოცემული სიტყვები: „...ალლაჰის გარდა ყველა სათაყვანებელს უარყოფს“ ტაღუთზე მიუთითებს. ალლაჰის შუამავალი ტაღუთის უარყოფას ორჯერ იმეორებს, რაც მის მნიშვნელობაზე მიანიშნებს. პიროვნება მუსლიმი რომ გახდეს, ეს პირობა უნდა შეასრულოს. ჰადისის მიხედვით, ადამიანის ქონებისა და სულის დაცვა ტაღუთის უარყოფასთანაა დაკავშირებული.

ტაღუთის უარყოფის აუცილებლობის შემდეგი დალილი:

„2/256. იძულება არაა სარწმუნოებაში. ჭეშმარიტი გზა ნათლად გამოირჩა ცდომილისგან. მაშ, ვინც უარყოს ტაღუთი და იწამოს ალლაჰი, უეჭველად, ის მყარ საყრდენს არის ჩაჭიდებული, რომლის ნგრევა შეუძლებელია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა.“

უზენაესი ალლაჰი აიათში ტაღუთის უარყოფას ბრძანებს, რომლის გარეშეც რწმენა მიუღებულია. აიათში არსებულ სიტყვებში: **„მაშ, ვინც უარყოს ტაღუთი და იწამოს ალლაჰი“** ნათლად ვხედავთ, რომ პირველ ადგილას „ტაღუთის უარყოფა“, მეორე ადგილას კი **„ალლაჰის დაჯერებაა“,** რაც მიუთითებს იმაზე, რომ ტაღუთის უარყოფის გარეშე იმანი მიუღებელია. ‘თეფსირ-ულ ჰაზინ’-ში ამ აიათის შესახებ ნათქვამია: „აიათში არის ნიშანი, რომელიც იმანამდე (დაჯერება-რწმენამდე, რწმენის მიღებამდე) ტაღუთის უარყოფასა და მისგან შორს ყოფნაზე მიუთითებს. ვინც ასე მოიქცევა მისი რწმენა სახიხი (სარწმუნო, მისაღები) იქნება...“[60]

ალ-მალილი ჰამდი იაზირ-ი ამ აიათის შესახებ ამბობს: „ადამიანი მუვაჰიდი (ერთღმერთიანი), რომ იყოს ჯერ ქუფრი უნდა მოინანიოს, რომლის უპირველესი პირობაც ტაღუთის უარყოფაა. ამგვარად, აიათი „მაშ, ვინც უარყოს ტაღუთი და იწამოს

[59] მუსლიმ, ქითაბუ’ლ იმან, 37.

[60] ლუბაბუთ-თა’ვილ ფი მეანი’თ-თენზილ, 1/351.

ალლაჰი..“ „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის ერთ-ერთი თაფსირია (ახსნა-განმარტებაა).“[61]

ალლაჰის რწმენამდე/დაჯერებამდე ტაღუთის უარყოფას რამოდენიმე სიბრძნე თან ახლავს:

1) ტაღუთის უარყოფის მნიშვნელობაზე მიუთითებს,

2) ტაღუთის უარყოფის გარეშე არსებული რწმენა, მის მფლობელს სარგებელს არ მოუტანს,

3) გულში ალლაჰისა და ტაღუთის რწმენა ერთდროულად ვერ მოთავსდება, რადგან ორივე მათგანი ერთმანეთის საწინააღმდეგოა.

რა იგულისხმება „მყარ საყრდენში“?

მუჯაჰიდის აზრით ამ სიტყვაში „რწმენა“, სუდდის აზრით „ისლამი“, საიდ ბინ ჯუბაირისა და დაჰჰაყის შეხედულებით „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ი, ანას ბინ მალიქის აზრით კი მასში „ყურანი“ იგულისხმება. იბნ-ი ქასირი ზემოთ ჩამოთვლილ შეხედულებებს შემდეგნაირად აფასებს: „ამ შეხედულებებიდან ყველა სახიხია (სარწმუნოა), მათ შორის არავითარი დაპირისპირება არ არის.“[62]

მნიშვნელოვანი განმარტება: პიროვნებას ტაღუთი, რომ ვუწოდოთ, ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ კმაყოფილია თუ არა ის, როდესაც თაყვანს სცემენ. პიროვნება საკუთარ თავზე თაყვანისცემასა და მორჩილებას თუ უარყოფს, მაშინ ის ტაღუთი ვერ იქნება (მაგ. ‘ისას[63] (‘ალეისალამ) თაყვანს სცემენ, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს არ უბრძანებია. ასეთ შემთხვევაში ‘ისა (‘ალეისალამ) ტაღუთი ვერ იქნება).

[61] ჭეშმარიტი რელიგია ყურანის ენა, 2/871.
[62] თეფსირუ’ლ-ყურანი’ლ-აზიმ, 1/418.
[63] იესო.

ტაღუთის უარყოფის ფორმა და ხარისხი

ტაღუთის უარყოფა, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობენ, ენით უარყოფით არ შემოიფარგლება. პირიქით, ტაღუთის უარყოფა ხდება რწმენით/დაჯერებით, ენით და ქმედებით. ამ სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის არ არსებობა ტაღუთის უარყოფაში არ ჩაითვლება. ახლა კი, განვმარტოთ თითოეული მათგანი:

რწმენა-დაჯერებით ტაღუთის უარყოფა

ამ ფორმაში შედის: გულით ტაღუთის სიძულვილი და მის მიმართ მტრული განწყობა. ასევე დაჯერება იმისა, რომ ტაღუთის მორჩილებაში მყოფი პიროვნება ქუფრშია. ადამიანებს ერთი-მეორის გულში ჩახედვა არ შეგვიძლია. ალლაჰმა უკეთესად იცის თუ ვის რა აქვს გულში.

ენით ტაღუთის უარყოფა

ამ ფორმაში შედის: ტაღუთზე თაქფირის გამოტანა და სიტყვიერად თქმა იმისა, რომ ტაღუთი და მისი მორჩილი მუსლიმი არ არის. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„109/1. (საყვარელო შუამავალო) უთხარი: ჰეი, ურწმუნოებო!“

აიათიდან გამომდინარე, ალლაჰმა შუამავალს უბრძანა, რომ ქააფირებისთვის შემდეგნაირად მიემართა: „ჰეი, ურწმუნოებო!“ ანუ გამოააშკარავე და აცნობე, რომ ისინი ურწმუნოები არიან. უზენაესი ალლაჰი სხვა აიათში ბრძანებს:

„60/4. კარგი მაგალითი იყო თქვენთვის იბრაჰიმი და ისინი, რომელნიც მასთან ერთად იყვნენ. აკი, უთხრეს თავიანთ ხალხს: „უეჭველად, ჩვენ მიღმა ვართ თქვენგან და იმისგან, რასაც ეთაყვანებით მაგიერ ალლაჰისა. ჩვენ უარგყავით თქვენ და დაიწყო ჩვენსა და თქვენს შორის მტრობა და სიძულვილი სამუდამოდ, თუკი არ ირწმუნებთ ალლაჰს, მის ერთადერთობას! მხოლოდ იბრაჰიმის წარმოთქმული სიტყვა თავისი მამისადმი: შენთვის უთუოდ შევთხოვ მიტევებას, თუმცაღა არ ხელმეწიფება შენთვის ალლაჰის წინაშე არაფერი, ამის გარდა (1) (გარდა პატიების შეთხოვნისა)! ღმერთო

ჩვენო, შენ გსასოებთ, შენსკენ მოვისწრაფვით და შენთან მოვიქცევით!“

აიათიდან გამომდინარე ალლაჰი გვამცნობს, რომ იბრაჰიმი (‘ალეისალამ) ჩვენთვის საუკეთესო მაგალითია, რომელმაც საკუთარ ხალხს ურწმუნოთი მიმართა. მუავიე ბინ ჰიდე (რადიალლლაჰუ ‘ანჰ) ამბობს: „ალლაჰის შუამავალს ვკითხე: ‘ეი ალლაჰის შუამავალო, ალლაჰმა ჩვენთან რითი გამოგგზავნა?’. შუამავალმა მიპასუხა: ‘ისლამით გამომგზავნა.’ მე ვკითხე: ‘რა არის ისლამის ნიშნები?’, შუამავალმა მიპასუხა: ‘საკუთარი თავის ალლაჰზე მინდობა, შირქისგან, ქუფრისგან და ტაღუთისგან შორს ყოფნა, ნამაზის შესრულება და ზექათის (სავალდებულო მოწყალების) გაცემა.“[64]

ქმედებით ტაღუთის უარყოფა

ამ ფორმაში შედის: ტაღუთს არანაირი ფორმით მხარი არ უნდა დავუჭიროთ. მათი მმართველებისა და ლიდერების არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ. ყოველ ხელსაყრელ მომენტში მათგან შორს უნდა ვიდგეთ.

„39/17. და რომელთაც განუდგნენ ტაღუთს, რომ თაყვანი ეცათ მისთვის და მოიქცნენ ალლაჰისკენ, მათთვის სამახარობლო. მაშ, გაახარე ჩემი მსახურნი!“

„4/144. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ აიყვანოთ მეგობრებად ურწმუნონი მორწმუნენის მაგივრად. განა გინდათ ცხადი სამხილი მისცეთ ალლაჰს თქვენ წინააღმდეგ?!“

ეს და სხვა მსგავსი აიათი გვიჩვენებს, რომ ტაღუთისგან შორს ყოფნა რწმენის ერთ-ერთი საფუძველია.

[64] სახიხუ სუნენი’ნ-ნესაი, 2407.

მესამე პირობა

„ენით წარმოთქმა“

„ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის მესამე პირობა ენით წარმოთქმა და დადასტურებაა. დამოწმების ფორმა ასეთია: „აშჰადუ ან ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ ვა აშჰადუ ანნა მუჰამმადან ‘აბდუჰუ ვა რასუულუჰ.“ მისი მნიშვნელობა შემდეგია: „ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მსახური და შუამავალია.“

პიროვნებებს, რომლებსაც რაიმე ფიზიკური ნაკლოვანების გამო ენით დადასტურება არ შეუძლიათ, მათთვის ეს პირობა სავალდებულო არ არის. ვისაც შაჰადის ენით წარმოთქმა არ შეუძლია, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებულია. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„2/286. ალლაჰი არ აკისრებს არცერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას ძალუძს...“

ვნახოთ არგუმენტები, სადაც ნაჩვენებია, რომ შაჰადას ენით წარმოთქმა ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის პირობებიდან ერთ-ერთია:

ბუხარისა და მუსლიმის მიერ გადმოცემულ ჰადისში მოცემულია: მუსაიიაბ ბინ ჰაზნ (რადიალლაჰუ ‘ანჰ) ამბობს: „აბუ ტალიბის სიკვდილის დროს ალლაჰის შუამავალმა აბუ ტალიბს მიმართა: ‘ბიძაჩემო! თქვი ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’, რათა შენ სასარგებლოდ ალლაჰის წინაშე დავამოწმო.’ ამის გაგონებაზე აბუ ჯაჰილმა და აბდულლაჰ ბინ აბი უმაიიამ აბუ ტალიბს მიმართეს: ‘ჰეი აბუ ტალიბ! ნუთუ შენ აბდულმუტალიბის რელიგიისგან სახეს იბრუნებ!’. ბოლოს აბუ ტალიბმა თქვა, რომ ის აბდულმუტალიბის რელიგიაზე იყო და ამით ისლამი უარყო. ამის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა თქვა: ‘ვალლაჰი მანამ, სანამ არ ამეკრძალება (ალლაჰის მიერ), ალლაჰს შენთვის პატიებას ვთხოვ.’ რის გამოც უზენაესმა ალლაჰმა აიათი მოავლინა: **„9/113. და არ არის (2) (მიღებული) შუამავლისთვის და მათთვის, რომელთაც ირწმუნეს, რომ შენდობა ითხოვონ წარმართთათვის, თუნდაც ახლო ნათესავები იყვნენ, მას**

შემდეგ, რაც აშკარა გახდა მათთვის, რომ ჯოჯოხეთის მკვიდრნი არიან ეგენი.“[65]

იმამ მუსლიმის სხვა გადმოცემაში მოცემულია: აბუ ტალიბმა შუამავალს მიმართა: „უეჭველად, ყურაიშელებს ჩემზე მშიშარა, რომ არ ეთქვათ და არ შევერცხვინე, შენს სიტყვებს მივიღებდი.“ ამის შემდეგ ალლაჰმა აიათი მოავლინა: **„28/56. უეჭველად, შენ ვერ დაადგენ სწორ გზაზე, ვინც გიყვარს. მხოლოდ ალლაჰი დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე, ინებებს ვისაც. ეს უკეთ უწყიან იმათ, რომელნიც სწორ გზას ადგანან!“**[66]

ზოგიერთი ამბობს, რომ აბუ ტალიბი მუშრიქი იყო, რომელსაც ისლამი გულით არ სწამდა. თუმცა ეს შეხედულება მცდარია. აბუ ტალიბი თავის ლექსებში აშკარად ამბობს, რომ ისლამი რელიგიათა შორის ყველაზე სასარგებლო და სარწმუნოა. შეგიძლიათ მოიძიოთ მისი ლექსი და თვითონ დარწმუნდეთ.[67] აბუ ტალიბს სჯეროდა, რომ მუჰამმედი ჭეშმარიტ გზაზე იდგა, თუმცა იმის გამო, რომ სხვას მისი სახელი არ გაელანძღა, შაჰადა ენით არ დაამოწმა, რის გამოც მას აჰლი სუნნამ ურწმუნო უწოდა.

ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „მებრძანა ვებრძოლო მათ, სანამ არ დაამოწმებენ, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა და ის, რომ მე მისი შუამავალი ვარ. სანამ არ შეასრულებენ ნამაზს და არ გადაიხდიან ზექათს. ზემოთ ხსენებულს თუ შეასრულებენ, მაშინ მათი სისხლი და ქონება ჩემგან დაცული იქნება. დანარჩენი კი, ალლაჰს ეკუთვნის.“[68]

იმამ ნავავი ამ ჰადისის განმარტებაში ამბობს: „ყველაფერი იმის, რაც ალლაჰის შუამავალმა მოიტანა და მნიშვნელობის

[65] ბუხარი, ჯენაიზ, 80; მუსლიმ, იმან. 177.
[66] მუსლიმ, იმან. 25.
[67] შერჰუ’ლ-აყიდეთი’თ-თაჰავიიე, გვ. 332, გამოცემა: ალ-მექთებუ’ლ-ისლამი; ასევე, შერჰუ ქათრი’ნ-ნედა, გამოცემა: ალ-მექთებუ’ლ-ასრიიე გვ. 271.
[68] მუსლიმ, იმან. 22.

გაგებით ქელიმეი შაჰადის წარმოთქმა/დამოწმება იმანის პირობაა.“[69]

ბადრადდინ ალ-აინი ამ ჰადისის განმარტებაში ამბობს: „ამ ჰადისში არის პირობა, რითაც პიროვნებას მუსლიმის ჰუქმი ენიჭება.“[70]

იბნ-ი თაიმიია ამბობს: „ის, ვისაც ძალა შესწევს, თუმცა ქელიმეი შაჰადას არ წარმოთქვამს, სწავლულების საერთო გადაწყვეტილებით ქააფირია/ურწმუნოა. ასეთი ადამიანი ჯუმჰურის, სალაფებისა და იმამების წინაშე გარეგნულად თუ შინაგანად ქუფრში ჩავარდა.“[71]

მოყვანილი დალილები ადასტურებს, რომ პიროვნებას ძალა თუ შესწევს და ქელიმეი შაჰადას არ ამოწმებს/ენით არ წარმოთქვამს, პირობის დარღვევაში ჩაეთვლება, რის გამოც მუსლიმი ვერ იქნება.

ისლამის სწავლულებმა იმანის (რწმენის) რეალობის შესახებ იკამათეს. ნაწილმა თქვა, რომ იმანის სრულყოფილებისათვის გულით დამოწმება/დაჯერება, ენით წარმოთქმა და სხეულით მოქმედებაა საჭირო. ზოგიერთმა კი, ზოგი პირობა საჭიროდ არ ჩათვალა. მათი მოსაზრებები თითო-თითო განვიხილოთ.

1) შეხედულება, რომლის მიხედვითაც, რწმენის სრულყოფილებისთვის გულით დამოწმება/დაჯერება, ენით წარმოთქმა და სხეულით მოქმედება საჭიროა. ეს მოსაზრება იმამ შააფის, აჰმად ბინ ჰანბელს, იმამ მალიქს და იმამ ავზაის ეკუთვნის.

2) შეხედულება, რომლის მიხედვითაც, რწმენის სრულყოფილებისთვის ენით წარმოთქმა და გულით დაჯერება-დამოწმება საჭიროა. ეს მოსაზრება აბუ ჰანიფას და იმამ თაჰავის ეკუთვნის.

3) შეხედულება, რომლის მიხედვითაც, რწმენის სრულყოფილებისთვის მხოლოდ და მხოლოდ ენით

[69] მუსლიმ შერჰი, იმამ ნავავი, გამოცემა: დარუ'ლ მენარ, 1/171.
[70] უმდეთუ'ლ-ყარი, 1/275.
[71] მეჯმუუ'ლ-ფათვა, 7/609.

წარმოთქმა/დამოწმება საკმარისია. ეს მოსაზრება 'ქარრამია' მეზჰებს ეკუთვნის, რომლის მიღებაც შეუძლებელია, რადგან ამ შეხედულების მიხედვით, ყველა მუნაფიყი (ორპირი) მუსლიმად ითვლება, რაც ყურანისა და სუნნეთის საწინააღმდეგოა.

4) შეხედულება, რომლის მიხედვითაც, რწმენის სრულყოფილებისთვის მხოლოდ და მხოლოდ გულით დამოწმება/დაჯერება საკმარისია. ეს მოსაზრება 'ჯაჰმია'[72] მეზჰებს ეკუთვნის, რომლის მიღებაც ასევე შეუძლებელია, რადგან ამ შეხედულების მიხედვით, ფარაონი, აჰლი ქითაბის ხალხი და ზოგიერთი მექქელი მუშრიქი მორწმუნედ ითვლება. (რადგან მათ სწამდათ, რომ ალლაჰი არსებობდა და ის ერთადერთი შემქმნელი იყო). ყოველივე ამის გამო, იმამ თაჰავიმ ამ შეხედულებას ყველაზე ცუდი შეხედულება უწოდა.[73]

ამ ოთხი შეხედულებიდან პირველი ორი აჰლი სუნნას ეკუთვნის, ხოლო ბოლო ორი ბიდ'ათ აჰლის (მობიდაათე თემს). პირველი ორი შეხედულებიდან გამომდინარე, აჰლი სუნნეთის ყველა წარმომადგენელმა რწმენის სრულყოფილებისათვის შაჰადას ენით წარმოთქმა საჭიროდ მიიჩნია. შაჰადის ენით დამოწმებას გზას აცდენილი მურჯიტები არ ეთანხმებიან, რომლის მიხედვითაც, პიროვნებამ ალლაჰი, ყურანი, შუამავალი რომც გალანძღოს ან შეაგინოს, ისინი მაინც მუსლიმებად ითვლებიან მანამ, სანამ გულით ალლაჰის ჭეშმარიტების სწამთ.

მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხის ცოდნა: წარმოთქმული შაჰადა პიროვნებას არავითარ სარგებელს არ მოუტანს თუ იგი ამავე დროს ისლამის რომელიმე ეჭვგარეშე კანონს უარყოფს ან ქუფრის გამომწვევ მოქმედებას ასრულებს, რადგან პიროვნება როცა ამბობს „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ"-ს, ის ამავდროულად აცხადებს, რომ უარყო ტაღუთი, შირქი და მისგან შორს არის. 'ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ'-ი, ქუფრი და შირქი ერთად არ მოთავსდება. ვინც ამბობს, რომ ეს დასაშვებია, მისი სიტყვები მსგავსი იქნება სიტყვებისა,

[72] მურჯიტები.

[73] შერჰუ'ლ-აყიდეთი'თ-თაჰავიიე, იბნ-უ აბი'ლ-იზზ, გვ. 332.

რომელიც აცხადებს, რომ ის ერთდროულად დღისით და ღამით ცხოვრობს, რაც ლოგიკასთან ახლოს არ არის.

მაგალითად, პიროვნება აცხადებს, რომ „მარხვა ფარძი არ არის“, ამასთანავე „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ს ამბობს. ალლაჰის ბრძანების უარყოფის გამო პიროვნება ქუფრში ჩავარდა, რის გამოც მის მიერ წარმოთქმული შაჰადა სარგებელს არ მოუტანს. მსგავსია მათი მდგომარეობა, რომლებმაც ალლაჰის კანონი შეცვალეს, მუსლიმებს, ალლაჰის შუამავლებს, აჰლი თავჰიდის ხალხს მტრობენ და ამავდროულად აცხადებენ, რომ ისინი მუსლიმების წინააღმდეგ ქრისტიანებისა და ებრაელების მომხრენი/დამხმარენი არიან. ამ ქმედებების გამო ისინი ქუფრში იმყოფებიან და მათ მიერ წარმოთქმული შაჰადა არაფერ სარგებელს არ მოუტანს მანამ, სანამ ისლამის საწინააღმდეგო ქმედებებს არ მოინანიებენ და არ განშორდებიან.

მეოთხე პირობა

„გულწრფელობა“

ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ-ის მეოთხე პირობა გულწრფელობაა. მის გარეშე რწმენისა და ქმედების აღიარება შეუძლებელია. ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანა: „ალლაჰმა ცეცხლი ჰარამად დააწესა მათთვის, ვინც გულწრფელად აღიარებს, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა და მუჰამმადი მისი შუამავალია.“[74]

„ალლაჰმა ცეცხლი ჰარამად დააწესა მათთვის, ვინც ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’ თქვა.“[75]

„გიხაროდეთ! ერთმანეთს უმახარობლეთ! ის, ვინც მთელი გულწრფელობით დაამოწმებს, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა, სამოთხეში შევა.“[76]

„სიტყვა ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’ ალლაჰის წინაშე ღირებულია. მას ალლაჰის წინაშე დიდი ადგილი უჭირავს. ალლაჰი სამოთხეში შეიყვანს მას, ვინც მთელი გულწრფელობით მას წარმოთქვამს.“[77]

„ანგარიშსწორების დღეს ჩემს შუამდგომლობას ყველაზე მეტად დაიმსახურებს ის, ვინც მთელი გულწრფელობით ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ს წარმოთქვამს.“[78]

ზემოთ მოცემულ ჰადისებში აშკარად ვხედავთ, რომ ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის გულწრფელად მთქმელი სამოთხეში მოხვდება. მის (გულწრფელობის) გარეშე კი, ეს შეუძლებელია.

ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ს ამბობს, მან გულწრფელად უნდა უარყოს ის, რის უარყოფასაც შაჰადა მოითხოვს, სხვა შემთხვევაში პიროვნების მიერ წარმოთქმული შაჰადა სარგებელს არ მოიტანს.

---

[74] ბუხარი.

[75] მუსლიმ, მესჯიდ.33.

[76] გადმოგვცემს თაბერანი. ჰადისი სახიხია. ჯემუ’ლ-ფევაიდ, 9.

[77] გადმოგვცემს ბაზზარი. ჯაჭვი სანდოა.

[78] ბუხარი, რიყაყ. 51.

მუნააფიყია (ორპირია) ის, ვინც წარმოთქვა 'ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ' და არ დაამოწმა გულით. მიუხედავად იმისა, რომ მას მუსლიმის ფორმა აქვს, ის მაინც ურწმუნოა და სამუდამო ჯოჯოხეთი ელის. იმისათვის, რომ ალლაჰის წინაშე ჩვენი რწმენა მიღებული იყოს, მთელი გულით დამოწმებაა საჭირო. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„98/5. მათ არ ბრძანებიათ სხვა რამ, გარდა მრავალღმერთიანობისგან შორს, გულწრფელად თაყვანისცემა ალლაჰისა; და აღევლინათ ლოცვა და გაეღოთ ზექათი, და სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება!"

„15/39. უთხრა: „ღმერთო ჩემო! იმისთვის რომ მაცდუნე, უთუოდ შევალამაზებ მათთვის დედამიწას და უთუოდ ვაცდუნებ ერთიანად,

40. გარდა შენი მსახურნისა, რომელნიც გულწრფელნი არიან მათგან."

„37/74. გარდა ალლაჰის მსახურთა წრფელთა."

„37/127. მაგრამ ცრუდ შერაცხეს იგი, ამიტომაც გარეკილნი იქნებიან (ჯოჯხეთში),

128. გარდა ალლაჰის მსახურთა წრფელთა!"

მეხუთე პირობა

„ყოველგვარი ეჭვის გარეშე რწმენა-დაჯერება“

ყოველგვარი ეჭვის გარეშე ჭეშმარიტების რწმენა „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის მეხუთე პირობაა. როგორ გავიგოთ ეს?

მაგალითად: რწმენა ალლაჰის ერთობის, შუამავლების, ღვთიური წიგნების, ანგელოზების, წარღვნის, ბედისწერის არსებობის და ა.შ. არ არის საკმარისი, რადგან ზემოთ ჩამოთვლილს ასე თუ ისე სხვა დანარჩენი რელიგიაც ქადაგებს. თუმცა ეს მათი გადარჩენისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ყოველგვარი ეჭვის გარეშე რწმენა ნიშნავს, რომ იწამო/დაიჯერო და შესაბამისად იმოქმედო. ქმედების გარეშე რწმენას აზრი არ აქვს.

ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პიროვნებამ მუსლიმობისთვის „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ი უნდა წარმოთქვას და უნდა იწამოს, სჯეროდეს, რომ ალლაჰის მსგავსი, არც ულუჰიეთ[79] და არც რუბუბიეთ[80] თავჰიდში არ არსებობს. უნდა სწამდეს, რომ ალლაჰია ერთადერთი გამჩენი, ერთადერთი მოსამართლე, სარჩოს მომცემი, წიგნებისა და შუამავლების გამომგზავნელი, ერთადერთი დამკანონებელი, რომელსაც ვერავინ შეეცილება. პიროვნება ამ დოგმებს თუ უარყოფს და ამავდროულად შაჰადას წარმოთქვამს, მაშინ მისი წარმოთქმული შაჰადა სარგებელს არ მოუტანს, რადგან მან შაჰადას ერთ-ერთი პირობა უარყო.

„49/15. მორწმუნეები მხოლოდ ისინი არიან, რომელთაც ირწმუნეს ალლაჰი და შუამავალი მისი. მერე არ ჩავარდნილან ეჭვში და იბრძოლეს თავიანთი ქონებითა და თავიანთი სულით ალლაჰის გზაზე. სწორედ ეგენი არიან მართალნი.“

[79] ღვთაებრიობა.

[80] ბატონ-პატრონობა.

ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ʿალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „ის, ვინც შაჰადას ყოველგვარი ეჭვის გარეშე წარმოთქვამს, სამოთხეში შევა.“[81]

„სამოთხე ამახარობლე მას, ვინც ყოველგვარი ეჭვის გარეშე ამოწმებს, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა.“[82]

[81] მუსლიმ, იმან 27.
[82] მუსლიმ, იმან 31.

მეექვსე პირობა

„სიყვარული“

ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ-ის მეექვსე პირობა ამ სიტყვისა და მისი მიმყოლებისადმი სიყვარულია. ამავე დროს, მოწინააღმდეგის მიმართ მტრობა და სიძულვილია.

თუ პიროვნება „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ს ამბობს და ამავდროულად იმ ჭეშმარიტი მტკიცებულებებიდან ერთ-ერთი არ მოსწონს ან არ უყვარს, რომლითაც ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) მოვიდა, ასეთ შემთხვევაში მის მიერ წარმოთქმული შაჰადა პიროვნებას სარგებელს ვერ მოუტანს.

მუსლიმი ვალდებულია ყველაზე და ყველაფერზე მეტად ალლაჰი და მისი შუამავალი უყვარდეს. ამის შემდეგ კი, მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილებისთვის შეიყვაროს ან მტროს.

მუსლიმს უნდა უყვარდეს ის, რაც უყვარს ალლაჰს და სძულდეს ის, რაც ალლაჰს სძულს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი რწმენა სრულყოფილი ვერ იქნება.

ალლაჰის კმაყოფილებისთვის სიყვარული და მტრობა, რწმენის მწვერვალზე ყოფნის მანიშნებელია. ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „ის, ვინც ალლაჰის კმაყოფილებისთვის შეიყვარებს, შეიძულებს და ალლაჰის კმაყოფილებისთვის გასცემს, ნიშნავს, რომ მის რწმენამ მწვერვალს მიაღწია.“[83]

„რწმენის მყარი ჩასაჭიდი ალლაჰის კმაყოფილებისთვის მეგობრობა, მტრობა, სიყვარული და სიძულვილია.“[84]

სხვა ჰადისში ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „ვერ იქნება მორწმუნე ის, ვისაც ჩემი თავი მის შვილზე, მამაზე და სხვა ადამიანებზე მეტად არ უყვარს.“[85]

---

[83] აბუ დავუთ, 4681. სახიხია.

[84] ალ-ჯამიუ’ს სა’ირ, 2778. სახიხია.

[85] ბუხარი, იმან 9; მუსლიმ, იმან 70.

„2/165. ადამიანებს შორის არიან ისეთნიც, რომლებიც ალლაჰის გარდა მის თანაზიარსა და თანასწორს აღიარებენ. მათ უყვართ ისინი, როგორც უნდა უყვარდეთ ალლაჰი. ხოლო რომელთაც იწამეს, უფრო ძლიერ შეყვარებულნი არიან ალლაჰისადმი. ნეტავ შეეძლოთ იმათ, ვინც ცოდვილია, დაინახონ სასჯელი და დარწმუნდნენ, რომ ალლაჰისაა ძალა ყოველი, და რომ ალლაჰი მკაცრი სასჯელის მომვლენია!“

ისლამის სწავლულებმა სიყვარული ორ ნაწილად ჩამოაყალიბეს:

1) ნებაყოფლობითი სიყვარული, რომელიც პიროვნების არჩევანზეა დამოკიდებული და

2) უნებლიე სიყვარული, რომელიც პიროვნების არჩევანზე არ არის დამოკიდებული. (მაგალითად ურწმუნო დედ-მამის სიყვარული, ნათესავების სიყვარული, ახლო მეგობრების სიყვარული, ლამაზი ქალის სიყვარული და ა.შ).

სიყვარულის მეორე ფორმა ჩვენ საკითხს არ ეხება, რადგან ალლაჰი ადამიანს პასუხისმგებლობას არ ანიჭებს იმაზე, რაც მის ძალებს აღემატება.

ალლაჰისა და მისი შუამავლის სიყვარული

„ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის წარმომთქმელი იძულებულია, რომ ალლაჰი და მისი შუამავალი უყვარდეს. წინააღმდეგ შემთვევაში მის მიერ წარმოთქმული შაჰადა სარგებელს არ მოიტანს. რწმენის გემოს გაიღებს ის, რომელსაც ალლაჰი და მისი შუამავალი უყვარს. ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანა: „სამი რამ არსებობს. ეს სამი რაღაც ვისთანაც მოიძებნება, ნიშნავს იმას, რომ მან რწმენის გემო გაიღო:

1) ყველაზე და ყველაფერზე მეტად ალლაჰისა და მისი შუამავლის სიყვარული,

2) მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილებისთვის ვიღაცის შეყვარება,

3) ალლაჰის მიერ ქუფრიდან გადარჩენილი მორწმუნის სიფრთხილე და შიში იმისა, რომ ისევ ქუფრს არ დაუბრუნდეს.“[86]

ალლაჰის სიყვარული ალლაჰის შუამავალზე მორჩილებაში გამოიხატება. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„3/31. უთხარი შენ (მუჰამმედ): თუ გიყვართ ალლაჰი, გამომყევით მე, რომ ალლაჰმა შეგიყვაროთ თქვენ და შეგინდოთ ცოდვები თქვენი, რადგან ალლაჰი შემწყნარებელი და მწყალობელია!“

მატყუარა და ორპირია ის, ვინც აცხადებს, რომ უყვარს ალლაჰი, თუმცა არ მიჰყვება და არ ემორჩილება მის შუამავალს (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ). მორჩილების გარეშე სიყვარული გულწრფელი სიყვარული არ არის!

მუვაჰიდებისადმი (ერთღმერთიანებისადმი) სიყვარული

ქელიმეი თავჰიდი [87] აუცილებელს ხდის, რომ თავჰიდის თემი/საზოგადოება (ერთღმერთიანი მუსლიმები) გვიყვარდეს. მათ, რომელთაც შაჰადა წარმოთქვეს, თუმცა ერთღმერთიანი მუსლიმები სძულთ და მტრობენ მათ, შაჰადას მნიშვნელობა ვერ გაუგიათ. ასე, რომ ყოფილიყო ისინი მართლმორწმუნეებს შეიყვარებდნენ.

ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) უზენაესი ალლაჰის სიტყვებს გადმოგვცემს: „ჩემი სიყვარული დაიმსახურეს მათ, რომელთაც ერთმანეთი ჩემს გამო უყვართ. ჩემი სიყვარული დაიმსახურეს მათ, რომელნიც ერთმანეთს ჩემი კმაყოფილების მოსაპოვებლად სტუმრობენ. ჩემი სიყვარული დაიმსახურეს მათ, რომელნიც ერთმანეთს ჩემი კმაყოფილების მოსაპოვებლად ეხმარებიან. ჩემი სიყვარული დაიმსახურეს მათ, რომელნიც ერთმანეთით ალლაჰის კმაყოფილებისთვის ინტერესდებიან...“[88]

---

[86] ბუხარი, იმან 9; მუსლიმ, იმან 67.

[87] თავჰიდის სიტყვა: „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“.

[88] ქითაბუზ-ზუჰდ ვე’რ-რაყაიყ, აბდულლაჰ იბნი მუბარექ, 716.

ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანა: „უეჭველად, განკითხვის დღეს ალლაჰი ბრძანებს: ‘სად არიან ისინი, რომლებმაც ერთმანეთი ჩემი დიადობის (უძლეველობის) გამო შეიყვარეს? მათ დღეს ჩემი დახმარების ხელი ეწევათ.“[89]

თავჰიდისადმი სიძულვილი რწმენის საწინააღმდეგოა

მუვაჰიდი (ერთღმერთიანი) იძულებულია სძულდეს და ეზიზღებოდეს ის, რაც თავჰიდის (ერთღმერთიანობის) საწინააღმდეგოა. ეს ის საჭიროებაა, რომელსაც რწმენა და აყიდა (მრწამსი) მოითხოვს. მას, ვისაც სძულს თავჰიდი (ერთღმერთიანობა) მუსლიმი არ არის. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„47/8. ხოლო რომელთაც უარყვეს, დაე, განადგურება მათ! და ფუჭი ჰქმნა საქმენი მათი.

9. ეს იმიტომ, რომ შეიძულეს ის, რაც ალლაჰმა ზემოავლინა. ამგვარად, ამაო ჰქმნა საქმენი მათი.“

აიათიდან გამომდინარე, ალლაჰმა მათი საქმენი ფუჭი გახადა, რადგან მათ უარყვეს და შეიძულეს ის, რითაც ალლაჰის შუამავალი მოვიდა. საქმის ფუჭად გარდაქმნა კი მხოლოდ და მხოლოდ ქუფრისა და შირქის ჩადენის შემთხვევაში ხდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ალლაჰის რელიგიისადმი სიძულვილი ქუფრია. თავჰიდი ყოველი შუამავლის საერთო მოპატიჟება იყო. მის მიმართ გულგრილად განწყობილი ადამიანი ისლამის მიღმა აღმოჩნდება და ქააფირი (ურწმუნო) გახდება. აქედან გამომდინარე, ქააფირი თავჰიდს როგორც უარყოფს და სძულს, ასევე, მუსლიმმაც ქუფრი და შირქი უნდა უარყოს და შეიძულოს.

უზენაესი ალლაჰი ყურანში ქააფირების შესახებ გვამცნობს:

[89] დარიმი, 2760.

„43/77. და გასძახებენ: „ჰეი, მალიქ (ჯოჯოხეთის მცველო)! დაე, შენმა ღმერთმა აღგვასრულოს!“ უპასუხებს: „უეჭველად, თქვენ მარად დარჩებით (1) (ამ ტანჯვაში)!

78. ვფიცავ, მოვედით ჭეშმარიტებით (1) (ბრძანა უზენაესმა ალლაჰმა: შუამავალთა მეშვეობით მოვუვლინეთ კაცობრიობას ჭეშმარიტება), მაგრამ დაძაგა ჭეშმარიტება უმრავლესობამ!“

ალლაჰმა ურწმუნოებს სამუდამო ჯოჯოხეთი იმის გამო მიუსაჯა, რომ მათ ჭეშმარიტება არაფრად ჩააგდეს და მასზე უარი თქვეს.[90]

[90] შურუტუ ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ, გვ. 72.

სიყვარულის ნიშნები

სიყვარული ცარიელი გამოცხადებისგან არ შედგება. სიყვარულის დასამტკიცებლად სხვადასხვა გზა არსებობს. ამ გზების საშუალებით შეგვიძლია გავიგოთ პიროვნების სიყვარული ნამდვილია თუ არა. დალილებისა და დამამტკიცებელი საბუთების გარეშე პიროვნების მიერ ალლაჰისა და მისი შუამავლისადმი სიყვარულის გამოცხადება შეუძლებელია. ისლამის სწავლულების მიერ გადმოცემული ალლაჰისა და მისი შუამავლისადმი სიყვარულის ნიშნები შემდეგია:

შუამავალზე მორჩილება

წინა თემებში შუამავალზე მორჩილების საჭიროებაზე ვისაუბრეთ. ახლა კი, ალ-ი იმრან სურას 31-ე აიათის შესახებ სწავლულების კომენტარებს გადმოგცემთ. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„3/31. უთხარი შენ (მუჰამმედ): თუ გიყვართ ალლაჰი, გამომყევით მე, რომ ალლაჰმა შეგიყვაროთ თქვენ და შეგინდოთ ცოდვები თქვენი, რადგან ალლაჰი შემწყნარებელი და მწყალობელია!“

იბნ-ი ქასირი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „აიათის მიხედვით, მატყუარაა ის, ვინც ალლაჰის სიყვარულს აცხადებს, თუმცა მის შუამავალს, მის სიტყვებსა და სუნნეთებს არ მიჰყვება.“[91]

იბნ-ი თაიმიია (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „უეჭველად, მატყუარაა ის, ვინც აცხადებს, რომ უყვარს ალლაჰი, თუმცა არ მიჰყვება მის შუამავალს და იმას რითაც ის მოვიდა.“[92]

აზჰარი ამბობს: „ალლაჰისა და მისი შუამავლის სიყვარული მათზე მორჩილებაში გამოიხატება.“[93]

საიიდ ყუტბი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „უეჭველად, ალლაჰის სიყვარული ცარიელი სიტყვებით არ გამოიხატება. ალლაჰისადმი სიყვარულის გამოხატვა ალლაჰის შუამავალზე მორჩილებით, მის

[91] იბნი ქესირ, 1/477.

[92] მეჯმუუ’ლ-ფათვა, 8/360.

[93] ალ-ჯამიუ ლი აჰქამი’ლ-ყურან, იმამ ქურთუბი, 2/380.

მიერ მოტანილი სისტემის გზაზე ყოფნითა და ცხოვრებითაა შესაძლებელი.“[94]

აბდურრაჰმან ას-სა’დი ამბობს: „ალლაჰისადმი სიყვარულის ჭეშმარიტება მის შუამავალზე მორჩილებით გამოიხატება. ის, ვინც ალლაჰის შუამავალს არ ემორჩილება, მას ალლაჰი არ უყვარს. ალლაჰის სიყვარული შუამავალზე მორჩილებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ის, ვინც ალლაჰის შუამავალს არ ემორჩილება, მას ალლაჰი არ უყვარს.“[95]

როგორც ხედავთ, ალლაჰის სიყვარული მის შუამავალზე მორჩილებაში გამოიხატება. მას, ვისაც ალლაჰი უყვარს შუამავლის გზას უნდა გაჰყვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პიროვნების მიერ გამოცხადებული ალლაჰისადმი სიყვარული, სიცრუე აღმოჩნდება.

გაუგებრობის დროს ალლაჰსა და მის შუამავალზე უპირატესობის მინიჭება

მატყუარაა ის, ვინც ამბობს, რომ ალლაჰი და მისი შუამავალი უყვარს, თუმცა პრობლემის გადასაჭრელად მათ არ მიმართავს. დღესდღეობით, აშკარად ვხედავთ ადამიანთა ნაწილს, რომელნიც ისლამს ამოფარებულნი არიან და ამქვეყნიური სარგებლის მოსაპოვებლად თავიანთ რელიგიას ყიდიან. შემდეგ კი, მიუხედავად ამ ყველაფრისა, ალლაჰისა და მისი შუამავლის სიყვარულზე საუბრობენ.

საქმე საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ რომც იყოს, მორწმუნე უპირატესობას მაინც ალლაჰსა და მის შუამავალს მიანიჭებს. აი ეს ნამდვილი სიყვარულის გამოხატულებაა. ამქვეყნიური სარგებლის მოპოვების მიზნით სიყვარულს ყველა გამოხატავს, თუმცა ნამდვილი სიყვარული შეუთანხმებლობის დროს არის იქ, სადაც სარგებლის მოპოვების მიზანი არ არსებობს.

---

[94] ფი ზილალი’ლ-ყურან, 2/258.

[95] თეისირუ’ლ-ქერიმი’რ-რაჰმან, გვ. 111. დარუ იბნ-ი ჰაზმ.

„24/51. როცა მორწმუნეებს მოუხმობენ ალლაჰისკენ და მისი შუამავლისკენ, რათა განსაჯოს მან მათ შორის არსებული, ამბობენ: „შევისმინეთ და გმორჩილებთო!“ უეჭველად, ისინი არიან ნეტარნი!“

მორწმუნეები იტყვიან: **„შევისმინეთ და გმორჩილებთო!“**, თუნდაც ეს მათ საწინააღმდეგოდ იყოს. მუნაფიყები (ორპირები) კი, ისლამს ზურგს შეაქცევენ ან თავს არაკომფორტულად იგრძნობენ. ხოლო სამართალი მათ მხარეს როცა არის, მორჩილებისკენ სირბილით გაიქცევიან.

„24/48. როცა მათ მოუწოდებენ ალლაჰისკენ და მისი შუამავლისკენ, რათა განსაჯოს მათ შორის, ნაწილი მათგან პირს იბრუნებს.

49. მართალნი რომ იყვნენ, მორჩილად მიეახლებოდნენ მას.

50. ნუთუ მათი გულები დასნეულებულია? ან იქნებ, ეჭვობენ? ან იქნებ, ეშინიათ, რომ ალლაჰი და მისი შუამავალი უსამართლოდ განსჯის მათ? არა, ისინი თავად იქცევიან უსამართლოდ!“

ის, ვინც განსასჯელად ალლაჰსა და მის შუამავალს არ მიმართავს, სიყვარულში კი არა, რწმენაში აქვს პრობლემა.

„4/65. მაგრამ არა! შენს ღმერთს ვფიცავ! ნამდვილი მორწმუნენი ვერ იქნებიან ეგენი, სანამ მსაჯულად არ დაგადგენენ იმისა, რის გამოც დაობდნენ ერთმანეთში. შემდეგ კი, შენს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას სრულად დაემორჩილებიან და თავიანთ თავში არ ექნებათ საჭოჭმანო.“

მოკლედ, თუ გვინდა, რომ ალლაჰისა და მისი შუამავლის სიყვარული დავამტკიცოთ, გასაჭირის ან არსებული უთანხმოების დროს ალლაჰისა და მისი შუამავლის სასამართლოს უნდა მივმართოთ.

ალლაჰზე და მის შუამავალზე წინ არაფრის და არავის დაყენება

არჩევანის წინაშე დადგომის დროს ნამდვილი სიყვარულის ერთ-ერთი გამოხატულება, ალლაჰზე და მის შუამავალზე არჩევანის გაკეთება და მათზე უპირატესობის მინიჭებაა.

„9/24. უთხარი: მამები თქვენი და შვილნი თქვენი და ძმები თქვენი და მეუღლენი თქვენი და წრენი თქვენი და ქონება, რომელიც მოაგროვეთ და ვაჭრობა, რომლის შეფერხებაც გაშინებთ და საცხოვრებელი სახლები, რომელიც კმაყოფილებას გგვრით, თუ უფრო საყვარელია თქვენთვის, უფრო ძვირფასია ალლაჰზე და მის შუამავალზე და მის გზაზე ბრძოლაზე, მაშ, დაელოდეთ, სანამ ალლაჰის ბრძანება მოევლინებოდეს (1) (სანამ გეწეოდეთ ალლაჰის რისხვა). ხოლო ალლაჰი არ დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე უკეთურ ხალხს!“

როგორც აიათშია მოცემული, მორწმუნე ადამიანმა ყველაზე და ყველაფერზე წინ უპირატესობა ალლაჰსა და მის შუამავალს უნდა მიანიჭოს.

იბნ-ი ყაიიმ (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „პიროვნების მორჩილება და სიტყვა ალლაჰისა და მისი შუამავლის გარდა სხვაზე მიმართული თუ არის, მაშინ მას ალლაჰი და მისი შუამავალი არ უყვარს. მსგავსია იმის მდგომარეობაც, ვინც ალლაჰისა და მისი შუამავლის გადაწყვეტილების მაგიერ უპირატესობას სხვას მიანიჭებს. ის, ვინც ალლაჰზე და მის შუამავალზე წინ სხვას დაიყენებს, ნიშნავს, რომ მას ის რაღაც ან რაიმე უფრო უყვარს ვიდრე ალლაჰი და მისი შუამავალი.“[96]

„49/1. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! წინ ნუ გაასწრებთ ალლაჰს და მის შუამავალს და გეშინოდეთ ალლაჰის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმომსმენია, ყოვლისმცოდნეა.“

აიათში გადმოცემული სიტყვები „წინ ნუ გაასწრებთ ალლაჰს და მის შუამავალს“, მოიცავს ყველაფერს ანუ სიყვარულს, ჰუქმს (რელიგიურ გადაწყვეტილებას), კმაყოფილებას, მინდობას, მიმართვას, მბრძანებლობას და ა.შ. ალლაჰისა და მისი შუამავლის გარდა მსაჯულად სხვას ნუ დაიყენებთ. ალლაჰსა და მის შუამავალზე მეტად სხვას ნუ შეიყვარებთ. ალლაჰზე მეტად სხვას ნუ მიენდობით და ა.შ.

[96] მედარიჯუ'ს-სალიხინ, 1/100.

მოკლედ, რომ ვთქვათ, ალლაჰისა და მისი შუამავლის წინ არაფერი და არავინ არ უნდა დავაყენოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში სიყვარულსა და რწმენაზე სიტყვის თქმა შეუძლებელია.

პრობლემებისა და უბედურებების დროს მოთმინება

რწმენის ყველაზე მკვეთრი ნიშნებიდან ერთ-ერთი უბედურებებისა და პრობლემების დროს მოთმინებაა. ალლაჰი გულწრფელი რწმენის გამოსააშკარავებლად მორწმუნეებს გამოცდას უწყობს. პიროვნება გამოცდას თუ ჩააბარებს ნიშნავს იმას, რომ მას ალლაჰი და შუამავალი ნამდვილად (გულწრფელად) უყვარს, ხოლო თუ მოთმინებას არ გამოიჩენს, ნიშნავს იმას, რომ ალლაჰისა და შუამავლის მიმართ მისი სიყვარული ნამდვილი (გულწრფელი) არ არის.

„2/155. და, უეჭველად, ჩვენ გცდით თქვენ ცოტა შიშითა და შიმშილით, ქონების, სულთა და ნაყოფთა ნაკლებობით. და შენ ახარე მომთმენთ,“

„3/186. უთუოდ, გამოიცდებით თქვენსავე ქონებითა და საკუთარი თავით, და მოისმენთ ბევრ აუგს მათგან, ვინც მიიღო წიგნი თქვენამდე, და მათგანაც, ვინც წარმართი იყო. და თუ იქნებით მომთმენნი და ღვთისმოშიშნი, უეჭველად, აი ეს ფასდაუდებელ საქმეთაგანია.“

„29/2. ნუთუ ჰგონიათ ადამიანებს, რომ ამაოდ იქნებიან მიტოვებულნი და არ გამოიცდებიან, თუ მხოლოდ იტყვიან „ვირწმუნეთ“?

3. ვფიცავ, ჩვენ გამოვცადეთ, რომელნიც მათზე უწინ იყვნენ. უეჭველად, ალლაჰმა იცის, რომელთაც სიმართლე თქვეს და რომელთაც იცრუეს!“

როგორც აიათებშია გადმოცემული, ადამიანები გამოიცდებიან და ვინც მომთმენი იქნება ფასდაუდებელ ჯილდოს მიიღებს. ახლა კი, ვნახოთ თუ რას ამბობს ალლაჰი მათზე, ვინც გამოცდას მოთმინებით არ იღებს:

„22/11. ადამიანებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ეთაყვანებიან ალლაჰს, მაგრამ ორჭოფობენ. თუ სიკეთე ეწიათ, თავს მშვიდად გრძნობენ და თუ განსაცდელი ეწიათ, უკან იხევენ. წაგებულნი არიან ისინი ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც. სწორედ ეს არის ცხადი წარწყმედა!“

„29/10. და ადამიანთაგან, ვინც ამბობს: „ვირწმუნეთ ალლაჰი.“ საკმარისია ტანჯვა ეწიოთ ალლაჰის გზაზე, მაშინვე ადარებენ ხალხის განსაცდელს ალლაჰის სასჯელს და თუ შეწევნა მოევლინება შენი ღმერთისგან, აუცილებლად იტყვიან: „თქვენთან ერთად ვიყავითო.“ მაგრამ ალლაჰი ხომ უკეთ უწყის, რა იმალება სამყაროთა გულებში?“

მორწმუნე საკუთარი რწმენის, გულწრფელობისა და რელიგიისადმი კავშირის შეფარდებით გამოიცდება. თუ მისი რწმენა და რელიგიისადმი კავშირი ძლიერია, მაშინ მას რთული და მწვავე გამოცდა ელის, ხოლო თუ მისი რწმენა სუსტია, გამოცდაც შესაბამისია. ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ʻალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „მორწმუნე გამოიცდება იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც რწმენასთან არის დაკავშირებული. თუ მისი რწმენა ძლიერია, გამოცდაც ძლიერი იქნება. თუ მისი რწმენა სუსტია, გამოცდაც შესაბამისი იქნება.“[97]

„მორწმუნე კაცებსა და მორწმუნე ქალებს მოევლინებათ გამოცდა (მშვილებისა და ქონების გამოცდა) მანამ, სანამ ალლაჰის წინაშე უცოდველი არ წარსდგებიან.“[98]

„ადამიანებიდან ყველაზე მეტი უბედურება შუამავლებმა გადაიტანეს, მათ შემდეგ კი, არიან ისინი, ვინც მათ გზას ყველაზე კარგად მიჰყვებიან.“[99]

„ალლაჰს ვისთვისაც კარგი სურს მას გამოცდის მიზნით უბედურებას მოუვლენს.“[100]

---

[97] თირმიზი, 2398.

[98] თირმიზი, 2399.

[99] თირმიზი, 2398.

[100] ბუხარი, ქითაბუ’ლ მერდა, 1.

იბნ-ი თაიმიია (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „ალლაჰი ადამიანს დაკნინების გამო არ გამოცდის. ბედნიერი იქნება ის, ვინც ამ გამოცდას გაივლის, ხოლო უბედური იქნება ის, ვინც გამოცდის ჩაბარებას ვერ შეძლებს. მორწმუნეებისა და შუამავლებისთვის გამოცდა ბედნიერების მიზეზი, ხოლო ქააფირებისა და ურწმუნოებისთვის უბედურების მიზეზი გახდა.“[101]

ყოველივე ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალლაჰი ადამიანს საკუთარი რწმენის სიძლიერის მიხედვით გამოცდის. გულწრფელი მორწმუნე გამოცდას მარტივად ჩააბარებს. ის, ვინც აცხადებს, რომ ალლაჰი და მისი შუამავალი უყვარს, გასაჭირისა და უბედურებების დროს მოთმინება უნდა გამოიჩინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიერ გამოცხადებული სიყვარული სიცრუედ ჩაითვლება.

[101] ყაიდეთუნ ფი’ლ მაჰაბბეთი, გვ. 163.

მეშვიდე პირობა

„მორჩილება“

რწმენის საფუძვლებიდან ერთ-ერთი ალლაჰისა და მისი შუამავლის აკრძალულზე თუ დაშვებულზე ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე მორჩილებაა. ალლაჰის კანონების დაცინვა, მათი არაფრად ჩაგდება და დაუმორჩილებლობა რწმენის თანასწორი არასდროს გახდება. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„4/65. მაგრამ არა! შენს ღმერთს ვფიცავ! ნამდვილი მორწმუნენი ვერ იქნებიან ეგენი, სანამ მსაჯულად არ დაგადგენენ იმისა, რის გამოც დაობდნენ ერთმანეთში. შემდეგ კი, შენს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას სრულად დაემორჩილებიან და თავიანთ თავში არ ექნებათ საჭოჭმანო.“

სარწმუნო არ არის იმის რწმენა, რომელმაც ალლაჰის შუამავლის მოტანილი უარყო და მსაჯულად არ დაიდგინა ის, რითაც ალლაჰის შუამავალი მოვიდა. ამის არგუმენტი ზემოთ მოყვანილი აიათია.

აიათის მიხედვით, უარყოფილია მისი რწმენა, რომელმაც ალლაჰის შუამავლის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა. შუამავლის მოტანილის უარყოფასა და ყურანის კანონების უარყოფას შორის განსხვავება არ არსებობს. შუამავლის მსაჯულებაზე უარის მთქმელნი ურწმუნონი არიან. ასევე ურწმუნოები არიან ისინი, რომლებიც ყურანის კანონებით (შარიათით) მმართველობაზე უარს ამბობენ. მათ შორის განსხვავება არ არის.

იბნ-ი ქასირი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „ალლაჰმა დაიფიცა, რომ ისინი მანამ, სანამ ყველა საქმეში მსაჯულად მას არ დაიყენებენ, ნამდვილი მორწმუნეები ვერ იქნებიან...“[102]

ფაჰრადდინ არ-რიზა ამბობს: „’ **სანამ მსაჯულად არ დაგადგენენ იმისა, რის გამოც დაობდნენ**’: აიათის ეს ნაწილი მიუთითებს იმაზე,

[102] თეფსირუ’ლ-ყურანი’ლ-აზიმ, 1/691.

რომ პიროვნება მანამ, სანამ ალლაჰის შუამავლის გადაწყვეტილებაზე კმაყოფილებას არ გამოხატავს, ნამდვილი მორწმუნე ვერ იქნება.“[103]

იბნ-ი თაიმიია ამბობს: „ალლაჰმა დაიფიცა, რომ ადამიანი ნამდვილი მორწმუნე ვერ იქნება მანამ, სანამ ალლაჰის შუამავლისადმი სრულ მორჩილებას არ გამოხატავს და მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე ეჭვს შეიტანს.“[104]

შუამავლის გადაწყვეტილებაზე დაუმორჩილებლობა რწმენის სიცრუეზე თუ მიუთითებს, ნეტავ რა შეიძლება ითქვას მათ რწმენაზე, რომელთაც ყურანი გვერდზე გადადეს და ალლაჰის კანონით არ განსჯიან?!

საიიდ ქუთბი ამბობს: „შუამავლის მსაჯულათ დაყენება, მის მიერ მოტანილის (ყურანის, შარიათის) მსაჯულად დაყენებას გულისხმობს...“[105]

აიათიდან გამომდინარე, მორწმუნე არ არის ის, ვინც შარიათს არ აღიარებს ან აღიარებს, თუმცა ეს მის ცხოვრებაში არ აისახება.

„24/47. ისინი (პირმოთნენი) ამბობენ: „ვიწამეთ ალლაჰი და შუამავალი და ვემორჩილებით.“ მაგრამ ამის შემდგომ ერთი ნაწილი ამათგან პირს იბრუნებს და სწორედ ეგენი არ არიან ჭეშმარიტი მორწმუნენი!

48. როცა მათ მოუწოდებენ ალლაჰისკენ და მისი შუამავლისკენ, რათა განსაჯოს მათ შორის, ნაწილი მათგან პირს იბრუნებს.“

იმამ თაბარი აიათის შესახებ ამბობს: „აიათში გადმოცემული სიტყვების: ‘ვიწამეთ ალლაჰი და შუამავალი და ვემორჩილებით’ მთქმელნი მორწმუნენი არ არიან, რადგან მათ შუამავლის მსაჯულობისგან პირი იბრუნეს...“[106]

დღესდღეობით, აშკარად ვხედავთ საზოგადოების ნაწილს, რომელიც სიტყვით მუსლიმობას აცხადებს, თუმცა საქმე ისლამის

[103] მეფათიხუ’ლ-ღაიბ, 8/135.
[104] მეჯმუუ’ლ-ფათვა, 28/471.
[105] ფი ზილალი’ლ-ყურან, 3/303, 304.
[106] ჯამიუ’ლ-ბეიან ფი თეფსირი აიი’ლ-ყურან, 18/156.

საწინააღმდეგოა. დემოკრატიულ არჩევნებში მონაწილეობენ და მსაჯულად არა ალლაჰის კანონს, არამედ ადამიანის ხელით დაწერილ კანონს იდგენენ. ეთანხმებიან იმ აზრს, რომ სახელმწიფო და ისლამი ცალ-ცალკე უნდა იყოს. ისლამს მეჩეთში შესრულებული ჯუმა ნამაზით საზღვრავენ. ფიქრობენ, რომ ისლამს თუ დაუახლოვდებიან ან მისით თუ იხელმძღვანელებენ, ჩამორჩენილები და არაცივილიზებულები გახდებიან.

„49/2. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ნუ აუწევთ ხმას შუამავლის ხმაზე მაღლა და არ მიმართოთ მას ისევე ხმამაღლა, როგორც მიმართავთ ერთმანეთს. რომ არ შეიქმნას თქვენი საქმენი ამაოდ და ვერც კი იგრძნოთ თქვენ.“

ისლამი ალლაჰისა და მისი შუამავლის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე უყოყმანოდ მორჩილებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნამდვილი რწმენა ვერ შედგება, რადგან ისლამი სრულ მორჩილებას ნიშნავს. როგორც აიათშია გადმოცემული, ის, ვინც ალლაჰის შუამავლის წინაშე ხმას აუწევს, მისი საქმე ამაო გახდება. როგორც ვიცით საქმის ამაოებას შირქი ან ქუფრი იწვევს. რა შეიძლება ითქვას იმ ხალხზე, რომელნიც ადამიანის ხელით გამოცემულ კანონებს ალლაჰისა და მისი შუამავლის მიერ გამოცემულ კანონებზე მაღლა აყენებს?! ეჭვი არ არის იმაში, რომ მათი საქმენი უფრო ამაოა!

იბნ-ი ყაიიმ ალ-ჯავზი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „შუამავალზე ხმის აწევა საქმეების გაუქმებას თუ იწვევს, მაშინ რაღა უნდა ითქვას პიროვნების მდგომარეობაზე, ვინც საკუთარი პიროვნული გადაწყვეტილებები, სურვილები, შეხედულებები და კანონები ალლაჰისა და მისი შუამავლის მოტანილ კანონებზე მაღლა დააყენა? მათი ეს საქციელი საქმეების გაუქმებას არ ექვემდებარება?!“[107]

უზენაესი ალლაჰი სხვა აიათში ბრძანებს:

[107] ი’ლამუ’ლ-მუვაყყიინ, 1/51.

„33/36. მორწმუნე კაცს და მორწმუნე ქალს გადაწყვეტილების მიღებისას არ აქვთ არჩევანი, თუ ალლაჰმა და მისმა შუამავალმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება და ის, ვინც ეურჩება ალლაჰსა და მის შუამავალს, ცხად გზააბნევაშია ჩავარდნილი!“

მორწმუნე არის ის, ვინც ალლაჰისა და მისი შუამავლის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე სრულ მორჩილებას გამოხატავს. ვერ იქნება მუსლიმი ის, ვინც ალლაჰის კანონების გარდა, ალტერნატიული კანონებით ხელმძღვანელობს.

უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„24/63. შუამავალს ნუ მიმართავთ ისე, როგორც ერთმანეთს მიმართავთ. ალლაჰი უწყის თქვენგან იმათ, რომელნიც მალვით, შეფარვით მიდიან. დაე, გაფრთხილდნენ ისინი, რომელნიც მის ნებას ეწინააღმდეგებიან, რომ არ დაატყდეთ თავს განსაცდელი ან მწარე სასჯელი!“

აჰმად ბინ ჰანბელი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „წავიკითხე ყურანი და ვნახე, რომ შუამავალზე მორჩილება 33-ჯერ არის გადმოცემილი. შემდეგ ზემოთ მოცემული აიათი წაიკითხა, გაიმეორა და თქვა: „ფითნა რა არის? ფითნა შირქია. პიროვნება შუამავლის სიტყვებს თუ უარყოფს, ჭეშმარიტ გზას ასცდება და განადგურდება.“[108]

მოკლედ, როგორც ვხედავთ ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის ერთ-ერთი პირობა ალლაჰზე და მის შუამავალზე უსიტყვოდ მორჩილებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში პიროვნება ამ ქვეყნად მუსლიმის სტატუსს, ხოლო იმ ქვეყნად სამოთხეს დაკარგავს.

დაე, ალლაჰმა მორჩილ მუსლიმებად გვაქციოს (ამინ!).

[108] ას-სარიმუ’ლ მესლულ, იბნ-ი თეიმიიე, გვ. 56.

მერვე პირობა

„საჭიროებისამებრ მოქმედება“

ქელიმეი თავჰიდის პირობებიდან ერთ-ერთი ამ სიტყვის მიხედვით მოქმედებაა. შუამავლები, წიგნები და ადამიანები თავჰიდის მოქმედებაში მოყვანისთვის მოევლინენ.

„51/56. და მე არ გამიჩენია ჯინები და ადამიანები, თუ არა ჩემდამი თაყვანისცემისთვის.“

როგორც აიათშია გადმოცემული, ადამიანებისა და ჯინების გაჩენის ერთადერთი მიზანი ალლაჰზე მსახურებაა.

„21/25. და ჩვენ არ წარგვიგზავნია შენ უწინ არც ერთი შუამავალი, რომ არ ზეშთაგვეგონებინა მისთვის: „არ არსებობს ღვთაება, გარდა ჩემი. ამიტომაც მხოლოდ მე მეცით თაყვანი!““

„16/36. და ვფიცავ! ჩვენ წარმოვგზავნეთ ყოველ ერთან შუამავალი, რათა ალლაჰისთვის ეცათ თაყვანი და განდგომოდნენ ტაღუთს და მათგან არიან ისეთნიც, რომელნიც ალლაჰმა დაადგინა ჭეშმარიტ გზას და არიან ისეთნიც, რომელთაც დამსახურებულად განესაზღვრათ ცდომილება. მაშ, იარეთ ქვეყანაზე და ნახეთ, როგორი იყო აღსასრული ურწმუნონის!“

ეს და სხვა მრავალი აიათი შუამავლებისა და მორწმუნეების მისიას გვამცნობს. ახლა კი, ‘ყადისიია’-ს ომის დროს ირანის კაპიტნის ‘რუსტამ’-სა და სა’დ ბინ აბუ ვაყყას-ის მიერ გაგზავნილ ‘რიბ’ი ბინ ამრ’-ს შორის საუბარს გადმოგცემთ. რუსტამი რიბ’ი-ს ეუბნება: „რა არის ის, რამაც ჩვენთან საბრძოლველად მოგიყვანათ?. რიბ’ი პასუხობს: „ჩვენ აქ იმისთვის მოვედით, რომ ადამიანი ადამიანის მონობიდან გავათავისუფლოთ და მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის მსახურებისკენ მოვუწოდოთ.“ ამის შემდეგ რუსტამის ირგვილ მყოფ თავდახრილ ჯარს მიუბრუნდა და უთხრა: „თქვენს შესახებ ბევრი რამ მსმენია. თუმცა მე თქვენზე უჭკუო ხალხი ჯერ არ მინახავს. ჩვენ მუსლიმები ერთმანეთს მონებად არ ვიყენებთ. ვფიქრობდი, რომ თქვენც ჩვენსავით

ერთმანეთის დამხმარენი იყავით, სინამდვილეში კი, თქვენ ერთმანეთი ღმერთებად დაგიყენებიათ!“[109]

როგორც ხედავთ, ყოველი შუამავლის საერთო მოწოდება ის იყო, რომ ადამიანები ადამიანების მონობისგან გადაერჩინათ და თაყვანი მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ ალლაჰისთვის ეცათ, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვა „ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის წარმოთქმა და ამავდროულად ალლაჰზე მსახურებისგან შორს ყოფნა შეუძლებელია. ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) მუაზ ბინ ჯაბალს ჰკითხა: „ეი მუაზ! იცი რა არის ალლაჰის ვალდებულება მორწმუნეების წინაშე და მორწმუნეების ვალდებულება ალლაჰის წინაშე? მუაზმა უპასუხა: „ალლაჰმა და მისმა შუამავალმა უკეთესად იცის.“ ამის შემდეგ შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანა: „უეჭველად! მორწმუნეების ვალდებულება ალლაჰის წინაშე არის ის, რომ ალლაჰს თანაზიარის დაყენების გარეშე ემსახურონ, ხოლო ალლაჰის ვალდებულება მორწმუნეების წინაშე არის ის, რომ თანაზიარის არ დამდგენი არ დასაჯოს.“[110]

სხვა გადმოცემებში შემდეგი ფორმითაა გადმოცემული: „ის, ვინც ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ-ს იტყვის სამოთხეში შევა.“ ეს ჰადისი მიეკუთვნება იმ ჰადისების რიცხვს, რომლებსაც თან სხვა დალილები ესაჭიროებათ ანუ მხოლოდ ამ ჰადისით ჰუქმი არ მიიღება და თუ გვსურს ამ ჰადისის სწორად გაგება, სხვა დალილის მოტანაა საჭირო. ისლამის სწავლულების მიხედვით, ამ ჰადისის ერთ-ერთი დამხმარე ჰადისი, ზემოთ მოცემული ‘მუაზის’ ჰადისია. სხვა დამხმარე ჰადისი კი, შემდეგია: ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანა: „იმ პიროვნების სისხლი და ქონება ჰარამია, რომელმაც ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’ წარმოთქვა და ალლაჰის გარდა სხვა ყველა სათაყვანებელი უარყო.“[111] ანუ ალლაჰის გარდა სხვა სათაყვანებლის უარყოფის

[109] ფიყჰუ’ს-სიირე, რამაზან ალ-ბუტი, გვ. 100, 101.
[110] ბუხარი, ჯიჰად, 46; მუსლიმ; იმან, 30.
[111] მუსლიმ, იმან, 37.

გარეშე წარმოთქმული ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’ სარგებელს არ მოიტანს.

ყურანისა და სუნნეთის განცალკევების უფლება არ გვაქვს. ასევე, უფლება არ გვაქს, რომ ერთიდაიგივე საკითხის შესახებ შუამავლის მიერ ნათქვამი სხვადასხვა სიტყვები არაფრად ჩავთვალოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დალილების არასწორი გაგების გამო ჭეშმარიტ გზას ავცდებით. არსებობენ ადამიანები, რომლებიც შუამავლის მიერ გადმოცემულ სხვა ჰადისებს არ ითვალისწინებენ. ისინი მხოლოდ ერთ-ერთს აიღებენ და მისით მოქმედებენ, რის გამოც განცალკევებისა და დაყოფის მიზეზი ხდებიან.

ახლა კი, ამ თემასთან დაკავშირებით აბდულ მუნ’იმ’ინ-ის სიტყვებს გადმოგცემთ. ის ამბობს: „ჰადისის, რომლის მიხედვით: ‘ალლაჰი ცეცხლს ჰარამად დააწესებს მათთვის, ვინც ალლაჰის გარდა სხვა ღვთაებას უარყოფს.“ [112] მნიშვნელობა შემდეგია: „მორწმუნის ვალდებულება ალლაჰის წინაშე არის ის, რომ თაყვანი როგორც შინაგანად, ასევე გარეგნულად მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს სცეს ანუ პრაქტიკულად/მოქმედებით ალლაჰის ერთობას უნდა ამტკიცებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმისთვის, რომ ცეცხლი მისთვის ჰარამად იქცეს მხოლოდ სიტყვით წარმოთქმა საკმარისი არ არის.“

საქმე მხოლოდ სიტყვის წარმოთქმაში, რომ ყოფილიყო, მექქელ მუშრიქებს შირქთან ერთად ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის წარმოთქმაც შეეძლოთ, რის შემდეგაც მათთვის მუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლა საჭირო აღარ გახდებოდა. თუმცა, მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მხოლოდ სიტყვების წარმოთქმა საკმარისი არ იყო და მასთან ერთად ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ით მოქმედებაც აუცილებელია. მათ იცოდნენ, რომ ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ს თუ იტყოდნენ მათი ყალბი კერპებიც უნდა დაემტვრიათ, ტრადიციები უნდა შეეცვალათ, მონობა უნდა

[112] ბუხარი, ილიმ, 49.

გაეუქმებინათ, ყველა ერთმანეთის თანასწორად უნდა გამოეცხადებინათ და ა.შ. თუმცა, მათ თავიანთი ყალბი ღმერთები, ტრადიციები არ მიატოვეს და შუამავლისა და მუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლა გადაწყვიტეს.

იბნ-ი თაიმიია (რაჰიმაჰულლაჰ) ალლაჰის სიტყვების: „**24/47. ისინი (პირმოთნენი) ამბობენ: „ვიწამეთ ალლაჰი და შუამავალი და ვემორჩილებით.“ მაგრამ ამის შემდგომ ერთი ნაწილი ამათგან პირს იბრუნებს და სწორედ ეგენი არ არიან ჭეშმარიტი მორწმუნენი!“** შემდეგ ამბობს: „აიათის მიხედვით, ამელის (საქმე, ქმედება) მიმტოვებლის რწმენა გაუქმდა. ყურანში სხვადასხვა ადგილას გადმოცემულია, რომ მუნაფიყების რწმენა გაუქმებულია. ამასთანავე, ამელის მიმტოვებლის რწმენაც გაუქმებულია.“[113]

იმამ შავქანი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „ვინც ისლამის პირობებთან ერთად ყველა ფარძს მიატოვებს და მხოლოდ შაჰადას წარმოთქმით დაკმაყოფილდება, მძვინვარე ქუფრით ქააფირი გახდება..“[114]

[113] მეჯმუუ’ლ-ფათვა, 7/142. “რწმენიდან გამყვანი ქმედებები” წიგნიდან.. გვ. 192.
[114] იგივე წიგნი.. გვ. 192.

მეცხრე პირობა

„ამ რწმენით სიკვდილი“

ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ-ის ბოლო პირობა ამ რწმენით სიკვდილია. წინააღმდეგ შემთხვევაში, პიროვნების მიერ შესრულებული ღვთიმსახურებები სარგებელს არ მოიტანს. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„2/217....და თუ რომელიმე თქვენგანი განეშორება თავის სარწმუნოებას და მოკვდება ურწმუნოდ, ასეთებს ამაოებად ექცევათ ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრება; აი, ცეცხლის ბინადარნი, ისინი იქ სამუდამოდ დარჩებიან.“

„2/161. უეჭველად, რომელთაც უარყვეს და ისე მოკვდნენ, რომ ურწმუნოებად დარჩნენ, მათზეა წყევლა ალლაჰისა, ანგელოზებისა და ყველა ადამიანისა!

162. (ისინი) სამუდამოდ იქ დარჩებიან, არ შეუმსუბუქდებათ სასჯელი მათ და არ იქნებიან შეწყალებულნი (ვინმესგან).“

ალლაჰმა ისინი სამუდამო ჯოჯოხეთით დასაჯა, რაც ურწმუნო მდგომარეობაში სიკვდილს დაუკავშირა.[115]

იმამ მუსლიმის სახიხში არსებული გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანა: „მორწმუნე ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ს თუ იტყვის და ამით (ამ სიტყვის შესაბამისი ცხოვრებით) მოკვდება, სამოთხეში აუცილებლად შევა.“[116]

სხვა ჰადისში ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „ვფიცავ ალლაჰს, რომელსაც თანაზიარი არ ჰყავს! თქვენგან რომელიმე სამოთხის მკვიდრთაგანის საქმეებს ჩაიდენს, ხოლო მისსა და სამოთხეს შორის არშის ოდენა მანძილი, როცა დარჩება, საქმეებს მიატოვებს და ჯოჯოხეთის

[115] შურუტუ ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ, გვ. 83.
[116] მუსლიმ.

მკვიდრთაგანის საქმეების შესრულებას დაიწყებს, რის გამოც ჯოჯოხეთში შევა...“[117]

იმამ ნავავი-მ (რაჰიმაჰულლაჰ) თქვა: „თავჰიდის გზაზე გარდაცვლილს ბევრი ცოდვა რომც ჰქონდეს ჯოჯოხეთში სამუდამოდ არ დარჩება. ასევე, ქუფრის გზაზე გარდაცვლილს რა სიკეთეც უნდა ჰქონდეს გაკეთებული სამოთხეში ვერასდროს მოხვდება...[118]

ცხოვრების მანძილზე ალლაჰის მსახურებაში მყოფმა პიროვნებამ სამოთხე, რომ მოიპოვოს თავჰიდის გზაზე ყოფნის დროს უნდა მოკვდეს. ცხოვრების მანძილზე ალლაჰის გზაზე მყოფი პიროვნება სიცოცხლის ბოლო წუთებში [119] თავჰიდის საწინააღმდეგოდ თუ მოიმოქმედებს [120] და მოუნანიებლად თუ გარდაიცვლება სამოთხეში ვერასდროს მოხვდება, რადგან მისი ადგილი ჯოჯოხეთშია.

ასევე, პიროვნება საკუთარ ცხოვრებას ქუფრში თუ გაატარებს, ხოლო სიცოცხლის ბოლო წუთებში კი მოინანიებს და მუვაჰიდი (ერთღმერთიანი) გახდება, ალლაჰის ნებით სამოთხეში შევა.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ პიროვნების მონანიება მანამ უნდა მოხდეს, სანამ სული ყელს მიაღწევდეს. სიკვდილის გრძნობის დროს თუ მოინანიებს მისი მონანიება მიღებული არ იქნება. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„4/18. და არ არის შენდობა მათთვის, რომელნიც სჩადიან უკეთურობას, სანამ მათ სიკვდილი არ მიადგება კარზე. იტყვიან: სწორედ ახლა მოვინანიე!... და რომელნიც აღესრულებიან ურწმუნოდ, სწორედ მათთვის გავამზადეთ მტანჯველი სასჯელი.“

ამ მდგომარეობის ნათელი მაგალითი ფარაონია. მან მთელი მისი ცხოვრება ქუფრში და მუსლიმების დევნაში გაატარა. ხოლო,

---

[117] მუსლიმ, ქითაბუ’ლ-ყადერ, 2643.

[118] შერხუ მუსლიმ, იმამ ნავავი, 1/175.

[119] ვინაიდან, ადამიანმა არ იცის თუ როდის მოკვდება, ამიტომ საჭიროა ურწმუნოებას უფრთხილდეს და თავჰიდის გზაზე იდგეს.

[120] დიდ ქუფრსა და შირქში თუ ჩავარდება.

სიკვდილის მოახლოება როცა იგრძნო ალლაჰი ირწმუნა, თუმცა მისი მონანიება ალლაჰმა არ მიიღო. ამ მდგომარეობას უზენაესი ალლაჰი ყურანში შემდეგნაირად ბრძანებს:

„90. ჩვენ გადავიყვანეთ ისრაილის შვილნი ზღვაზე. მაგრამ დაედევნენ ისინი, ფარაონი და მისი ამალა, დასაჩაგრად და მტრულად. როცა ფარაონი იხრჩობოდა, თქვა: „ვირწმუნე, უეჭველად, იგი. არ არის ღვთაება, გარდა მისი, რომელიც ირწმუნეს ისრაილის შვილთა. და მეც ერთ-ერთი მუსლიმთაგანი ვარ!“

91. ნუთუ ახლა (1) (ირწმუნე)! აკი, წინათ ურჩობდი და იყავი ბუნტისთავი?!“

ფარაონმა სიკვდილის მოახლოება იგრძნო და გამოუვალი მდგომარეობის გამო ჩადენილი ცოდვები მოინანია, თუმცა ალლაჰმა მას არ აპატია. ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „ალლაჰი მონანიებას მიიღებს მანამ, სანამ სული ყელამდე იქნება ამოსული.“[121]

როგორც დალილებიდან ჩანს, იმისათვის რომ მონანიება მიღებული იყოს, სულის ყელამდე მისვლამდე მისი (მონანიების) შესრულება აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში მონანიება არ მიიღება.

[121] თირმიზი, 3531.

მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხის ცოდნა

„მონანიების პირობები“

იმისათვის, რომ პიროვნების მონანიება მიღებული იყოს, რამდენიმე პირობის ერთად შესრულებაა საჭირო. მონანიების პირობები შემდეგია:

- ცოდვის გაკეთებაზე უარის თქმა,
- ჩადენილი ცოდვის გამო სინანულის გრძნობა,
- იგივე ცოდვის არ ჩადენაზე გადაწყვეტილების მიღება.

ზემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან რომელიმე თუ დაირღვევა მონანიება სახიხი/სარწმუნო არ იქნება. ზემოთ მოყვანილი სამი პირობა მაშინ უნდა შესრულდეს, როცა ჩადენილი ცოდვა ალლაჰსა და პიროვნებას შორისაა.

ხოლო, პიროვნების მიერ ჩადენილი ცოდვა სხვა პიროვნების უფლებებსაც თუ ეხება, მაშინ ზემოთ მოხსენებულ სამ პირობას მეოთხე პირობაც დაემატება, რაც დაჩაგრულის უფლებებიდან გადარჩენაა (ანუ მჩაგვრელმა ჩაგრულს ჰალალი უნდა გააკეთებინოს). ეს პირობები ჩვეულებრივი მონანიების პირობებს მიეკუთვნება. არსებობს ისეთი ცოდვები, რომლის მონანიების პირობები სხვადასხვაა. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„2/159. უეჭველად, რომელნიც მალავენ ჩვენს მიერ ზემოვლენილ ცხად მტკიცებულებებსა და მოძღვრებას, მას შემდეგ, რაც ჩვენ იგი ხალხთათვის წიგნში ნათელვყავით, ნამდვილად მათ წყევლის ალლაჰი და მაწყევარნიც!

160. გარდა მათი, რომელთაც მოინანიეს, გამოსწორდნენ და ნათელი მოჰფინეს ჭეშმარიტებას; მაშ, აი მათ მონანიებას მივიღებ, ვინაიდან, მე ვარ მიმტევებელი, მწყალობელი!“

აიათში საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებმაც ჭეშმარიტება დამალეს და სხვაც ჭეშმარიტი გზიდან აცდინეს. მსგავსი ადამიანების მონანიების მისაღებად ალლაჰმა მათ სამი პირობა წაუყენა:

- მონანიება (ამის პირობები ზემოთ მოვიყვანეთ),

- მათი მდგომარეობის გამოსწორება,
- გამოააშკარავება იმის, რაც დამალეს.

საკითხთან დაკავშირებით რამოდენიმე გაფრთხილება

პირველი გაფრთხილება

ქელიმეი თავჰიდის შესახებ მოყვანილი ცხრა პირობა აუცილებელია იმისათვის, რომ პიროვნება გადარჩეს და სამოთხეში შესვლა შეძლოს. ამ პირობებიდან ერთ-ერთის დამრღვევი სამოთხეში ვერ მოხვდება. ეს არის წესი, რომელიც ეხება იმქვეყანას. რაც შეეხება ამ ქვეყნის ჰუქმს: იმისათვის, რომ პიროვნებას მუსლიმი ვუწოდოთ, საჭიროა წარმოთქვას შაჰადა და დაამოწმოს, რომ უარყო და განერიდა ყოველგვარ ქუფრსა და შირქს. ყოველივე ამის შემდეგ კი იმ საკითხებს შეისწავლის, რაც ყოველმა მუსლიმმა უნდა იცოდეს.

მეორე გაფრთხილება

იმისათვის, რომ პიროვნება ჰუქმით მუსლიმი გახდეს, საჭიროა, რომ პირობებთან ერთად შაჰადა წარმოთქვას, ყოველგვარი ურწმუნოება უარყოს და მათ განერიდოს. რის შემდეგაც მუსლიმად ჩაითვლება. თუმცა, იმისათვის, რომ ეს სტატუსი შეუნარჩუნდეს, საჭიროა ყოველგვარ ქუფრსა თუ შირქს განერიდოს და იცხოვროს ისე, როგორც ერთღმერთიანმა. ისლამის საწინააღმდეგო საქმეს (დიდ ქუფრს ან შირქს) თუ გააკეთებს ან იტყვის, მურთადი გახდება, თუმცა თაქფირის გამოტანამდე ჰუჯჯათის შესრულება აუცილებელია. ახსნა-განმარტებისა და ყოველგვარი ეჭვის გაქარწყლების შემდეგ ურწმუნოებას ისევ თუ დაიჟინებს, მაშინ ქააფირის ჰუქმს მიიღებს.

მესამე გაფრთხილება

ზემოთ ჩამოთვლილი ცხრა პირობის დალილებით დაზეპირება ქელიმეი თავჰიდის პირობებიდან არ არის. არსებობენ ადამიანები, რომლებისთვისაც მათი დალილებით დაზეპირება (ფიზიკურად) რთულია. არის სიტუაცია, როცა შეუძლებელია კიდეც. ყოველივე ამის გამო ისლამი მორწმუნეს პასუხისმგებლობას არ ანიჭებს. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„2/286. ალლაჰი არ აკისრებს არც ერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას ძალუძს...“

„22/78. მან აგირჩიათ და არ დაუდგენია თქვენთვის არანაირი სიძნელე სარწმუნოებაში..“

„გაუადვილეთ, არ გაუძნელოთ!“ [122] ... და სხვა მსგავსი არგუმენტების საფუძველზე ცნობილია, რომ პიროვნება პასუხისმგებელი არ არის იმაზე, რაზეც ძალა არ შესწევს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზემოთ მოყვანილი ცხრა პირობა არ უნდა ვიცოდეთ. მორწმუნე ცხრავე პირობას თავისი დალილებით თუ დაიზეპირებს, მაშინ ის ალლაჰს კიდევ ერთი ნაბიჯით დაუახლოვდება, რაც ძალიან კარგი და სასარგებლოა.

აქვე შეიძლება ასეთი შეკითხვა გაგვიჩნდეს: როგორ შეძლებს პიროვნება პირობების შესრულებას თუ ისინი არ ეცოდინება?

ამ კითხვის პასუხი შემდეგია: ჩვენ არ გვეხება ის თუ რამდენად იცის ან რამდენად იცავს ამ პირობებს. ეს მხოლოდ მისსა და ალლაჰს შორის მყოფი საკითხია. ჩვენ მხოლოდ მისი გარეგნული მოქმედების საფუძველზე ჰუქმს გავცემთ. ხოლო პირობები გულით ირწმუნა თუ არა, მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰმა უწყის. თუმცა, პიროვნება ქელიმეი თავჰიდის საწინააღმდეგოდ თუ მოიმოქმედებს ან მის საწინააღმდეგო სიტყვას თუ წარმოთქვამს, მაშინ მის შესახებ ვიტყვით, რომ ის არ ამბობს ან არ ასრულებს ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის პირობებს ისე, როგორც საჭიროა.

მეოთხე გაფრთხილება

არსებობენ სხვადასხვა ისლამის სწავლულები, რომლებმაც ქელიმეი თავჰიდის პირობები რვა ან შვიდ ნაწილად ჩამოაყალიბეს. ჩვენ კი ცხრა პირობა განვმარტეთ. ერთი შეხედვით შესაძლებელია იფიქროთ, რომ სწავლულებს ვეწინააღმდეგებით, თუმცა ეს ასე არ არის. ამ საკითხთან დაკავშირებით სწავლულების შეხედულებებს კარგად თუ გამოიკვლევთ, აშკარად აღმოაჩენთ იმას, რომ ზოგი სწავლული ორ პირობას გადმოგვცემს, როგორც ერთი პირობა, რის

[122] მუსლიმ, 1734.

გამოც ქელიმეი თავჰიდის პირობების რაოდენობა ცვლილებას განიცდის. მაგალითად, ზოგიერთი სწავლული ერთ-ერთ პირობად „თავჰიდით მოქმედებას“ ასახელებს, ხოლო „ტაღუთის უარყოფას“ კი არა. ამის მიზეზი ის არის, რომ თავჰიდით მოქმედება ავტომატურად ‘ტაღუთის უარყოფასაც’ გულისხმობს ანუ ვინც თავჰიდით მოქმედებს ის აუცილებლად ტაღუთსაც უარყოფს. აქედან გამომდინარე, მათი ცალ-ცალკე ან ერთად გადმოცემის შემთხვევაში არავითარი პრობლემა არ არის.

მეხუთე გაფრთხილება

სახიხი რელიგიის და სახიხი (სარწმუნო, მისაღები) ქმედებების პირობები ერთმანეთისგან განსხვავდება. მაგალითად, სახიხი რელიგიისთვის ზემოთ ჩამოთვლილი ცხრა პირობის შესრულება აუცილებელია. სახიხი ქმედების პირობები კი სწავლულებმა ორ ნაწილად ჩამოაყალიბეს:

1) ალლაჰის კმაყოფილებისთვის, გულწრფელი განზრახვით მოქმედება.

2) სუნნეთისა და შარიათის შესაბამისად მოქმედება.

შესრულებული საქმე ამ პირობებიდან ერთ-ერთს თუ არ აკმაყოფილებს, მაშინ ეს საქმე ალლაჰის წინაშე არ მიიღება. უზენაესი ალლაჰი სხვისთვის ან რამისთვის შესრულებულ ქმედებას არ იღებს. ყუთსი ჰადისში[123] უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „მე ვარ ის, ვისაც თანაზიარი არ ჰყავს. ის, ვინც რომელიმე საქმეში თანაზიარს დამიდგენს, მას და მის მიერ დადგენილ თანაზიარს მარტოდ-მარტო დავტოვებ.“[124]

ეს ჰადისი გვიჩვენებს, რომ ალლაჰის წინაშე მოჩვენებით, სხვის დასანახად გაკეთებული საქმე არ მიიღება, ამასთანავე მოქმედი პიროვნება დიდ ცოდვაშია (ვინაიდან, მოჩვენებითი საქციელი პატარა შირქს მიეკუთვნება. პატარა შირქი კი, უდიდეს ცოდვაზე უდიდესია).

[123] ჰადისის მნიშვნელობა ალლაჰს ეკუთვნის, წარმოთქმული სიტყვები კი შუამავალს.
[124] მუსლიმ, 2985.

სხვა ჰადისში ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „ფრთხილად იყავით! იცით რა არის ‘დაჯჯალ’-ზე უფრო მაცდური? - იქ მყოფებმა: ‘არა! გვითხარი’. ამის შემდეგ, შუამავალმა შემდეგნაირად ბრძანა: ‘ეს მალული შირქია. პიროვნება ნამაზს შეასრულებს და იმ მიზეზით, რომ მას სხვა უყურებს, მას (ნამაზს) შეალამაზებს.“[125] ეს, რაც შეეხებოდა ქმედებას, რომელიც გულწრფელად უნდა შესრულდეს.

ახლა კი, გადავიდეთ მეორე პირობის ახსნა-განმარტებაზე: რა შეიძლება ითქვას პიროვნებაზე, რომელიც მთელი გულწრფელობით მოქმედებს, თუმცა მის მიერ შესრულებული საქმე სუნნეთისა და შარიათის შესაბამისი არ არის?

ასეთ შემთხვევაში, პიროვნების ნამოქმედარი ალლაჰის წინაშე არ მიიღება. ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰი ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „ვინც ჩვენს რელიგიაში არ არსებულს შემოიტანს, დაუყოვნებლივ უარყოფილი იქნება.“[126]

დიდ იმამს, ‘ფუდაილ ბინ იიაზ’-ს ‘მულქ’ სურას მეორე აიათის: **„67/2. რომელმაც გააჩინა სიკვდილი და სიცოცხლე, რათა გამოეცადეთ თქვენში რომელი უფრო უკეთესია საქმით. უეჭველად, იგი ძლევამოსილია, შემნდობია!“** წაკითხვის შემდეგ ყველაზე კარგი ქმედების შესახებ ჰკითხეს. იმამმა უპასუხა, რომ ყველაზე კარგი ქმედება ყველაზე გულწრფელი და ყველაზე სწორი ქმედება იყო. ამის შემდეგ იქვე მყოფებმა მოქმედების გულწრფელობასა და სისწორის შესახებ ჰკითხეს. ფუდაილმა (რაჰიმაჰულლაჰ) უპასუხა: „გულწრფელი ქმედება არასწორად თუ იქნება შესრულებული, მაშინ ის არ მიიღება. ასევე, სწორი ქმედება გულწრფელად თუ არ იქნება შესრულებული, ასეთ შემთხვევაშიც არ მიიღება. ქმედების გულწრფელად შესრულება მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰისთვის

[125] იბნ-ი მაჯე, 4204.

[126] ბუხარი, 2697; მუსლიმ, 1718.

შესრულებას ნიშნავს, ხოლო ქმედების სისწორეში კი სუნნეთისა და შარიათის შესაბამისობა იგულისხმება.“[127]

იმამ იბნ-ი ქასირი ბაყარა სურას 112-ე აიათის განმარტებაში ამბობს: „ამელის (ქმედების) მიღებისთვის ორი პირობა არსებობს.

1- ქმედება მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰისთვის (მისი კმაყოფილებისთვის) უნდა სრულდებოდეს,

2- ქმედება შარიათის შესაბამისი უნდა იყოს.

ქმედება ალლაჰისთვის, თუმცა შარიათის საწინააღმდეგოდ შესრულებული თუ არის, მაშინ ის ალლაჰის წინაშე არ მიიღება.“[128]

ასევე, ისლამის სწავლულებმა აღნიშნეს, რომ ეს ორი პირობა სურა ‘ქაჰფ’-ის 110-ე აიათშიცაა მოცემული. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „...მაშ, ვინც სასოებს თავის უფალთან შეხვედრას (1) (ვისაც სწამს აღდგომისა და საზღაურის მიგების), მაშინ მართალი საქმე აკეთოს და ნუ დაუდგენს ზიარად თაყვანისცემაში თავის ღმერთს ნურავის!““

აიათში მოცემულ სიტყვებში: „მართალი საქმე აკეთოს“, სუნნეთისა და შარიათის შესაბამისი ქმედებებია ნაგულისხმევი. ხოლო სიტყვებში: „ნუ დაუდგენს ზიარად თაყვანისცემაში თავის ღმერთს ნურავის!“, ალლაჰზე ყოველგვარი თანაზიარის დადგენის გარეშე გულწრფელი ღვთისმსახურებაა ნაგულისხმევი.[129]

მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ნიათი (განზრახვა) სახიხი (სარწმუნო) თუ არის, მაგრამ იგი (განზრახვა) სუნნეთსა (შუამავლის მეთოდებსა) და შარიათს (ალლაჰის კანონებს) თუ არ ემთხვევა, მაშინ მსგავსი ნიათი (განზრახვა) ალლაჰის წინაშე მიუღებელია. მექქელ მუშრიქებს, როდესაც კერპებზე თაყვანისცემის მიზეზს ეკითხებოდნენ, ისინი შემდეგნაირად პასუხობდნენ:

---

[127] გადმოცემულია იუსუფ ალ- ყარადავი ას-სუნნა ვა’ლ-ბიდ’ა ნაწარმოებში.. იხი. გვ, 13. მუესსესეთუ’რ-რისალე გამოცემა.

[128] თაფსირუ’ლ ყურანი’ლ ‘აზიმ, 1/214.

[129] იხ. შურუტუ ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ, გვ. 93.

„39/3. არ ვეთაყვანებით მათ, თუ არა იმისთვის, რომ დაგვაახლოონ ალლაჰს რაც შეიძლება მეტად“.

როგორც ხედავთ მათი განზრახვა სახიხი (სარწმუნო) იყო, თუმცა ამ განზრახვას მათთვის მუშრიქის სტატუსი არ წაუშლია. ასევე, მუსლიმის სტატუსიც არ მიუნიჭებია, რადგან მათი მეთოდი (კერპებზე თაყვანისცემა) სუნნეთისა და შარიათის შესაბამისი არ იყო, რის გამოც ალლაჰმა მათი განზრახვა არ მიიღო და მათ მუშრიქების სტატუსი მიანიჭა, რომელთა სასუფეველიც სამუდამო ჯოჯოხეთია.

ადამიანის შინაგანი და გარეგანი სამყაროს ურთიერთობა

ისლამში ნიშნები და საზღვრები არსებობს, რაც ადამიანის მდგომარეობის განსაზღვრაში გვეხმარება. ამ ნიშნების საშუალებით შეგვიძლია ადამიანი შევაფასოთ, როგორც კარგი ან ცუდი, მართალი ან არასწორი, მორწმუნე ან ურწმუნო და ა.შ. ადამიანის გარეგნულობა შინაგანი სამყაროს ანარეკლია. პიროვნების შინაგანი სამყარო თუ კარგია, მაშინ გარეგნობაც შესაბამისი იქნება. ასევე, პიროვნების გარე სამყარო თუ ცუდია, მაშინ ეს შინაგან სამყაროზე გავლენას მოახდენს, რაც იმას ნიშნავს, რომ შინაგანი და გარეგანი სამყარო ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. გარეგნულობის სიმრუდე შინაგანის სიმრუდისგან გამომდინარეობს. მურჯიტების მიხედვით, შინაგან და გარეგან სამყაროს ერთმანეთთან კავშირი არ აქვს. რაც იმას ნიშნავს, რომ პიროვნება გარეგნულად სიბილწეს თუ ჩაიდენს ეს საქციელი შინაგან სამყაროზე არ იმოქმედებს, თუნდაც ეს ქმედება ქუფრი/ურწმუნოება იყოს... მსგავსი შეხედულება სუნნეთსა და ყურანს ეწინააღმდეგება. ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანა: „ფრთხილად იყავით! ადამიანის სხეულში ერთი ხორცის ნაჭერია, ის თუ ჯანმრთელი იქნება, ადამიანის მთელი სხეულიც ჯანმრთელი იქნება, ხოლო ის გაფუჭებული (დაავადმყოფებული) თუ იქნება, მაშინ მთელი სხეულიც დაავადმყოფდება. ფრთხილად იყავით! ზემოთ ნახსენები ხორცის ნაჭერი გულია.“130

ჰადისი შინაგანი და გარეგანი სამყაროს მჭიდრო ურთიერთობაზე მიუთითებს. სხეული ისეთად მომართული თუ არ არის, როგორც ალლაჰს სურს, მაშინ ეს მიანიშნებს იმაზე, რომ შინაგანი სამყარო გაფუჭებული-დაავადებულია. გულით მორწმუნე არ არის ის, ვინც რწმენაზე საუბრობს, თუმცა მის შესაბამისად არ მოქმედებს. გულში არსებული რა ფორმითაც არ უნდა მოხდეს, გარეგნულად აუცილებლად გამოისახება.[131]

---

[130] ბუხარი, იმან, 52.

[131] არ-რედდუ ‘ალაა შარითათი “ალ-ქუფრუ ქუფრან” გვ, 48. მეჯმუუ’ლ-ფათვა-დან გადმოც. იხ. 14/120 და სხვა.

დღესდღეობით აშკარად ვხედავთ იმ ხალხის მდგომარეობას, რომლებიც რწმენაზე საუბრობენ, თუმცა ისლამიდან შორს მყოფნი არიან. მათგან უმეტესი (სწორი აყიდის უქონლობა, რომც არ ჩავთვალოთ) ნორმალურად ნამაზსაც კი არ ასრულებს და ამის შესახებ თუ ჰკითხავ პასუხი ეგრევე მზად აქვთ: „გული ხომ სუფთა მაქვს!...“

მათი გულები ნამდვილად სუფთა, რომ ყოფილიყო გარეგნობაზეც აისახებოდა. ადამიანების გარეგნობაში ცუდს თუ აღმოაჩენ, უნდა მიხვდე, რომ ეს ცუდი შინაგანი სამყაროსგან გამომდინარეობს. უფლება არ უნდა მივცეთ, რომ მათი სიტყვებით: „გული ხომ სუფთა მაქვს!“ ჩვენზე გავლენა მოახდინონ და მოგვატყუონ.

„2/9. ცდილობენ, რომ ალლაჰი და მორწმუნენი მოატყუონ; თუმცა მხოლოდ საკუთარ თავს იტყუებენ და არ აცნობიერებენ (შედეგს).“

ადამიანის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა იწერება/ინახება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის წარმოთქმულ ყოველ სიტყვას პასუხისმგებლობა თან ახლავს.

„50/17. ისედაც, ორი ანგელოზი მარჯვნივ და მარცხნივ მის ყველა ქმედებას იწერენ.

18. საკმარისია მან სიტყვა წარმოთქვას და უეჭველად, მეთვალყურე მზადყოფნაშია ესწრას მას.“

იბნ-ი ქასირი აიათის განმარტებაში იბნ-ი აბბასის მიერ გადმოცემულს გადმოსცემს: „ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვები (კარგი თუ ცუდი) იწერება. ასევე, იწერება სიტყვები, როგორიცაა: „ვჭამე“, „დავლიე“, „წავედი“, „მოვედი“, „დავინახე“ და ა.შ.“[132]

იგი გაგრძელებაში ამბობს: „სწავლულებმა იკამათეს იმასთან დაკავშირებით, რომ ანგელოზი იწერს თუ არა ყველაფერს. ჰასან-ი ბასრი და ყათადე ეთანხმებოდნენ იმ აზრს, რომ ანგელოზი ყველა

[132] თაფსირუ'ლ ყურანი'ლ 'აზიმ, ტ..4, გვ. 286.

სიტყვას წერს. იბნ-ი აბბასის მიმდევრებიდან ერთ-ერთი ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ ანგელოზი მხოლოდ მადლის ან ცოდვის შემცველ სიტყვებს ინახავს. აიათის გარეგნობა პირველ შეხედულებას ეთანხმება, თუმცა აიათი განზოგადებულია...“[133]

ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰი ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „ადამიანი დაუფიქრებლად იტყვის ისეთ სიტყვას, რომელიც ალლაჰის კმაყოფილებას მოიპოვებს, რის გამოც ალლაჰი ადამიანისთვის კმაყოფილებას დაწერს. ასევე, ადამიანი დაუფიქრებლად იტყვის ისეთ სიტყვას, რომელიც ალლაჰის განრისხებას გამოიწვევს, რის გამოც ალლაჰი ადამიანის საწინააღდეგოდ გაბრაზებას დაწერს.“[134]

ჰადისის გადმომცემი ‘ალყამა’ ამბობს: „ამ ჰადისის მიზეზით არც თუ ისე ცოტა სიტყვების გამოყენებაზე უარი ვთქვი.“[135]

დღესდღეობით ადამიანთა უმრავლესობა დაუფიქრებლად ისეთ სიტყვებს წარმოთქვამს, რომელიც ქუფრს შეიცავს, რაც ისლამიდან გასვლას იწვევს. ისლამის სწავლულებმა აღნიშნეს, რომ „იქრაჰი“-ს (ძალდატანების) გარეშე წარმოთქმული ქუფრი სიტყვა რწმენიდან გამყვანია.

იმამ ყურტუბი, ყადი აბუ ბაქირ იბნუ’ლ არაბის სიტყვებს გადმოგვცემს: „ქუფრი სიტყვების გამოყენებით გახუმრება ქუფრია. ამ საკითხში სწავლულებს შორის განსხვავებული აზრი არ არის.“[136]

იმამ ქაშმირი “იქფარუ’ლ მულჰიდინ” სახელობის ნაწარმოებში ამბობს: „თუგინდ ხუმრობით, თუგინდ დაცინვით ის, ვინც ქუფრ სიტყვას იტყვის ურწმუნო გახდება, რაშიც სწავლულთა შორის განსხვავებული აზრი არ არის. ასევე, ასეთ დროს განზრახვას მნიშვნელობა არ მიენიჭება...“[137]

---

[133] თაფსირუ’ლ ყურანი’ლ ‘აზიმ, ტ..4, გვ. 286.
[134] თირმიზი, ზუჰდ, 10.
[135] თაფსირუ’ლ ყურანი’ლ ‘აზიმ, 4/286.
[136] ალ-ჯამიუ ლი აჰქამი’ლ-ყურან, 8/197.
[137] იქფარუ’ლ-მულჰიდინ, გვ. 59.

აქედან გამომდინარე, პიროვნება ქუფრ სიტყვას თუ წარმოთქვამს (არ აქვს მნიშვნელობა დაცინვის მიზნით იქნება თუ ხუმრობის), ისლამის გარეთ აღმოჩნდება და ისეთ სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არ მიენიჭება, როგორიცაა: „მართლა კი არ მითქვამს, ვხუმრობდი...“, „ჩემი განზრახვა ქუფრის თქმა არ იყო..“ და ა.შ. სუნნეთისა და შარიათის მიხედვით, იქრაჰის (ძალდატანების)[138] გარეშე ქუფრი სიტყვების წარმოთქმა ქუფრია. რომელ დალილებს ეყრდნობა ის ხალხი, რომლებიც ამბობენ, რომ იქრაჰის გარეშე ქუფრი სიტყვების წარმოთქმა ქუფრი არ არის?

ჰანეფი სწავლულებიდან ერთ-ერთი, 'სადრადდინ ალ-ქონავი' ამბობს: „პიროვნება საკუთარი ნებით (იქრაჰის გარეშე) ქუფრ სიტყვას თუ იტყვის, წარმოთქმული სიტყვების რომც არ სწამდეს ქუფრში ჩავარდება...“[139]

ჰანეფი იმამებიდან ერთ-ერთი ცნობილი იმამი 'ალი ალ-ყარი', ჰანეფის ერთ-ერთ წიგნში, რომლის სახელწოდებაა 'მეჯმააუ'ლ ფათვა" გადმოსცემს: „პიროვნება ქუფრ სიტყვას თუ იტყვის ქააფირი გახდება.“[140]

'ალ-ჰულასა' სახელობის ნაწარმოებში კი გადმოცემულია: „პიროვნება შემდეგ სიტყვებს თუ წარმოთქვამს: 'მე ურწმუნო ვარ' ქააფირი გახდება.“[141]

იბნ-ი ჰაჯარ ალ-ჰაისამი ჰანეფი იმამებიდან გადმოსცემს: „ვინც ქუფრ სიტყვას იტყვის და წარმოთქმული სიტყვის რომც არ სჯეროდეს მაინც ქააფირი გახდება. ვინმე მის სიტყვებზე თუ გაიცინებს ან წარმოთქმული ქუფრი სიტყვების მიმართ სიმპათიას ან კმაყოფილებას თუ გამოხატავს, ისიც ქააფირი გახდება...“[142]

ჰანეფის ცნობილ 'მეჯმაუ'ლ ანჰურ' სახელობის წიგნში გადმოცემულია: „ყველა სწავლულის მიხედვით, ქააფირია ის,

---

[138] ამ საკითხს მოგვიანებით განვიხილავთ.

[139] შერჰუ'ლ-ფიყჰილ-აქბარ, გვ. 241.

[140] შერჰუ'შ-შიფა, 2/453.

[141] შერჰუ'შ-შიფა, ტ..2, გვ. 429.

[142] ალ-ი'ლამ ბი ყავაითიი'ლ-ისლამ, გვ. 40.

რომელმაც ქუფრი სიტყვა იქრაჰის გარეშე თავისი ნება-სურვილით წარმოთქვა.“[143]

უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„9/65. და თუ მათ შეეკითხები (1) (თებუქის მოგზაურობის დროს, როცა შენს ერთად გზას ადგანან: რატომ დაგცინოდნენ შენ, ყურანს და ალლაჰს?), უეჭველად, იტყვიან: მხოლოდ ვყბედობდით და ვერთობოდით. უთხარი: ნუთუ თქვენ დასცინოდით ალლაჰს, მის აიათებს და მის შუამავალს?

66. ნუ ბოდიშობთ. თქვენ უკვე უარყავით რწმენის მიღების შემდეგ. თუ მივუტევებთ თქვენს შორის ერთ ნაწილს და დავსჯით მეორე ნაწილს, რადგანაც ცოდვილნი იყვნენ ეგენი.“

აიათის მოვლენის მიზეზი შემდეგია: „თაბუქის ლაშქრობაში ყოფნის დროს ერთმა თქვა: ‘არ გვინახავს ისეთი მშიშარა, მატყუარა და ხარბი ხალხი, როგორიც ყურანის მკითხველნი არიან.’ იქვე მყოფთაგან ერთ-ერთმა წამოიძახა: ‘ტყუილს ამბობ. შენ მუნაფიყი (ორპირი) ხარ. შუამავალს გადავცემ იმას, რაც აქ თქვი.’ ამბავმა შუამავლის ყურამდე მიაღწია, რის შემდეგაც ეს აიათი მოევლინა.“[144]

აბდუ’ლ მუნ’იმ მუსტაფა ამ აიათისა და ჰადისის გადმოცემის შემდეგ ამბობს: „ეს აიათი აშკარა მტკიცებულებაა იმისა, რომ პიროვნება დაცინვის ან ხუმრობის მიზნით ქუფრ სიტყვებს თუ იტყვის ქააფირი გახდება. ამ საკითხში სწავლულებს შორის სხვადასხვა აზრი არ არის...“[145]

იმამ ჯასსასი „აჰქამუ’ლ ყურან“ სახელობის ნაწარმოებში, აიათის განმარტების დროს ამბობს: „აიათში გადმოცემულია ნიშანი, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ხუმრობის ან დაცინვის მიზნით წარმოთქმული ქუფრი სიტყვა ურწმუნოებაა... ასევე, აიათის მიხედვით, ქუფრი სიტყვის ხუმრობის მიზნით

[143] მეჯმაუუ’ლ-ანჰურ შერჰუ მულთეყარ-აბჰურ, გვ. 696.
[144] თაფსირუ’თ-თაბერი, 6/172.
[145] რწმენიდან გამყვანი ქმედებები, გვ. 155.

წარმომთქმელი და სერიოზული მიზნით წარმომთქმელი ერთიდაიგივეა.“[146]

იბნუ’ლ ჯავზი ამბობს: „გადმოცემები მიუთითებს იმაზე, რომ ქუფრი სიტყვის ხუმრობის მიზნით წარმომთქმელი და სერიოზული მიზნით წარმომთქმელი ერთიდაიგივეა.“[147]

იმამ ალუსი ამბობს: „ზოგიერთმა სწავლულმა აიათი იმის დასამტკიცებლად მოიყვანა, რომ ქუფრი სიტყვების ხუმრობით წარმოთქმა სერიოზულობით წარმოთქმის ტოლფასია. ამ საკითხში სწავლულთა შორის სხვადასხვა აზრი არ არის.“[148]

იბნ-ი ნუჯაიმი ამბობს: „ყველა სწავლულის მიხედვით ურწმუნოა ის, ვინც ქუფრ სიტყვას ხუმრობით ან სერიოზულობით იტყვის. ამ საკითხში პიროვნების განზრახვას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.“[149]

აქედან გამომდინარე, აჰლი სუნნეთის ალიმების მიხედვით, ქუფრი სიტყვისა და ქმედების შესრულება ქუფრის ტოლფასია. პიროვნების განზრახვას მნიშვნელობა არ აქვს და არც იმას ხუმრობით შესრულდა იგი, დაცინვით თუ სერიოზულობით. ის, ვინც საწინააღმდეგოს აცხადებს, მურჯიტების აყიდას მიეკუთვნება, რომელიც აჰლი სუნნეთის ალიმების მიხედვით უარყოფილია.

ჰუქმი გარეგნობის მიხედვით გაიცემა

ისლამი ადამიანებზე ჰუქმის გაცემას გარეგნობის მიხედვით გვიბრძანებს. გულისა და განზრახვის მიხედვით ჰუქმის გამცემი მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰია. ურთიერთობა სხვადასხვა ხასიათისა და ეროვნების ადამიანებთან გვიწევს. მათთან ერთად ვსხდებით, ვსაუბრობთ, ვჭამთ, ვსვამთ და ა.შ. აქედან გამომდინარე, ადამიანის პიროვნული ხასიათის გარეგნული

[146] აჰქამუ’ლ-ყურან, 3/207.
[147] ზადუ’ლ-მასირ, 3/465.
[148] თაფსირუ რუჰი’ლ-მა’ანი, 6/190.
[149] ალ-ბაჰრუ’რ-რაიყ, 5/134.

ნიშნებით დადგენა შესაძლებელია. როგორი უნდა იყოს პიროვნების გარეგნული ნიშნებისადმი ჩვენი დამოკიდებულება? ამ და სხვა მსგავს კითხვებზე პასუხის გასაცემად საკითხის ახსნა-განმარტებაზე გადავიდეთ.

ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანა: „ადამიანის გულის ორად გაყოფა და შიგნით არსებულის დანახვა არ მბრძანებია.“[150]

უსამე ბინ ზეიდმა (რადიალლაჰუ ‘ანჰ) ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის მთქმელი როცა მოკლა, ალლაჰის შუამავალმა მას შემდეგნაირად მიმართა: „’ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ი გულწრფელად წარმოთქვა თუ არა, მისი გულის გაპობით და მასში ჩახედვით მიხვდი?“[151]

იმამ ნავავი (რაჰიმაჰულლაჰ) ზემოთ მოყვანილი ჰადისის განმარტებაში ამბობს: „ამ ჰადისში არის ნიშანი, რომლის მიხედვითაც, ჩვენთვის ცნობილია, რომ ჰუქმი გარეგნული ნიშნების შესაბამისად გაიცემა, ხოლო გულში არსებული განზრახვა ალლაჰს ეკუთვნის...“[152]

ჰადისის მნიშვნელობას კი შემდეგნაირად განმარტავს: „ეი უსამე! შენ ვალდებული ხარ, რომ ჰუქმი გარეგნული ნიშნების (საუბრის, ქმედების) მიხედვით გასცე, ხოლო გულს რაც შეეხება: შენთვის გულში არსებულის ცოდნის გზა არ არსებობს...“[153]

იბნ-ი ჰაჯერი საიდ ყუტბის (რაჰიმაჰულლაჰ) ნათქვამს გადმოსცემს: „ამ ჰადისში არის დალილი, რომლის მიხედვითაც, ჰუქმი არა შინაგანი, არამედ გარეგნული ნიშნებით უნდა გაიცეს.“[154]

ბუხარის გადმოცემით, აბდულლაჰ იბნ-ი უტბა (რადიალლაჰუ ‘ანჰ) ომარ ბინ ჰატტაბის (რადიალლაჰუ ‘ანჰ) სიტყვებს გადმოსცემს: „შუამავლის (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ)

[150] მუსლიმ, 1064.
[151] მუსლიმ, 96.
[152] ნავავი, შერჰუ მუსლიმ, 1/282.
[153] ნავავი, შერჰუ მუსლიმ, 1/280.
[154] ფეთჰუ’ლ ბარი, 12/275.

დროს ადამიანები’ ვაჰ’-ის[155] მიხედვით ფასდებოდნენ. ახლა კი ვაჰი შეწყდა. ამიერიდან ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ქმედების მიხედვით შეგაფასებთ. ის, ვინც კარგს გვიჩვენებს, სანდოდ ჩაითვლება და ჩვენ დაგვიახლოვდება. მისი განზრახვის ჭეშმარიტების დამტკიცება ჩვენი საქმე არ არის. განზრახვის მიხედვით განმკითხველი მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰია. ხოლო ის, ვინც ცუდს გვაჩვენებს, განზრახვა კარგი რომც ჰქონდეს ჩვენ მას არ მივენდობით და არ დავუჯერებთ.“[156]

დალილებიდან გამომდინარე, ამქვეყნად ჰუქმის გასაცემად გულში არსებული განზრახვა არ გამოიყენება. ადამიანს ჰუქმს მისი ნამოქმედარის მიხედვით ვანიჭებთ.

აბდუ’ლ მუწ’იმ-ი ამბობს: „ყურანიდან და სუნნეთიდან ცნობილია დალილები, რომლის მიხედვითაც ჰუქმი გარეგნული ქმედებების მიხედვით გაიცემა. იგივეა რწმენისა და ქუფრის საკითხებშიც ანუ პიროვნება სიტყვით ან საქმით ისლამის ნიშნებს თუ გამოავლენს, მას მუსლიმის ჰუქმი ყოველგვარი განზრახვის გამოკვლევის გარეშე მიენიჭება. ასევე მას, ვინც ქმედებით ან სიტყვით ქუფრს გამოამჟღავნებს, შინაგანი განზრახვის ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე ურწმუნოს ჰუქმს მივანიჭებთ. ის, ვინც დამაბრკოლებლების აღკვეთის შემდეგ ქუფრს გვაჩვენებს, ჩვენც მასზე თაქფირს გამოვიტანთ.“[157]

ჰადისის განმარტება: „ქმედებები განზრახვის მიხედვითაა.“

ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანა: „ქმედებები განზრახვის მიხედვითაა. ყველას აქვს რაღაც განზრახული...“[158] ყოველთვის არსებობდა ავადმყოფობა, რომლის მიხედვითაც, ადამიანები საკუთარი მიზნების მისაღწევად

[155] ალლაჰიდან მოსული ინფორმაციის მიხედვით.
[156] ბუხარი, ქითაბუ’შ-შაჰადეთ, ჰადისის ნომ: 2641.
[157] ა’მალუნ თუჰრიჯუ საჰიბეჰა მინე’ლ-მილლა, გვ. 15.
[158] ბუხარი, ქითაბუ’ლ-ვაჰი, 1.

დალილებს სხვადასხვა დანიშნულებისთვის იყენებდნენ. ამ მეთოდს იყენებს ის, ვინც ცუდს აკეთებს, რის შემდეგაც დალილების საშუალებით ჩადენილი ქმედების გამართლებას ეცდება. არსებობენ ადამიანები, რომლებმაც ზემოთ ხსენებულ ჰადისს ისეთი განმარტება მისცეს, რაც მათთვის ხელსაყრელი იქნებოდა და მისით მოქმედება დაიწყეს, რამაც ისინი ქუფრის შესრულებამდე მიიყვანა.

ჰადისის სწორად გაგებისთვის აუცილებელია ვიცოდეთ თუ რას ნიშნავს „ამელი/ქმედება“. ისლამის სწავლულების მიხედვით, „ამელი“ სამ ნაწილად იყოფა:

1) მუბაჰი/ნებადართული ამელი,
2) ღვთისმსახურების ამელი,
3) ცოდვის ამელი.

უმმეთის ერთიანი აზრით ცნობილია, რომ „განზრახვა“ პირველ ორ ნაწილისთვისაა ანუ განზრახვა შეიძლება იყოს მუბაჰი ამელისთვის და ღვთისმსახურების ამელისთვის. ხოლო, ბოლო ნაწილისთვის ანუ ცოდვის ამელისთვის განზრახვა მისაღები არ არის.

ფაჰრადდინ არ-რაზი ამბობს: „ცოდვა განზრახვის საშუალებით ცოდვილობისგან არ უქმდება. აქედან გამომდინარე, ჯაჰილს [159] არ ეგონოს, რომ შუამავლის სიტყვების „ქმედებები განზრახვის მიხედვითაა“ გამოყენებით და განზრახვის საშუალებით ცოდვას ცოდვილობისგან წაშლის.!“ [160] ახლა კი, მაგალითების მოყვანით ახსნა-განმარტებას შევუდგეთ:

მაგალითად, პიროვნებამ სუნამო გამოიყენა. მან სუნამო სიამაყის ან ქალების ყურადღების მიქცევის გამო თუ გამოიყენა, მაშინ მას ეს განზრახვა ცოდვაში ჩააგდებს, ხოლო სუნამო ალლაჰის შუამავლის (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) სუნნეთის გამო თუ გამოიყენა, მაშინ ეს განზრახვა მას მადლს მოაპოვებინებს. სწორედ ასეთი შემთხვევისთვის არის ნათქვამი, რომ „ქმედებები

[159] უვიცი.
[160] თაფსირ-ი ქებირ, 3/348.

განზრახვის მიხედვითაა.“ ანუ ასეთ დროს პიროვნებას განზრახვის მიხედვით ცოდვა ან მადლი დაეწერება.

მოვიყვანოთ სხვა მაგალითი: ნამაზი არის ის, რაც ალლაჰმა ჩვენ გვიბრძანა. როგორც სხვა ღვთისმსახურებებში, ასევე ნამაზშიც, განზრახვა (ნიეთი) დიდ როლს ასრულებს. ალლაჰის წინაშე ნამაზის მიღება ნიათზეა (განზრახვაზეა) დაკავშირებული (დანარჩენ ნამაზის პირობებთან ერთად). პიროვნება ნამაზს იმ განზრახვით თუ შეასრულებს, რომ ის ალლაჰმა უბრძანა და მისი კმაყოფილების მოპოვება სურს, მაშინ ეს ნამაზი ღვთისმსახურებაში ჩაეთვლება, ხოლო ნამაზს იმ განზრახვით თუ შეასრულებს, რომ სხვამ მასზე თქვას „ნახეთ ნამაზს ლოცულობს“, ასეთ შემთხვევაში მისი ღვთისმსახურება მიღებული არ იქნება. ისლამის სხვა ღვთისმსახურებებშიც იგივე მდგომარეობაა.

ახლა კი, განვმარტოთ სიტუაცია, რომელიც უმრავლესობას აინტერესებს: **„ცოდვებში განზრახვის მიღება-არ მიღება“:** როგორც ვიცით პროცენტი ჰარამია. მეჩეთის აშენება კი, ისლამში მოწონებულ საქმედ ითვლება... ამის შემდეგ, პიროვნება თუ იტყვის, რომ მას მეჩეთის აშენება სურს, თუმცა ამისთვის ფული არ ყოფნის, რის გამოც მოგებული პროცენტით ხარჯების დაფარვას ფიქრობს, რა მოხდება ასეთ დროს? ვფიქრობ პასუხი ყველასთვის გასაგებია. რათქმაუნდა პროცენტით მეჩეთის აშენება დაშვებული არ არის. მოდით ყველამ ერთად ქვემოთ მოცემულ კითხვებს პასუხი გავცეთ:

რა მოხდება სხვისი ქონების მიტაცებით ღარიბებს თუ დავეხმარებით? რა მოხდება ღარიბებზე დახმარების მიზნით ყუმარს (აზარტულ თამაშებს) თუ ვითამაშებთ? რა მოხდება თუ წარმოებულ ღვინოს დავლევთ იმის გამო, რომ ტყუილად არ იქნას გადაქცეული?

ეს და სხვა მრავალი მსგავსი შეკითხვა არსებობს. რათქმაუნდა ყველა მათგანის პასუხი უარყოფითი იქნება. თუ ეს ასეა, მაშინ რა უნდა ითქვას იმის შესახებ, ვინც მოჩვენებით ისლამის სასარგებლოდ, შარიათის საწინააღმდეგო მეთოდებს მიმართავს ან

ალლაჰის კანონების საწინააღმდეგო კანონებს გამოსცემს. რა უნდა ვთქვათ მათზე, ვინც მკვდრებს და სხვადასხვა კერპებს სცემს თაყვანს... ამ ყველაფერზე რა შეიძლება ითქვას? დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ამ კითხვებზე პასუხი თქვენც კარგად იცით.

ასმ ალ-მაყდისი ამბობს: „სიბინძურე სიბინძურით არ შორდება. შარდი შარდით არ სუფთავდება. ისლამისკენ მომწოდებლის მიზანი თუ სუფთა და ძვირფასია, ასევე ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი გზაც სუფთა და ძვირფასი უნდა იყოს.“[161]

[161] ქეშფუ შუბუჰათი’ლ-მუჯადილინ, გვ. 44.

‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის საწინააღმდეგო მდგომარეობები

აქამდე, რაც ავხსენით ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის მნიშვნელობას და პირობებს ეხებოდა. ახლა კი, ერთ-ერთი დოგმიდან გამომდინარე **„ყველაფერი მისი საწინააღმდეგოთი შეიცნობა“,** ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის საწინააღმდეგო მდგომარეობებისა და ურწმუნოებისკენ მიმავალი ქმედებების შესახებ ვისაუბრებთ. ისლამმა ჯანმრთელი რწმენის, ზნეობისა და სხეულის შესანარჩუნებლად ყველაფერი აკრძალა, რაც ზემოთ ჩამოთვლილს ზიანს აყენებს. არსებობს ხუთი რამ, რაც მოფრთხილებას საჭიროებს:

1) რელიგიის უსაფრთხოება,
2) სულის უსაფრთხოება,
3) თაობის უსაფრთხოება,
4) გონების (ჭკუის) უსაფრთხოება,
5) ქონების უსაფრთხოება.

ისლამში აკრძალულია ყველაფერი ის, რაც ზემოთ ჩამოთვლილს ზიანს აყენებს. მაგალითად: ადამიანის მოკვლა ჰარამია, ამის მიზეზი კი სულის უსაფრთხოების დარღვევაა... ზინა (მრუშობა) ჰარამია, მიზეზი კი თაობის უსაფრთხოების დარღვევაა... ალკოჰოლური სასმელი ჰარამია, მიზეზი კი გონება-ჭკუის უსაფრთხოების დარღვევაა... ქურდობა ჰარამია, მიზეზი კი ქონების უსაფრთხოების დარღვევაა...

აგრეთვე, ისლამში აკრძალულია ისეთი ქმედებები, რომლის საშუალებით მუსლიმი ქუფრში აღმოჩნდება და ისლამის საზღვრებს გარეთ გავა. მიზეზი კი რელიგიის უსაფრთხოების დარღვევაა. ზემოთ მოყვანილი ხუთი საფუძვლიდან მხოლოდ პირველი საფუძვლის ‘რელიგიის უსაფრთხოების’ შესახებ ვისაუბრებთ.

ხუთი ფაქტორი არსებობს, რომლის საშუალებითაც პიროვნება რელიგიის უსაფრთხოებას არღვევს (ანუ ურწმუნო ხდება):

1) ქუფრი,
2) შირქი,

3) ნიფაყი (ორპირობა),

4) ათეისტობა (ალლაჰისა და აღსდგომის დღის უარყოფა),

5) მურთადობა (რწმენიდან დაბრუნება - ანუ მუსლიმობიდან ურწმუნოებაში დაბრუნება).

ახლა კი, თითოეული მათგანი ცალ-ცალკე განვმარტოდ:

ქუფრის მნიშვნელობა: ქუფრის ლექსიკური მნიშვნელობა დამალვაა. მიწით მარცვლის დამალვის გამო არაბულ ენაში მიწაზე მომუშავეს „ქააფირ"-ი ეწოდება. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს: **„57/20...ის წვიმას ჰგავს, გაახარა მთესველნი თავისმა მცენარემ..."**

აიათის ორიგინალში მოცემულ სიტყვაში "ალ-ქუფფარ" - ქააფირებ-ში 'მთესველნი' იგულისხმება ანუ ამ შემთხვევაში სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობაა ნაგულისხმევი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა 'დამალვა-დაფარვაა'.

ისლამის ტერმინოლოგიაში მისი მნიშვნელობა კი რელიგიის საწინააღმდეგოდ ალლაჰის აიათებისა და მის გავრცელებაზე ხელის შეშლაა.

ქუფრის ნაწილები

ქუფრი ორ ნაწილად იყოფა: დიდი და პატარა ქუფრი. სხვანაირად, რომ ვთქვათ ქუფრი, რომელსაც პიროვნება ისლამიდან გაჰყავს და ქუფრი, რომელსაც პიროვნება ისლამიდან არ გაჰყავს.

დიდი ქუფრი

ქუფრის ამ სახეობას პიროვნება ისლამიდან გაჰყავს. ამავე დროს იგი სამუდამოდ ჯოჯოხეთში დარჩენის მიზეზია. ყურანსა და სუნნეთში გადმოცემული სიტყვა „ქუფრი“ ძირითადად „დიდ ქუფრს“ გულისხმობს. ისლამის სწავლულებმა დიდი ქუფრი ხუთ ნაწილად ჩამოაყალიბეს. თითოეული მათგანი გავნმარტოთ:

სიცრუედ გამოცხადების ქუფრი: ქუფრის ეს სახეობა სრულდება მაშინ, როცა პიროვნება ალლაჰის სიტყვის საწინააღმდეგოს აცხადებს და ამტკიცებს. მაგალითად, უზენაესმა ალლაჰმა ყურანის საშუალებით ახირეთის [162] არსებობა გვაცნობა. ის, ვინც ამის საწინააღმდეგოს გამოაცხადებს ქუფრის ამ სახეობაში ჩავარდება, რის გამოც რწმენის საზღვრის გარეთ აღმოჩნდება.

„29/68. და ვინ შეიძლება იყოს იმაზე მეტად უსამართლო, ვინც სიცრუე შეთხზა ალლაჰზე ან ცრუდ შერაცხა ჭეშმარიტება, როცა მოევლინა? განა ჯოჯოხეთი არ არის ურწმუნოთა სადგომი?“

უარყოფისა და სიამაყის ქუფრი: ქუფრის ეს სახეობა სრულდება მაშინ, როცა პიროვნებამ ჭეშმარიტების შესახებ იცის, თუმცა სიამაყის გამო მისი აღიარება არ სურს.

„2/34. და (გაიხსენე) აკი, ვუთხარით ანგელოზებს: „სეჯდე (1) (ძირს უნდა ეხებოდეს მუხლებით, შუბლით, ცხვირით, ორივე ხელითა და ფეხის ტერფებით) აღასრულეთ ადამისთვის!“ უმალვე სეჯდე აღასრულეს, გარდა იბლისისა, (2) (ეშმაკის, ჯინების წინაპარი, რომელიც მაშინ ანგელოზებთან ერთად იყო) რომელმაც უარი თქვა, გადიდგულდა და იქმნა ურწმუნოთაგან.“

[162] სიკვდილის შემდეგ გაცოცხლების შემდგომი ცხოვრება.

ეჭვის ქუფრი: ქუფრის ეს სახეობა სრულდება მაშინ, როცა პიროვნებას ალლაჰისა და მისი შუამავლის მოტანილის მიმართ ეჭვი ეპარება.

„18/35. შევიდა იგი თავის ბაღში, უსამართლოდ მოქცეული თავისი სულის მიმართ (1) (თავისივე ურწმუნოებით) და თქვა: „არ მგონია, რომ ეს ოდესმე მოისპოსო.

36. არ მგონია დადგეს ჟამი. და თუ მიბრუნებული ვიქნები ჩემს ღმერთთან, უსათუოდ ვპოვებ ამაზე უკეთესს დაბრუნებისთვისო!“

37. უთხრა მას თავისმა მეგობარმა საუბრის დროს: „ნუთუ უარყე, რომელმაც გაგაჩინა შენ მიწისგან, შემდეგ წყლისგან და მერე ჩამოგაყალიბა შენ კაცად?

38. მაგრამ იგი ალლაჰი ჩემი ღმერთია და მე არ დავუდგენ თანაზიარს ჩემს ღმერთს არავის.

უგულისყურობის (არაფრად ჩაგდების) ქუფრი: ქუფრის ეს სახეობა სრულდება მაშინ, როცა პიროვნება ჭეშმარიტებას არაფრად მიიჩნევს, შესაბამისად არ სწავლობს და საჭიროებისამებრ არ მოქმედებს. უგულისყურობის ქუფრი სამ ნაწილად იყოფა: A) გულით უგულებელყოფა, B) სიტყვით უგულებელყოფა, C) ქმედებით უგულებელყოფა.

„46/3...ხოლო რომელთაც უარყვეს, ზურგს აქცევენ იმას, რითიც შეაგონეს.“

ნიფაყის ქუფრი: ქუფრის ეს სახეობა გამოიხატება მაშინ, როცა პიროვნებას ჭეშმარიტება გულით არ სწამს, თუმცა გარეგნულად საპირისპიროს გამოხატავს (ანუ არ სწამს, თუმცა მოქმედებს ისე თითქოს სწამს). მომდევნო თავში ქუფრის ამ სახეობაზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

ზემოთ ჩამოთვლილი ქუფრის სახეობები მიეკუთვნება ისეთ ქუფრს, რომლის საშუალებითაც პიროვნება რწმენიდან გადის. ახლა კი ‘პატარა ქუფრი’-ს ახსნა-განმარტებას შევუდგეთ.

ქუფრის ამ სახეობას პიროვნება ისლამიდან არ გაჰყავს ანუ მუსლიმის სტატუსს არ აუქმებს. პატარა ქუფრის მატარებელ მუსლიმანს ალლაჰის ნებით ახირეთში ცოდვა ეპატიება ან დაისჯება, თუმცა სამუდამოდ ჯოჯოხეთში არ დარჩება. ქუფრის ამ სახეობას სხვანაირად 'ქუფრან-ი ნიმეთ' ან 'ქუფრუნ დუნე ქუფურ' ეწოდება. ისლამისადმი ქუფრს კი, 'ქუფრე ისლამ' ეწოდება. საჭიროა მათი ერთმანეთისგან განსხვავება, იმისათვის, რომ სიტყვის არასწორი ინტერპრეტაცია არ მოხდეს.

ახლა კი, პატარა ქუფრის ახსნა-განმარტებას შევუდგეთ. ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ 'ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „ადამიანს ორი ისეთი თვისება გააჩნია, რომლებიც ქუფრად ითვლება. ესენი საგვარეულოს ცუდად მოხსენება და მკვდრის ხმამაღლა დატირებაა."[163]

ალლაჰის შუამავალმა მკვდრის ხმამაღლა დატირება ქუფრად შეაფასა, რადგან მსგავს ქმედებაში ალლაჰის ნებისადმი უკმაყოფილობის გამოხატულებაა. ყველამ კარგად ვიცით, რომ მკვდრის ხმამაღლა დატირება ჰარამია. შესაძლებელია თუ არა ქააფირი (ურწმუნო) გახდეს ის, ვინც მკვდარს ხმამაღლა დაიტირებს? - რათქმაუნდა არა, რადგან ჰადისში მოცემული სიტყვა 'ქუფრი' ლექსიკური მნიშვნელობით არის გადმოცემული, რაც უკმაყოფილების გამოხატვის მაჩვენებელია, რადგან გარდაცვლილის ბატონ-პატრონი ალლაჰია. ალლაჰს რამდენ ხანსაც სურს ადამიანს იმდენ ხანს აცხოვრებს და როცა მოესურვება სულს მაშინ აართმევს. მკვდრის ხმამაღლა დატირება კი ალლაჰის წინაშე ამხედრებას და მის ნებაზე უკმაყოფილობის გამოხატვას ნიშნავს.

ახლა კი, მოვიყვანოთ აიათი და ჰადისი, რომელთა შედარების საფუძველზე უკეთესად გავიგებთ თუ როდის ხდება დიდი და პატარა ქუფრი. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

[163] მუსლიმ, 67.

„27/40. უთხრა, რომელნიც განსწავლული იყო წიგნიდან: „თვალის დახამხამებაში აქ გაგიჩენ!“ როცა დაინახა მის წინ მდგარი ტახტრევანი, თქვა: “ჩემმა ღმერთმა მოიღო ჩემზე წყალობა, მცდის მადლიერი ვიქნები თუ უმადური...”“

ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „მუსლიმის გალანძღვა ფასიყობა[164], მის წინააღმდეგ გალაშქვრა კი ქუფრია.“[165]

„ის, ვინც ალლაჰის სახელის გარდა სხვაზე დაიფიცებს ქააფირი გახდება.“[166]

„ის, ვინც საკუთარ ძმას ურწმუნოს უწოდებს, ეს სიტყვა ორიდან ერთ-ერთს დაუბრუნდება. ობიექტი თუ მართლა ურწმუნოა, მაშინ პრობლემა არ არის. ხოლო თუ არ არის, მაშინ ეს სიტყვა მის პატრონს დაუბრუნდება.“[167]

ჰადისებში მოცემულ სიტყვა „ქუფრ“-ში პატარა ქუფრი იგულისხმება. ბოლოს მოცემული ჰადისის გამოყენებით ზოგიერთი იმის შიშით, რომ ურწმუნო არ გახდეს, ქუფრში მყოფს თაქფირს არ უკეთებს. ზოგიერთს კი იმის გამო, რომ პატარა ქუფრია ნახსენები, მუვაჰიდების მიმართ თაქფირი გამოაქვს. ჰადისის მნიშვნელობა რაში მდგომარეობს? ქააფირი გახდება თუ არა ის, ვინც თავის ძმას ქააფირს უწოდებს? თუ ასეა, მაშინ სად წავიღოთ ის გადმოცემები, რომლის მიხედვითაც საჰაბეებმა შუამავლის თანდასწრებით ერთმანეთს ქააფირი უწოდეს, თუმცა შუამავალს მათთვის არაფერი უთქვამს? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გასაცემად საკითხის უკეთ გამოძიება და გაგება საჭიროა.

აბუ ბასირმა ეს საკითხი თავის ნაწარმოებში, რომლის სახელწოდებაა “ყავაიდ ფი’თ-თაქფირ“, დეტალურად განმარტა, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ.

---

[164] ცოდვების ჩადენაზე მოურიდებლობა.

[165] მუსლიმ, 64.

[166] აბუ დავუთ, 3251. თირმიზი, 1535.

[167] მუსლიმ, მუხთასარ, 60.

აბუ ბასირი ამბობს: „დაიმახსოვრე, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ოთხი ჯგუფის გარდა სხვა რომელიმე ჯგუფი მუსლიმს თაქფირს არ გამოუტანს:

1) ჯგუფი, რომელიც ალლაჰის ჰუქმებს (დადგენილებებს) არაფრად აგდებს,

2) ჯგუფი, რომელიც მასხარისა და დამცინავის სტატუსს ატარებს,

3) ჯგუფი, რომელიც „თა'ვილ"-ში [168] ცდება (ანუ საკითხს სხვა მნიშვნელობას ანიჭებს),

4) ჯგუფი, რომელიც „იჯთიჰად"-ში [169] ცდება. (ანუ დალილებზე დაყრდნობით გამოტანილი გადაწყვეტილება მცდარია).

ახლა კი, თითოეული მათგანი განვმარტოთ:

ჯგუფი, რომელიც ალლაჰის ჰუქმებს არაფრად აგდებს: მსგავსი ჯგუფის მდგომარეობა ყველასთვის ცნობილია. მისი ქააფირობის მიზეზი კი, შემდეგია: ამ ჯგუფმა ალლაჰის მიერ გამოცემული ჰუქმი არაფრად ჩათვალა და ის საკუთარი აზროვნების მიხედვით შეცვალა. მაგალითად, ალლაჰმა რამეზე „ჰალალი" თუ თქვა, მან მისი ჭკუით (ყოველგვარი საპატიო მიზეზის გარეშე) განაცხადა, რომ ის რაღაც არის „ჰარამი". მაგალითად, ალლაჰმა ბრძანა, რომ „ამას ვინც გააკეთებს ის მორწმუნეა.", ხოლო ამ ჯგუფის წევრი ალლაჰის სიტყვების საწინააღმდეგოდ ამბობს, რომ „არაა, ამას ვინც გააკეთებს ურწმუნოა.". აქედან გამომდინარე, არ არის ეჭვი იმაში, რომ ამ ჯგუფის წევრები ისლამის გარეთ არიან ანუ ურწმუნოები არიან.

ჯგუფი, რომელიც მასხარისა და დამცინავის სტატუსს ატარებს: ეს ჯგუფი იმისათვის, რომ ხუმრობის მიზნით მუსლიმანს თაქფირს უკეთებს, პირველი ჯგუფის მსგავსად ისლამის გარეთ არის. დალილი შემდეგია: უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

---

[168] თა'ვილი ნიშნავს ახსნა-განმარტებას, ინტერპრეტაციას.

[169] იჯთიჰადი არის: სწავლულების მიერ არგუმენტებზე დაყრდნობით გამოტანილი გადაწყვეტილება.

„9/65. და თუ მათ შეეკითხები (1) (თებუქის მოგზაურობის დროს, როცა შენს ერთად გზას ადგანან: რატომ დაგცინოდნენ შენ, ყურანს და ალლაჰს?), უეჭველად, იტყვიან: მხოლოდ ვყბედობდით და ვერთობოდით. უთხარი: ნუთუ თქვენ დასცინოდით ალლაჰს, მის აიათებს და მის შუამავალს?

66. ნუ ბოდიშობთ. თქვენ უკვე უარყავით რწმენის მიღების შემდეგ. თუ მივუტევებთ თქვენს შორის ერთ ნაწილს (1) (რომელნიც გულწრფელად შესთხოვენ ალლაჰს მიტევებას, როგორც მოიქცა ჯეხშ ბინ ჰემირი), დავსჯით მეორე ნაწილს, რადგანც ცოდვილნი იყვნენ ეგენი.“

აიათის მოვლენის მიზეზი შემდეგია: ზოგიერთმა საჰაბემ ხუმრობის მიზნით მორწმუნეების შესახებ თქვეს: „ჩვენ არ გვინახავს ისეთი მშიშარა, ხარბი და მატყუარა ხალხი, როგორებიც მუსლიმები არიან.“ მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები მათი ურწმუნოების მიზეზი გახდა.

ჯგუფი, რომელიც თა’ვილ-ში ცდება: ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ის პიროვნებები, რომლებიც მუსლიმანს ეჭვის ან არასწორი თა’ვილის გამო თაქფირს უკეთებს. ასეთი ადამიანი რაცარუნდა დიდ ცოდვაში იყოს (იმის გამო, რომ უცოდინარია და არასაკმარისი ცოდნის გამო ჰუქმი გამოაქვს) ქააფირი არ არის. შეგვიძლია მაგალითად ხარიჯიტები მოვიყვანოთ. მათ ზოგიერთ საჰაბეს და მათ მიმდევრებს თაქფირი გამოუტანეს. მიუხედავად იმისა, რომ დალილებს არასწორი განმარტება მისცეს, არცერთ საჰაბეს მათთვის თაქფირი არ გამოუტანია... იბნ-ი თაიმიია (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „ხარიჯიტები მიეკუთვნებიან ჯგუფს, რომელმაც მუსლიმების დახოცვა, ბიდ’ათების შესრულება (თუმცა არა დიდი ქუფრისა და შირქის) და მუსლიმებზე თაქფირის გამოტანა დაიწყო. არც ალის (რადიალლაჰუ ‘ანჰ) და არც სხვა საჰაბეს მათთვის თაქფირი არ გამოუტანია, თუმცა დასაჯეს იმ

სასჯელით რა სასჯელიც ზღვარ გადასულს და უსამართლოს ეკუთვნოდა.“[170]

ჯგუფი, რომელიც იჯთიჰად’ში ცდება: ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი, რომლებმაც შარიათის ყველა დალილისა და წესის გამოყენებით მუსლიმს თაქფირი გამოუტანეს. მიუხედავად იმისა, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება მცდარია, საპატიოდ ითვლება. უფრო მეტიც, კარგი ნიეთის (განზრახვის) გამო მადლის მოპოვებაც კია შესაძლებელი. ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) საკითხის შესახებ შემდეგნაირად ბრძანა: „მოსამართლე იჯთიჰადის გამოყენებით შეცდომას თუ დაუშვებს ერთ მადლს მიიღებს.“[171]

ამის ერთ-ერთი მაგალითი ომარ ბინ ჰატტაბის მიერ ჰატიბ ბინ აბუ ბალთას მიმართ წარმოთქმული სიტყვებია. ომარმა (რადიალლაჰუ ‘ანჰ) მას მუნაფიყი უწოდა, რის შემდეგაც აბუ ბალთას თავის მოსაჭრელად შუამავლისგან ნება ითხოვა. შუამავალმა კი უთხრა, რომ ის ჯერ კიდევ მუსლიმი იყო. თუმცა შუამავალს ომარისთვის არ უთქვამს, რომ „შენ მუსლიმ ძმას მუნაფიყი უწოდე, ის კი მუნაფიყი არ არის. რადგან შენ მას მუნაფიყი უწოდე, ეს სიტყვები შენ დაგიბრუნდა და შენც მუნაფიყი ან ქაფირი გახდი.“ არ უთქვამს, რადგან ომარმა ის სიტყვები იჯთიჰადის საფუძველზე წარმოთქვა.[172]

ზემოთ მოყვანილი დალილებიდან გამომდინარეობს: ის, ვინც მუსლიმს თაქფირს ხუმრობის მიზნით გამოუტანს, ქაფირი გახდება. ხოლო ის, ვინც იჯდიჰადზე და თა’ვილზე დაყრდნობით მუსლიმს თაქფირს გამოუტანს ქაფირი არ ხდება, თუმცა ცოდვილია. მიღებული გადაწყვეტილება დალილებს თუ ეყრდნობა, მაშინ მადლის მოპოვების შესაძლებლობაც კი არსებობს. ზემოთ მოყვანილ ჰადისში მოხსენებული ქუფრის სახეობა პატარა ქუფრს მიეკუთვნება.

---

[170] მეჯმუუ’ლ-ფათვა, 7/217.

[171] მუსლიმ, 1716.

[172] ყავაიდ ფი’თ-თაქფირ, გვ, 250–253.

აქვე მინდა, რომ დალილის მნიშვნელობაზე ყურადღება გავამახვილო: დალილს როცა ვამბობთ, სრულ და ეჭვგარეშე დალილს ვგულისხმობთ ანუ საკითხის მიმართ სხვადასხვა დალილები მოყვანილი უნდა იყოს, რომლის საფუძველზე საკითხის კარგად გაგება და შესაბამისად სწორი ჰუქმის გაცემა შესაძლებელი იქნება. საკითხის მიმართ რამოდენიმე დალილის გადმოცემა და დანარჩენი დალილის არაფრად მიჩნევა დანაშაულია. ამ უკანასკნელის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილება კი შეცდომაა, რაც მუსლიმების დაპირისპირებას, გაყოფას და არეულობას გამოიწვევს.

მოვიყვანოთ იბნ-ი ყაიიმ-ის სიტყვები, რომელიც ომარ ბინ ჰატტაბის მიერ ჰატიბ ბინ აბუ ბალთას მიმართ გამოტანილ თაქფირს ეხება. იბნი ყაიიმი (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „პიროვნება ალლაჰისთვის, მისი შუამავლისთვის და რელიგიისთვის თუ გაბრაზდება და კომენტარის სახით რომელიმე მუსლიმს მუნააფიყს ან ურწმუნოს უწოდებს (არა საკუთარი სურვილის ან ვნებების მიხედვით), ის ფასიყი ან ქააფირი არ გახდება. მსგავსი ქმედების გამო ცოდვაც კი არ დაეწერება. უფრო მეტიც, მისი ნიათის (განზრახვის) მიხედვით შესაძლებელია მადლიც კი მიიღოს.“[173]

[173] ზაადუ’ლ-მა’ად, 3/476.

ქუფრი სიტყვების მაგალითები

1- ალლაჰის, ისლამის, ანგელოზების ან შუამავლების ლანძღვა-გინება.

2- ალლაჰის, ანგელოზების, შუამავლების ან ისლამის დაცინვა.

3- სიტყვები: „მე ალლაჰის არ მეშინია“ ან „მე ალლაჰი არ მიყვარს“

4- სიტყვები: „ქრისტიანობა ან სხვა რელიგია ისლამზე კარგი ან ისლამის ტოლია’, ან „მუჰამმადის შემდეგ მათზე მიყოლაც დასაშვებია“.

5- ალლაჰის გარდა სხვაზე ვედრების გაკეთება და მოთხოვნა იმის, რასაც ალლაჰის გარდა ვერავინ შეძლებს.

6- სიტყვები: „ზინა/მრუშობა ჰალალია“ და სხვა მსგავსი სიტყვები, რომელიც იჯმათი [174] ჰალალ ამელს ჰარამად გამოაცხადებს ან ჰარამს ჰალალად.

7- პიროვნების ნება-სურვილით წარმოთქმული სიტყვები, როგორიცაა: „ნეტა მუსლიმი არ ვყოფილიყავი“ ან „მე ქრისტიანი ვარ“

8- სიტყვები: „ისლამის წეს-ჩვეულებები დღევანდელ დღეს არ შეესაბამება“ და მსგავსი.

ეს რაც შეეხებოდა ქუფრი სიტყვების მაგალითს. რათქმაუნდა ყველა მათგანი არ არის ჩამოთვლილი, თუმცა უნდა ვიცოდეთ, რომ ზემოთ მოცემული სიტყვებიდან ყოველი სიტყვა ქუფრის ტოლფასია.

ქუფრი ქმედების მაგალითები

1- ალლაჰის გარდა სხვის წინაშე ქედის მოხრა.

2- ალლაჰის გარდა სხვაზე შესაწირის შეწირვა.

---

[174] იჯმა: რომელიმე საკითხის შესახებ სწავლულების მიერ გამოტანილი საერთო ჰუქმი/დებულება/გადაწყვეტილება.

3- ნებაყოფლობით ყურანისა და ალლაჰის სიტყვების სიბინძურეში გაქნევა ან მოთავსება.

4- ალლაჰის კანონების გარდა სხვა კანონების დაკანონება ან იმის რწმენა, რომ ალლაჰის კანონების დაუკანონებლობა უფრო უკეთესია.

5- ჯადოს გაკეთება, მისი სწავლა და სწავლება.

6- სასაფლაოს ან მორწმუნე პიროვნების სასაფლაოს პატივისცემის მიზნით მის ირგვლივ ტავაფის გაკეთება[175].

7- ნებაყოფლობითა და პატივისცემის მიზნით არამუსლიმი ხალხის დამახასიათებელი ნივთების ტარება, როგორიცაა ჯვარი და ა.შ.

8- ნებაყოფლობით სხვა რელიგიის კუთვნილ ღვთისმსახურებებზე დასწრება.

9- არეულობის გამოწვევის მიზნით ისლამის სამლოცველოების დანგრევა.

10- სიამოვნების განცდით მუშრიქის კუთვნილი სამლოცველოების აშენება.

[175] ირგვლივ შემოვლა.

განსხვავებები დიდ და პატარა ქუფრს შორის

დიდი ქუფრი

1- დიდ ქუფრს პიროვნება რელიგიიდან გაჰყავს.

2- ყველა კარგ ქმედებას აუქმებს.

3- პიროვნების ჯოჯოხეთში სამუდამოდ დარჩენის მიზეზი ხდება.

4- დიდი ქუფრის მატარებელი პიროვნების სისხლი და ქონება ნებადართულია.

5- ქააფირისა და მუსლიმს შორის მტრობას მოითხოვს.

პატარა ქუფრი

1- პიროვნება რელიგიიდან არ გაჰყავს.

2- ყველა კარგ საქმეს არ შლის, თუმცა ამცირებს.

3- პატარა ქუფრის გამკეთებელი ჯოჯოხეთში რომც შევიდეს იქ სამუდამოდ არ დარჩება.

4- შესაძლებელია ისიც, რომ ალლაჰმა აპატიოს და ჯოჯოხეთში საერთოდ არ შევიდეს.

5- პატარა ქუფრის შემსრულებლის სისხლი და ქონება აკრძალულია.

6- ასეთი პიროვნება საკუთარი რწმენის შესაბამისად უნდა შევიყვაროთ და საკუთარი ქუფრის შესაბამისად უნდა შევიძულოთ.

ქუფრისგან დასაცავად რას უნდა მივაქციოთ ყურადღება?

1- უნდა გაგვაჩნდეს ჭეშმარიტი ცოდნა და გულწრფელობა.

2- ყურადღება უნდა მივაქციოთ ყურანში და სუნნეთში მოცემულ ბრძანებებს. მათი სწორად შესრულებისთვის ძალისხმევა უნდა გამოვიჩინოთ.

3- ყურადღება უნდა მივაქციოთ ალლაჰისა და მისი შუამავლის აკრძალვებს და მათგან თავი შორს უნდა დავიჭიროთ.

4- სწორი აყიდის/მრწამსის დასაცავად და გასავრცელებლად უნდა ვიბრძოლოთ. მსგავსი მიზნის მქონე პიროვნებების გვერდით უნდა ვიყოთ.

5- ალლაჰი და მისი შუამავალი უკეთესად უნდა შევისწავლოთ. მათი ბრძანებები სხვა დანარჩენი ბრძანებების წინ უნდა დავაყენოთ.

6- ცნობა და მხარდაჭერა მათი, ვინც ალლაჰის შუამავლის და მისი საჰაბეების გზას ადგას.

7- შარიათის მიხედვით ცხოვრებას.

8- ალლაჰზე ვედრების გაკეთებას, იმასთან დაკავშირებით, რომ ალლაჰმა სწორ და ჭეშმარიტ გზაზე გვამყოფოს.

9- უნდა ვიცოდეთ ქუფრისგან დასაცავი ვედრებები, რომლებიც შუამავალმა გვასწავლა.

10- უნდა შევისწავლოთ ისლამის საწინააღმდეგო ქმედებები, რომ მათგან თავი შორს დავიჭიროთ.

11- აჰლი სუნნეთის მიერ გამოცემული წიგნები უნდა ვიკითხოთ.

12- ყალბი/ცრუ ალიმებისგან/სწავლულებისგან შორს უნდა ვიყოთ. ამასთანავე მუვაჰიდ/ერთღმერთიან ალიმებს უნდა დავუახლოვდეთ.

13- მსგავსი აყიდის/მრწამსის მუსლიმებთან ხშირ ვიზიტს ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან ასეთ დროს მუსლიმი მარტო

არ დარჩება, რის საფუძველზეც შედარებით უფრო დაცული იქნება.

შირქი

შირქის მნიშვნელობა: შირქის ლექსიკური მნიშვნელობა გატოლება, გათანაბრება და გაერთიანებაა. ისლამის ტერმინოლოგიაში კი მისი მნიშვნელობა შემდეგია: ალლაჰის რომელიმე კუთვნილი თვისების სხვაზე მინიჭება ან ღვთისმსახურების ალლაჰის გარდა სხვაზე შესრულება. დაფარულის ცოდნა ალლაჰის კუთვნილი თვისებებიდან ერთ-ერთია. წარღვნის თარიღი, ასევე ადამიანი სად, როდის და როგორ მდგომარეობაში მოკვდება მხოლოდ და მხოლოდ უზენაესმა ალლაჰმა იცის. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„72/26. იგი უწყის უხილავს, ამიტომაც არავის აცნობებს უხილავის შესახებ..“

„3/179. და არ იქნება, თქვენ გამცნოთ ალლაჰმა დაფარული..“

აიათებიდან გამომდინარე დაფარულის ცოდნა მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. ის, ვინც განაცხადებს, რომ დაფარულის ცოდნას ფლობს, შირქში ჩავარდება, რის გამოც ისლამის გარეთ აღმოჩნდება, რადგან მსგავსი ქმედებით ალლაჰს თავს გაუტოლებს და ალლაჰის კუთვნილ თვისებას მიიწერს.

ამავე ფორმით, აბსოლუტური მნიშვნელობით დაკანონება და მმართველობა ალლაჰის კუთვნილი თვისებებიდან ერთ-ერთია. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„12/40. უეჭველად, მსჯავრის დადება მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის.“

„7/54. განა, მხოლოდ მას არ ეკუთვნის გაჩენა და მბრძანებლობა? რაოდენ დიადია ალლაჰი, სამყაროთა ღმერთი!“

„18/26. თქვი: „ალლაჰი უკეთ უწყის რამდენ ხანს დაჰყვეს. ცათა და ქვეყნის დაფარული მას ეკუთვნის. რა კარგად ხედავს და ესმის მას! არა ჰყავთ მათ მფარველი, გარდა მისი და მსჯავრში ვერავინ შეეზიარება მას!““

ეს და სხვა ათობით აიათი გვამცნობს, რომ მსჯავრის დადება ალლაჰის აბსოლუტური თვისებაა. ალლაჰს როგორც სურს ისე აკრძალავს და ნებას დართავს. უფლება არავის აქვს, რომ ალლაჰის

გადაწყვეტილებას გამოეპასუხოს, რადგან აბსოლუტური მმართველი და ბატონ-პატრონი ის არის.

აქედან გამომდინარე, ის, ვინც ალლაჰის კანონების საწინააღმდეგო კანონებს გამოსცემს შირქში ჩავარდება და ისლამის გარეთ აღმოჩნდება, რადგან ალლაჰის კუთვნილი და აბსოლუტური თვისება საკუთარ თავს მიაწერა.

ასევე ის, ვინც ალლაჰის კანონების შეცვლაში სხვას დაეხმარება ან ხელს შეუწყობს, ნიშნავს იმას, რომ ამ უკანასკნელმა ალლაჰის კუთვნილი თვისება სხვას მიანიჭა, რის გამოც შირქში ჩავარდება და ისლამიდან გავა.

შირქი ყველა ამელს ანულებს / აბათილებს

შირქი არის ის, რაც ადამიანის ყველა კარგ საქმეს ანულებს/აუქმებს. რწმენა და შირქი ერთად ვერ მოთავსდება. თუ არის რწმენა, არ არის შირქი. ხოლო თუ არის შირქი, არ არის რწმენა. ადამიანმა ნამაზთან, მარხვასთან, სადაყასთან[176] და სხვა ღვთისმსახურებებთან ერთად შირქიც რომ შეასრულოს, მისი ყველა საქმე გაუქმებული იქნება და მისი ეს ქმედება სამუდამოდ ჯოჯოხეთში ყოფნის მიზეზი გახდება. არგუმენტი ქვემოთ მოცემული ყურანის აიათებია:

„6/88. ასეთია ალლაჰის ჭეშმარიტი გზა, თავის მსახურთაგან იმას დაადგენს მასზე, ინებებს ვისაც. და თუ თანაზიარს შეუქმნიან, ამაო იქნება ის, რასაც აკეთებდნენ.“

„39/65. და ვფიცავ, ზეშთაგეგონა შენ და იმათ, რომელნიც იყვნენ შენს უწინ: „თუკი დაუდგენ (ალლაჰს) თანაზიარს, უთუოდ, ამაო გახდება შენი საქმენი და უსათუოდ, აღმოჩნდები წაგებულთა შორის“.

მსგავსი ქმედებებისგან ალლაჰს მივეკედლებით!

შირქი ისეთ ცოდვას მიეკუთვნება, რომლის მიტევება გულწრფელი მონანიების გარეშე შეუძლებელია. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

[176] მოწყალება.

„4/48. უეჭველად, ალლაჰი არ მიუტევებს, რომ თანაზიარნი გაუჩინონ მას, და მიუტევებს ამის გარდა ყველაფერს, ინებებს ვისაც. და ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუჩენს, მაშინ უდიდეს ცოდვას სჩადის!“

შუამავალი ალლაჰს ყოველთვის შირქისგან დაცვას ევედრებოდა. როგორც ვიცით ალლაჰის შუამავლისგან მსგავსი ქმედება მიუღებელია, რადგან თვითონ შუამავალი შირქის გასანადგურებლად მოევლინა და ნუთუ შესაძლებელია გაეკეთებინა ის, რის გასანადგურებლადაც თვითონ მოვიდა?! მიუხედავად ამისა, იგი ალლაჰს ყოველთვის შირქისგან დაცვას ევედრებოდა. შუამავლის (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ვედრება შემდეგნაირია: „ჩემო ალლაჰო! ნებაყოფლობით შირქის ჩადენისგან შენ შემოგეკედლები. გთხოვ მომიტევო ის, რაც არ ვიცი.“[177]

„ჩემო ალლაჰო! ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი შენს გარდა. ცუდი ნაფს-ისგან[178], ეშმაკისგან და შირქისგან დასაცავად შენ შემოგეკედლები.“[179]

„ჩემო ალლაჰო! ქუფრისგან, სიღარიბისგან და საფლავის სასჯელისგან შენ შემოგეკედლები.“[180]

დღესდღეობით გავრცელებული შირქის სახეობები

მბრძანებლობაში შირქი: ამის მაგალითია, როდესაც ალლაჰის მიერ მოვლენილი კანონით არ მოქმედებენ და მის ნაცვლად განსხვავებულ კანონებს გამოსცემენ, რომლის მიხედვითაც ალლაჰის მიერ აკრძალული ნებადართული, ხოლო ნებადართული აკრძალულია. ‘იუსუფ’ სურას მე-40 აიათისა და ‘ქაჰფ’ სურას 26-ე აიათის მიხედვით, მბრძანებლობა მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს

[177] თირმიზი, დავეათ, 4.
[178] სული, შინაგანი სამყარო.
[179] თირმიზი, 3392.
[180] აბუ დავუთ, ადაბ 324.

ეკუთვნის და ამ საქმეში თანამოზიარედ არავის დაიდგენს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აბსოლუტური მბრძანებლობა მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. ყოველივე ამის შემდეგ, პიროვნება თუ იტყვის: „არა! მმართველობა და მბრძანებლობა ჩვენი და ხალხის არის..“, იმის გამო, რომ ალლაჰის კუთვნილი აბსოლუტური თვისება საკუთარ თავს ან ხალხს მიაკუთვნა ქუფრში ჩავარდება. ხოლო ის, ვინც ამის მთქმელს დაეთანხმება და ამ საქმის აღსრულებაში დაეხმარება, იმის გამო, რომ ალლაჰის კუთვნილი თვისება სხვას მიანიჭა, მუშრიქი გახდება.

თავდებობა-მეურვეობაში შირქი: ამის მაგალითია როცა პიროვნება მუსლიმს მიატოვებს და არამუსლიმს მუსლიმის საწინააღმდეგოდ ფიზიკურად ან სულიერად დაეხმარება. პიროვნების მიერ მუსლიმის საიდუმლოს არამუსლიმებზე შეტყობინებაც ამის ერთ-ერთი მაგალითია. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„4/144. ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ აიყვანოთ მეგობრებად ურწმუნონი, მორწმუნენის მაგივრად. განა გინდათ ცხადი სამხილი მისცეთ ალლაჰს თქვენ წინააღმდეგ?!“

„3/28. არ აიყვანონ მეგობრებად მორწმუნეებმა ურწმუნონი მორწმუნეთა მაგივრად; და ვინც ამას იქმს, ალლაჰთან საერთო აღარაფერი ექნება...“

ზოგიერთმა პიროვნებამ სიტყვა „თავდებობა“ გადათარგმნა, როგორც ‘მეგობრად აყვანა’, რაც სრული განმარტება არ არის. სიტყვა „თავდებობა“ არაბულ ენაში, როგორც ‘მეგობრად აყვანას’, ასევე გულით შეყვარებას, ფიზიკურ დახმარებასა და მხარდაჭერასაც გულისხმობს.

დახმარების თხოვნასა და მოიმედებაში შირქი: ამის მაგალითია როცა პიროვნება გაჩენილს დახმარებას ისეთ საქმეებში სთხოვს, რომლის შესრულება მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს შეუძლია. მსგავსი ვედრების ქმნილებაზე გაკეთებასა და იმედის დამყარებაზე, რომელიც შირქის ერთ-ერთი სახეობაა. როგორც ვიცით დუა (ვედრება) ღვთისმსახურებაა. ალლაჰის შუამავალი

(სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „დუა ღვთისმსახურებაა.“[181]

არსებობენ პიროვნებები, რომლებიც ალლაჰსა და საკუთარ თავებს შორის შუამავალს (შეიხებს, სწავლულებს და ა.შ.) აყენებენ და იმ იმედით, რომ ალლაჰს დაუახლოვდებიან დახმარებას სთხოვენ. სასაფლაოზე მიდიან და იქვე მწოლიარეს ევედრებიან, რომ მისცეს შვილი, გამოაჯანმრთელოს, გაამდიდროს და ასე შემდეგ. ყველა ეს ვედრება მიეკუთვნება ისეთ ვედრებებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის მიმართ სრულდება. არიან ისეთებიც, რომლებიც გასაჭირის დროს არა ალლაჰს, არამედ სხვას მოიხმობენ. ჩვენ, როგორც მუსლიმანები დღეში 40-ჯერ ვამბობთ: „იია ქანა’ბუდუ ვა იაა ქანასთა’იინ“ – ანუ „მხოლოდ შენ გცემთ თაყვანს და მხოლოდ შენგან ვითხოვთ შეწევნას.“ ნუთუ მატყუარა არ არის ის, ვინც დღეში ნამაზის დროს 40-ჯერ ამ სიტყვებს იმეორებს, თუმცა ამავდროულად ალლაჰის გარდა დახმარებას სხვას სთხოვს?! ჩვენს მიერ შესრულებულ საქმესა თუ წარმოთქმულ სიტყვას ყურადღება უნდა მივაქციოთ. იბნ-ი ყაიიმ (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „გარდაცვლილზე რაიმეს თხოვნა, საკუთარი თავის მისკენ მიმართვა და მასზე იმედის დამყარება შირქის ერთ-ერთი სახეობებიდანაა. გარდაცვლილის ამელი შეწყვეტილია. მას საკუთარი თავისთვის სარგებლის ან ზიანის მოტანა აღარ შეუძლია. ასევე, არ შეუძლია სარგებელი ან ზიანი მოუტანოს მას, ვინც ალლაჰის წინაშე შუამდგომლობას სთხოვს.“[182]

მორჩილებაში შირქი: ამის მაგალითია როცა პიროვნება ემორჩილება და მხარს უჭერს მათ, რომელთაც აკრძალეს ის, რაზეც ალლაჰმა ნება დართო და დართეს ნება იმაზე, რაც ალლაჰმა აკრძალა. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„6/121. და თუ დაჰყვებით მათ, უეჭველად, თქვენ წარმართთაგანი იქნებით!“

[181] ქანზუ’ლ უმმალ, 3113.

[182] ა’მალუნ თუჰრიჯუ საჰიბეჰა მინე’ლ-მილლა, გვ, 200.

მაშინ, როდესაც ალლაჰმა ლეში აკრძალა, მექქელმა მუშრიქებმა მუსლიმებს შემდეგნაირად მიმართეს: „თქვენს მიერ დაკლული საქონლის ხორცის ჭამა თუ შეიძლება, მაშინ ალლაჰის ნებით მოკლული (ბუნებრივი გზით გარდაცვლილი) საქონლის ხორცი რატომ არ უნდა მივირთვათ?!“ ამ სიტყვების გაგონების შემდეგ ზოგიერთ მუსლიმს ეჭვი გაუჩნდა, რის გამოც ალლაჰმა აიათი მოავლინა.[183]

ალლაჰმა ურწმუნო უწოდა მათ, ვინც მის ბრძანებას არ დაემორჩილებოდა. იბნ-ი ქასირი აიათის განმარტებაში ამბობს: „ალლაჰის შარიათზე ზურგის შექცევით მათ სიტყვას ალლაჰის სიტყვაზე წინ თუ დააყენებთ, მაშინ თქვენც მუშრიქებად გადაიქცევით.“

აიათი ყოვლად ნათელი და გადამწყვეტია. ზემოთ ჩამოთვლილი შირქის სახეობები ყველაზე მეტად გავრცელებული შირქის სახეობებიდანაა. ამის გარდა სხვა შირქის სახეობებიც არსებობს. ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი:

1- რწმენა იმისა, რომ დაფარული ალლაჰის გარდა სხვამაც იცის,

2- რწმენა იმისა, რომ შეიხმა ადამიანის გულში არსებული იცის,

3- ჯადოს გამოყენებით ადამიანების დაშორება,

4- ისლამის ან მისი რომელიმე კანონის დაცინვა,

5- კერპების თაყვანისცემა და მათ მიმართ პატივისცემა,

6- რწმენა იმისა, რომ ალლაჰის გარდა ჯანმრთელობის მოცემა სხვასაც შეუძლია და ა.შ.

შირქის ნაწილები

როგორც ქუფრი, ასევე შირქიც ორ ნაწილად იყოფა: დიდი და პატარა შირქი.

[183] იბნ-ი ქესირ, ტ.2 გვ. 231.

დიდი შირქი: შირქის ეს სახეობა დიდი ქუფრის მსგავსია. რა ჰუქმებიც დიდ ქუფრს აქვს, იგივე ჰუქმები შირქის ამ სახეობასაც გააჩნია. ალლაჰი დიდ შირქს არ პატიობს. ზემოთ მოყვანილი შირქის სახეობები დიდ შირქში შედის.

პატარა შირქი: ეწოდება ისეთ სიტყვებსა და ქმედებებს, რომლებსაც პიროვნება ისლამიდან არ გაჰყავს, თუმცა დიდი ქუფრისკენ მიმავალი გზაა. პატარა შირქი ორ ნაწილად იყოფა: ხილული და ფარული შირქი.

ხილული შირქი: ორ ნაწილად იყოფა: სიტყვისა და ქმედების შირქი:

A) სიტყვის შირქი: ამის მაგალითი ალლაჰის სახელის გარდა სხვაზე დაფიცებაა. ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „შეასრულა შირქი მან, ვინც ალლაჰის გარდა სხვაზე დაიფიცა.“[184]

B) ქმედების შირქი: ამის მაგალითი უბედურების თავიდან აცილების მიზნით ხეზე ან რაიმე საგანზე თოკის გაკოჭვაა. თვალისცემის წინააღმდეგ გამოყენებული ჰამაილიც ამის მაგალითია. პიროვნებას თუ სწამს, რომ ჰამაილი მხოლოდ უბედურების თავიდან აცილების მიზეზია (საბაბია), მაშინ ეს პატარა შირქია, თუმცა პიროვნება პირდაპირ ჰამაილიდან უბედურების აცილებას თუ მოელის, მაშინ ეს დიდი შირქია, რადგან ეს ალლაჰის გარდა სხვაზე მოიმედებას ნიშნავს.

ფარული შირქი: შირქის ეს სახეობაა ნიათში (განზრახვაში) გვხვდება. ამის მაგალითი პიროვნების მიერ შესრულებული ღვთისმსახურებაა, რომელიც მხოლოდ იმისთვის სრულდება, რომ სხვისი შექება დაიმსახუროს და კარგი ითქვას. საქმე, რომელშიც ფარისევლობაა შერეული, მიუღებელი და უარყოფილია. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„18/110. მაშ, ვინც სასოებს თავის უფალთან შეხვედრას (1) (ვისაც სწამს აღდგომისა და საზღაურის მიღების), მაშინ მართალი საქმე

[184] აბუ დავუთ, 3251.

აკეთოს და ნუ დაუდგენს ზიარად თაყვანისცემაში თავის ღმერთს ნურავის!“

ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანებს: „ის, რაზეც თქვენს გამო ვშიშობ პატარა შირქია. საჰაბემ ჰკითხა თუ რა იყო პატარა შირქი. შუამავალმა უპასუხა: ‘ის ფარისევლობაა.’“[185]

ამქვეყნიური სარგებლის მოპოვების მიზნით შესრულებული ამელიც ამის მსგავსია. მაგალითად ქონების მოპოვების მიზნით ჰაჯობის შესრულება, ეზნის კითხვა, იმამობა, ჯიჰადი და ა.შ.

ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანა: „დაწყევლილია დინარის, დირჰემის და მშვენიერი (ძვირადღირებული) ტანისამოსის მონა! რამეს თუ მისცემ გაიხარებს, თუ არადა გაბრაზდება და კმაყოფილი არ იქნება.“[186]

[185] შუაბუ’ლ იმან, ბეიჰაყი, 6831.
[186] ბუხარი, 2887.

განსხვავებები დიდ და პატარა შირქს შორის

1) დიდ შირქს ადამიანი ისლამიდან გაჰყავს, პატარა შირქს კი არა.

2) დიდი შირქი სამუდამოდ ჯოჯოხეთში დარჩენის მიზეზია, ხოლო პიროვნება პატარა შირქის გამო ჯოჯოხეთში რომც მოხვდეს, სამუდამოდ არ დარჩება,

3) დიდი შირქი ყველა კარგ ამელს აუქმებს, პატარა შირქი კი არა.

4) დიდი შირქის გამო პიროვნების სისხლი და ქონება მუბაჰია/ნებადართულია, პატარა შირქის გამო კი არა.

5) დიდი შირქის პატრონი გულით არ უნდა გვიყვარდეს და თუნდაც ჩვენი ახლობელი იყოს, მისი თავდები არ უნდა ვიყოთ. პატარა შირქის პატრონი კი საკუთარი რწმენისა და შირქის მიხედვით უნდა გვიყვარდეს და გვძულდეს.

უსტად საიდ ჰავვამ თავის ნაწარმოებში, რომლის სახელწოდებაა ‘ისლამ’, ‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის დამრღვევი ოცი შირქის სახეობა დალილებით ჩამოაყალიბა. მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანი:

1) ალლაჰის გარდა სხვაზე მინდობა,

2) ალლაჰის გარდა სხვაზე ღვთისმსახურება,

3) ალლაჰის გარდა სხვაზე დაკანონების, მსჯავრის დადების, კანონის გამოცემის, მმართველობის, ჰალალისა და ჰარამის დაწესების უფლების მინიჭება.

ის ასე ამბობს: „დემოკრატიაც დიდი შირქის კატეგორიაში შედის, რადგან დემოკრატია პარლამენტის ან სხვა მეჯლისის საშუალებით იმართება, სადაც უმრავლესობის ხმა გადამწყვეტია. ამგვარად ნებისმიერი სახის კანონს გამოსცემენ. რათქმაუნდა ეს ყველაფერი მათ მიერ შედგენილ კონსტიტუციაზეა დამოკიდებული, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კონსტიტუციაც უმრავლესობის მიერაა არჩეული. ეს ყველაფერი კი

ალლაჰის გარდა დაკანონების, მსჯავრის დადების, ჰარამისა და ჰალალის დაწესების უფლების სხვაზე მინიჭებაა, რაც შირქია...“[187]

1) ალლაჰის შარიათის დაუკანონებლობა და სხვა კანონების მიღება,

2) ისლამის ან მისი რომელიმე ნაწილის მიმართ უკმაყოფილების გამოხატვა,

3) ყურანისა და სუნნეთის ჰუქმებისა და მუსლიმების დაცინვა,

4) ქააფირებთან და მუნააფიყებთან მეგობრობა და მუსლიმების სიძულვილი,

5) ალლაჰის თვისებებიდან ან სახელებიდან რომელიმეს უარყოფა.

შირქის ყველა სახეობის ცოდნა აუცილებელია იმისთვის, რომ მათგან შორს ვიდგეთ. ომარ ბინ ჰატტაბ-მა (რადიალლაჰუ ‘ანჰ) თქვა: „ისლამის საყრდენი სათითაოდ განადგურდება მაშინ, როცა ადამიანებს არ ეცოდინებათ შირქი, ქუფრი და ა.შ.“[188]

[187] ალ-ისლამ, გ 3 . 104.

[188] აყიდის გაკვეთილები, გ 3 142.

ნიფაყი / მუნაფიყობა

მნიშვნელობა: ნიფაყის ლექსიკური მნიშვნელობა მინდვრის თაგვის გვირაბში შესვლა-გამოსვლა და მიწისქვეშ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაადგილებაა. მუნაფიყი პიროვნება იმის გამო, რომ ისლამში ერთი მხრიდან შედის და მეორე მხრიდან გადის, თხუნელაზე მიმსგავსებით ამ სახელს ატარებს. ისლამურ ტერმინოლოგიაში მისი მნიშვნელობა კი შემდეგია: „გულით ურწმუნო, თუმცა შეხედულებით მორწმუნე“ ანუ გულით ურწმუნოა, თუმცა მოქმედებს ისე, თითქოს მორწმუნე იყოს. ასეთ პიროვნებას მუნააფიყი ეწოდება.

რწმენის ნიფაყი

გულით ურწმუნო, თუმცა შეხედულებით მორწმუნე. მსგავსი პიროვნება რწმენის გარეთ არის, რომელიც ჯოჯოხეთში ყველაზე ღრმა ადგილას იქნება. მუნააფიყობის ეს სახეობა ექვსად იყოფა:

1 - ალლაჰის შუამავლის (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) მატყუარად გამოცხადება,

2 - ალლაჰის შუამავლის (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) მიერ მოტანილი შარიათის ზოგიერთი ნაწილის სიცრუედ გამოცხადება,

3- ალლაჰის შუამავლის (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) სიძულვილი,

4- ალლაჰის შუამავლის (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) მიერ მოტანილი შარიათის ზოგიერთი ნაწილისადმი სიძულვილი,

5- ალლაჰის შუამავლის (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) მიერ მოტანილი რელიგიის დაკნინების საფუძველზე გამოწვეული სიხარული,

6- ალლაჰის შუამავლის (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) მიერ მოტანილი რელიგიის გამარჯვების საფუძველზე უკმაყოფილობის გამოხატვა.

რწმენის ნიფაყის მაგალითები

1- სიტყვები: „მე შუამავლის ამა და ამ სიტყვებს არ ვეთანხმები“,

2- შუამავლის მიერ მოტანილი ნამაზის, მარხვის, ჰაჯობისა და ზექათის მიმართ უკმაყოფილობის გამოხატვა,

3- ბრძოლის დროს მუსლიმების წაგების გამო გამოწვეული სიხარული,

4- ბრძოლაში მუსლიმების გამარჯვების გამო გამოწვეული წუხილი.

ამელის ნიფაყი

გულით მორწმუნეა, თუმცა მუნააფიყის დამახასიათებელ ამელს ასრულებს. მსგავსი ნიფაყი პიროვნებას ისლამიდან არ გაიყვანს, თუმცა დიდი საფრთხის შემცველია.

ამელის ნიფაყის მაგალითები

1- საუბრის დროს ტყულის თქმა,

2- ამანათის მიმართ დაუდევრობა.

ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანა: „მუნააფიყის თვისება სამია: საუბრის დროს ტყუილი, დაპირებული სიტყვის შეუსრულებლობა და ამანათის მიმართ დაუდევრობა.“[189]

ამელის ნიფაყსა და რწმენის ნიფაყს შორის განსხვავებები

1- დიდ ნიფაყს ადამიანი რწმენიდან გაჰყავს და მის ყველა კარგ ქმედებას აუქმებს. პატარა ნიფაყს კი პიროვნება რწმენიდან არ გაჰყავს.

[189] მუსლიმ, 140.

2- დიდი ნიფაყი რწმენის მხრიდან შინაგანი და გარეგანი სამყაროს დაპირისპირებაა. პატარა ნიყაფი კი მხოლოდ ქმედებების შინაგანი და გარეგანი დაპირისპირებაა.

3- დიდი ნიფაყი მორწმუნეებში არ მოიძებნება, თუმცა შესაძლებელია, რომ პატარა ნიფაყი მორწმუნეს გააჩნდეს.

4- დიდი ნიფაყის გამო უმრავლესობა თავბას (მონანიებას) არ აკეთებს, რომც მოინანიოს, მოსამართლის მიერ მონანიების მიღება არ მიღების შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს. პატარა ნიფაყის შემთხვევაში კი ასე არ არის. პატარა ნიყაფის მომნანიებლის თავბა (მონანიება) ალლაჰის ნებით მიღებული და მიტევებული იქნება.

ნიფაყი თავს როდის იჩენს?

ნიფაყი თავს იჩენს მაშინ, როცა რომელიმე ფიქრი, დავა, იდეოლოგია ან პოლიტიკური მოძრაობა წარმატებას აღწევს. შუამავლის დროს ნიფაყმა თავი მაშინ გამოიჩინა, როდესაც მუსლიმებმა მედინაში წარმატებას მიაღწიეს.

მართალია ის, რომ სუსტი და მშიშარა ხალხი ნიფაყს მაშინ ამჟღავნებს, როცა დავა (ისლამის დავა/იდეოლოგია) წარმატებას აღწევს. ზოგს არ ძალუძს, რომ დავას აშკარად დაუპირისპირდეს, რის გამოც სიძულვილს გულში მალავს და ციხის დანგრევას შიგნიდან იწყებს.

ასევე ნიფაყი თავს იჩენს მაშინ, როცა დავაში მონაწილე პიროვნებები ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ამ დროს ნიფაყს ის ადამიანები ამჟღავნებენ, რომლებსაც დავას მიმართ გულწრფელი კავშირი არ ჰქონდათ ან ჰქონდათ, თუმცა სუსტები იყვნენ, რისი ბოლოც, ხშირ შემთხვევაში რწმენის შეცვლას (მურთადობას) იწვევს.

მუნაფიყების საბოლოო ადგილი

მუნააფიყების საბოლოო ადგილი ქააფირების მდგომარეობის მსგავსია. უფრო მეტიც, იმისათვის, რომ მუსლიმებს ატყუებდნენ

და თვალთმაქცობდნენ, უფრო დიდი სასჯელი მოელით. მათ შესახებ უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„9/68. აღუთქვა ალლაჰმა თვალთმაქც კაცებს და თვალთმაქც ქალებს და ურწმუნოებს ჯოჯოხეთის ცეცხლი, სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან. იგი ეყოფათ მათ (1) (ესეც მოუხდებათ სასჯელად). და ალლაჰმა დაწყევლა ეგენი და მათთვისაა გამზადებული მუდმივი სასჯელი!“

„4/145. უეჭველად, თვალთმაქცები ცეცხლის უფსკრულში (1) (ჯოჯოხეთის ყველაზე ქვედა ფენაში) იქნებიან და ვერ მოუნახო შენ მათ შემწე,“

მუნააფიყსა და ათეისტს შორის განსხვავება შემდეგია: მუნააფიყი თავის ქუფრს გულში მალავს, გარეგნულად კი მორწმუნის მსგავსია და შიშის ან სხვა მიზეზის გამო მის გულში არსებულს ვერ/არ ამჟღავნებს. ათეისტიც მუნააფიყის მსგავსად, თავის ქუფრს გულში მალავს, თუმცა როგორც კი საშუალებას ნახავს ეგრევე ამჟღავნებს და მისკენ (ქუფრისკენ) მოპატიჟებას იწყებს. ყველაზე გავრცელებული შეხედულების მიხედვით, მსგავსი პიროვნება მონანიებისკენ მოპატიჟების გარეშე სიკვდილით უნდა დაისაჯოს.[190]

თუ მუსლიმების ხელში ჩავარდნამდე მოინანიებს და მის მიერ გაკეთებულ ქუფრს აღიარებს, მისი მონანიება მიღებული იქნება, რის გამოც სიკვილით აღარ დაისჯება. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„5/34. გარდა მათი, რომელნიც იქამდე მოინანიებენ, სანამ თქვენ სძლევთ მათ (1) (ვინც მოინანიებს უკეთურობას და გახდება მორწმუნე, ის უკვე თავისუფალია ზემოთ მოხსენებული ჯარიმისაგან). იცოდეთ, რომ ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.“

[190] ყავაიდ ფით-თაქფირ, გვ. 30.

მურთადობა

მნიშვნელობა: მისი ლექსიკური მნიშვნელობა რამეს მიტოვებით მიმართულების შეცვლაა. ისლამურ ტერმინოლოგიაში მისი მნიშვნელობა ისლამიდან გასვლით (თუნდაც დაცინვით ან ჯიუტობით ან სურვილით მნიშვნელობა არ აქვს... ყველა ფორმით) ქუფრში შესვლაა. იგი ოთხი ნაწილისგან შედგება:

სიტყვით მურთადობა: ისეთი სიტყვების წარმოთქმა, რომელიც ალლაჰისა და მისი რომელიმე შუამავლის ლანძღვა-გინებაზე მიგვითითებს. ასევე სიტყვები, რომელიც ალლაჰის გარდა სხვისკენაა მიმართული. მაგალითად, დუის სხვაზე გაკეთება და ა.შ.

ქმედებით მურთადობა: ალლაჰის გარდა სხვის წინაშე ქედის მოხრა, სხვაზე შესაწირის შეწირვა, ნებაყოფლობით ყურანის სიბინძურეში მოთავსება, ჯადოს გაკეთება, მისი სწავლება და შესწავლა. ალლაჰის კანონების გარდა სხვა კანონების დაკანონება და სხვა.

რწმენით მურთადობა: რწმენა იმისა, რომ ალლაჰს თანაზიარი ჰყავს ან რწმენა იმისა, რომ ჰარამი ჰალალია ან ჰალალი ჰარამია და ა.შ.

ეჭვით მურთადობა: ეჭვის შეტანა იმ საკითხის მიმართ, რაზეც ალლაჰმა ჰარამი გამოაცხადა.

შუამავლების ლანძღვა გინებისა და მუსლიმების წინააღმდეგ გალაშქრების გარეშე პიროვნება ისლამის გარეთ თუ აღმოჩნდება, მაშინ მისი მონანიებისკენ მოპატიჟება სუნნეთია. თუ მოინანიებს თავისუფალი იქნება, თუ არადა სიკვდილით დაისჯება, რადგან ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ‘ალეიჰი ვა სალლამ) ბრძანა: „მოკალით ის, ვინც რწმენას შეიცვლის.“[191]

შუამავლების ლანძღვა-გინებასთან და მუსლიმების წინააღმდეგ გალაშქრებასთან ერთად პიროვნება რწმენას თუ შეიცვლის, მაშინ ყოველგვარი მონანიებისკენ მოპატიჟების გარეშე

[191] ბუხარი, 3017.

სიკვდილით დაისჯება. სუნნეთისა და სალაფების მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია.

ანას ბინ მალიქის გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალმა მექქაში შესვლის დროს იბნუ ჰათალი როგორც კი ხელში ჩაიგდო მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა, რადგან იბნ-ი ჰათალი იყო პიროვნება, რომელიც შუამავალსა და ისლამს ლანძღავდა. ასევე მუსლიმების წინააღმდეგაც იბრძოდა.[192]

იბნ-ი ჰათალს რწმენიდან გასვლის შემდეგ შუამავალი და რელიგია რომ არ გაელანძღა, ასევე მუსლიმების წინააღმდეგ, რომ არ გალაშქრებულიყო, როგორც სხვა ჰადისები გვიჩვენებს, ალლაჰის შუამავალი მას მონანიებისკენ მოიპატიჟებდა და ეგრევე სიკვდილით არ დასჯიდა. იბნ-ი თაიმიია (რაჰიმაჰულლაჰ) ამბობს: „ის, ვინც მხოლოდ რელიგიას შეიცვლის და მუსლიმების წინააღმდეგ არ გაილაშქრებს, ასევე, ისლამს და შუამავალსაც თუ არ გალანძღავს, მონანიებისკენ მოვიპატიჟებთ და თუ არ მოინანიებს, სიკდვილით დაისჯება. ხოლო ის, ვინც რელიგიას შეიცვლის და ამასთან ერთად რელიგიას და შუამავალს გალანძღავს, ასევე მუსლიმების წინააღდეგაც თუ გაილაშქრებს, ყოველგვარი მონანიებისკენ მოპატიჟების გარეშე სიკვდილით დაისჯება.“[193]

„2/217...და თუ რომელიმე თქვენგანი განეშორება თავის სარწმუნოებას და მოკვდება ურწმუნოდ, ასეთებს ამაოებად ექცევათ ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრება; აი, ცეცხლის ბინადარნი, ისინი იქ სამუდამოდ დარჩებიან.“

[192] ბუხარი, 3044.

[193] მეჯმუუ'ლ-ფათვა, 20/103.

სარჩევი

წინასიტყვაობა 1

სიტყვა „ილაჰ“-ის განმარტება და მისი შიგნითა ნაწილი 5

ალლაჰის ღვთაებრიობის ზოგიერთი თვისება 6

კანონის გამოცემა / დაკანონება 8

დაუკითხაობა / პასუხის არ გება 9

ზიანისა და სარგებლის მიცემა 9

„ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის ნაწილები 10

ზოგიერთი მწერლის შეცდომა 10

თავჰიდის ნაწილები 14

რუბუბიეთ თავჰიდი 14

ულუჰიეთ თავჰიდი 16

სახელ-თვისებების თავჰიდი 17

ფარაონის მიერ გამოცხადებული ღვთაებრიობის არსი / შინაარსი 20

‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის მნიშვნელობა 22

„ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ“-ის ხარისხი 32

ორი ღვთაების ერთად დაყენება აკრძალულია 36

‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის პირობები 38

სიტყვა „პირობის“ მნიშვნელობა 38

პირველი პირობა 41

„ცოდნა“ 41

მდგომარეობა და ჰუქმი პიროვნების, რომელმაც თავჰიდი არ იცის 46

მეორე პირობა 51

„ტაღუთის უარყოფა“ 51

რა იგულისხმება „მყარ საყრდენში“? 56
ტაღუთის უარყოფის ფორმა და ხარისხი 57
რწმენა-დაჯერებით ტაღუთის უარყოფა 57
ენით ტაღუთის უარყოფა 57
ქმედებით ტაღუთის უარყოფა 58
მესამე პირობა 59
„ენით წარმოთქმა“ 59
მეოთხე პირობა 64
„გულწრფელობა“ 64
მეხუთე პირობა 66
„ყოველგვარი ეჭვის გარეშე რწმენა-დაჯერება“ 66
მეექვსე პირობა 68
„სიყვარული“ 68
ალლაჰისა და მისი შუამავლის სიყვარული 69
მუვაჰიდებისადმი (ერთღმერთიანებისადმი) სიყვარული 70
თავჰიდისადმი სიძულვილი რწმენის საწინააღმდეგოა 71
სიყვარულის ნიშნები 73
შუამავალზე მორჩილება 73
გაუგებრობის დროს ალლაჰსა და მის შუამავალზე უპირატესობის მინიჭება 74
ალლაჰზე და მის შუამავალზე წინ არაფრის და არავის დაყენება 75
პრობლემებისა და უბედურებების დროს მოთმინება 77
მეშვიდე პირობა 80
„მორჩილება“ 80
მერვე პირობა 84

„საჭიროებისამებრ მოქმედება“ 84
მეცხრე პირობა 88
„ამ რწმენით სიკვდილი“ 88
მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხის ცოდნა 91
„მონანიების პირობები“ 91
საკითხთან დაკავშირებით რამოდენიმე გაფრთხილება 93
პირველი გაფრთხილება 93
მეორე გაფრთხილება 93
მესამე გაფრთხილება 93
მეოთხე გაფრთხილება 94
მეხუთე გაფრთხილება 95
ადამიანის შინაგანი და გარეგანი სამყაროს ურთიერთობა 99
ჰუქმი გარეგნობის მიხედვით გაიცემა 104
ჰადისის განმარტება: „ქმედებები განზრახვის მიხედვითაა.“ 106
‘ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ’-ის საწინააღმდეგო მდგომარეობები 110
ქუფრის ნაწილები 112
დიდი ქუფრი 112
პატარა ქუფრი 114
ქუფრი სიტყვების მაგალითები 120
ქუფრი ქმედების მაგალითები 120
განსხვავებები დიდ და პატარა ქუფრს შორის 122
დიდი ქუფრი 122
პატარა ქუფრი 122
ქუფრისგან დასაცავად რას უნდა მივაქციოთ ყურადღება? 123
შირქი 125

შირქი ყველა ამელს ანულებს / აბათილებს 126
დღესდღეობით გავრცელებული შირქის სახეობები..... 127
შირქის ნაწილები 130
განსხვავებები დიდ და პატარა შირქს შორის 133
ნიფაყი / მუნაფიყობა..... 135
რწმენის ნიფაყი 135
რწმენის ნიფაყის მაგალითები..... 136
ამელის ნიფაყი..... 136
ამელის ნიფაყის მაგალითები..... 136
ამელის ნიფაყსა და რწმენის ნიფაყს შორის განსხვავებები .. 136
ნიფაყი თავს როდის იჩენს?..... 137
მუნაფიყების საბოლოო ადგილი 137
ათეისტობა 139
მურთადობა 140